

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების

მინისტრის ბრძანება №537

2006 წლის 5 ივლისი

ქ. თბილისი

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის და ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №003, 27.03.96, გვ.27) მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ამავე პუნქტით დადგენილი სამართლებრივი ნორმების შესრულების მიზნით, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული „თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის და ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა“.

2. თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმით საქართველოს მხარის მიერ გასაწევი ხარჯების დაფინანსება განხორციელდეს „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მითხოვნათა შესაბამისად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის განსაზღვრული მოცულობის ფარგლებში.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. პაპუაშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. ძალადაკარგულია - საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №261 - ვებგვერდი, 17.09.2012წ.

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა

I. პრეამბულა

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა წარმოადგენს მთავარ სახელმძღვანელო დოკუმენტს თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციისთვის. გეგმა გათვალისწინებულია მართვის ექვსწლიანი პერიოდისთვის (2003 – 2008 წწ). დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის დახმარებით, რომელიც ხორციელდება გარემოს დაცვის გლობალური ფონდისა (GEF) და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე გეგმა მოიცავს თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის მართვის საკითხებს. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის განხილვა შეუძლებელია დაცული ლანდშაფტისგან იზოლირებულად როგორც ტურიზმის განვითარების, ისე ჰაბიტატების და სახეობების დაცვის კუთხით, ამიტომ მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად აუცილებელია თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალსა და ეროვნულ პარკში და თუშეთის დაცულ ლანდშაფტში ქმედებების შეთანხმებულად წარმართვა. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალსა და ეროვნული პარკს მართავს თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია (შემდგომში – დაცული ტერიტორიების დირექცია), ხოლო დაცული ლანდშაფტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მმართველობაშია. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დაცული ტერიტორიების (სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის) დირექცია შეძლებისდაგვარად, კანონმდებლობის ფარგლებში, აქტიურად უნდა ჩაებას დაცულ ლანდშაფტში მიმდინარე პროცესებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე მენეჯმენტის გეგმა თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის გარდა, ასევე გარკვეულწილად აღწერს თუშეთის დაცულ ლანდშაფტს, ითვალისწინებს გარკვეული ქმედებების განხორციელებას და იძლევა რეკომენდაციებს თუშეთის დაცული ლანდშაფტის მართვისათვის, რითაც გარკვეულ საფუძველს ქმნის ამ დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის ჩამოყალიბებისთვის. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმაში, რომელიც შემუშავდება „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, დეტალურად იქნება გაწერილი მოცემულ დაცულ ტერიტორიაზე განსახორციელებელი ყველა ქმედება, მათ შორის, მნიშვნელოვანად პრიორიტეტული იქნება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების კონსერვაციასა და მათი ავთენტურობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება, რაც უნდა განხორციელდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. ეს საქმიანობები ჩამოყალიბდება ადგილობრივი მმართველობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და სხვა შესაბამისი უწყებების თანამშრომლობის საფუძველზე. დამატებით, მენეჯმენტის გეგმა ითვალისწინებს ქმედებებს ე.წ. „დამხმარე ზონისთვის“, რომელიც ამ გეგმის მიზნებიდან გამომდინარე,



განისაზღვრა ახმეტის რაიონის თუშური სოფლებითა და თუშეთთან ეკონომიკურად დაკავშირებული სხვა ტერიტორიებით^[1].

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა მიზნად ისახავს რეგიონში ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და მენეჯმენტის გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ადამიანისა და გარემოს ჰარმონიული თანაარსებობის ხელშეწყობას. მენეჯმენტის გეგმა უზრუნველყოფს ტერიტორიის მართვის უწყვეტობას, ხელს შეუწყობს ფინანსური და მატერიალური საშუალებების რაციონალურ გამოყენებას, საზოგადოებისა და დაინტერესებულ ჯგუფებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას.

მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრული სამოქმედო გეგმის ეტაპობრივი დანერგვა ხელს შეუწყობს თუშეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

II. სტრატეგიული ხედვა

თუშეთი, ველური ბუნებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი და გამორჩეული ადგილია საქართველოში. ულამაზესი ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტებით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით და, რაც მთავარია, საუკეთესოდ შენარჩუნებული ბუნებრივი ეკოსისტემებით იგი დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს დამთვალიერებელზე.

ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება თუშეთის დაცული ტერიტორიების მთავარი ფუნქციაა. მრავალფეროვან ბუნებრივ გარემოში ჩამოყალიბებული უნიკალური ეკოსისტემები, მდიდარი ფლორა და ფაუნა, მსხვილ ძუძუმწოვართა კარგად შენარჩუნებული პოპულაციები, მტაცებელი/მსხვერპლის სისტემები, ხელუხლებელი ტყეები და გარემოს რაციონალურ გამოყენებაზე ორიენტირებული ტრადიციული მეურნეობის დარგები დაცულ ტერიტორიას საერთაშორისო მნიშვნელობას ანიჭებს.

თუშეთის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების მოხმარება განხორციელდება მდგრადი გამოყენების პრინციპებზე დაყრდნობით, რაც მიიღწევა მიწათსარგებლობის ტრადიციული მეთოდების, თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებისა და ტექნოლოგიების შეჯერებით. ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალი დამოკიდებული იქნება როგორც ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე, ისე კარგად ორგანიზებულსა და რეგულირებულ ტურიზმზე, რომლის მართვაც დაცული ტერიტორიების დირექციასთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდება.

დაცულ ტერიტორიებზე ყოველგვარი საქმიანობა (ინფრასტრუქტურის განვითარება, რესურსების გამოყენება, ტურიზმი) განხორციელდება ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ხელშეუხებლობა. პარალელურად, დამთვალიერებლებს შესაძლებლობა მიეცემათ, ეზიარონ უნიკალურ ველურ ბუნებას და კულტურულ მემკვიდრეობას.

ბუნებრივი რესურსების გამოყენება და მოპოვება საერთოდ აღიკვეთება სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე. ეროვნულ პარკში კი ბუნებრივი რესურსების გამოყენება წარმართება მდგრადი გამოყენებისა და სტაბილური ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნების პრინციპებთან სრულ შესაბამისობაში. დაცული ლანდშაფტის მართვას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები იმდაგვარად, რომ მაქსიმალურად მოხდეს სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ინტერესების დაცვა და მისი ამოცანების დანერგვის ხელშეწყობა.

თუშეთის ეკოსისტემებისადმი, განსაკუთრებით სამოვრებისადმი, წარსულში მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შესუსტება/აღმოფხვრა ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური თანამშრომლობისა და შესაბამისი უწყებების გაძლიერების გზით.

ემლევით რა უნიკალურ ველურ ბუნებასთან მიახლოების შესაძლებლობა, თუშეთის ეროვნული პარკის ვიზიტორები უფრო ხილდებიან ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობას და ემორჩილებიან დაცულ ტერიტორიაზე ქცევის წესებს. რეკრეაცია და ტურიზმი გულისხმობს შეზღუდული მომსახურების კემპინგსა და გარემოზე უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე აქტივობას. ვიზიტორთა მომსახურებას ახორციელებენ როგორც დირექციის თანამშრომლები, ისე ადგილობრივი ტურისტული ინფრასტრუქტურის წარმომადგენლები. ზოგადად, ტურიზმის მართვა სრულად შეესაბამება მდგრადი ტურიზმის პრინციპებს.

თუშეთის დაცული ტერიტორიების მართვა ხორციელდება შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი მოსახლეობისა და არასამთავრობო სექტორის აქტიური თანამონაწილეობით. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო წარმოადგენს თანამშრომლობის ეფექტურ საშუალებას და ემსახურება დაცული ტერიტორიების ინტერესების დაცვას და მათი სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

მასშტაბური საინფორმაციო თუ საგანმანათლებლო პროგრამები და სრულფასოვნად აღჭურვილი და გამართული ვიზიტორთა ცენტრები უზრუნველყოფენ საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას და მოსახლეობაში ნდობისა და მხარდაჭერის მოპოვებას.

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის მართვა ეფუძნება ე. წ. ადაპტური მენეჯმენტის პრინციპებს და ითვალისწინებს ბიომრავალფეროვნების ინვენტარიზაციის, მონიტორინგისა და სამეცნიერო კვლევების შედეგებს. დროულად ხდება დაცულ ტერიტორიებზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება.

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის მენეჯმენტი ხორციელდება დაცული ლანდშაფტის მართვის სისტემასთან კოორდინაციაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაცული ლანდშაფტის ისეთ ტერიტორიებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ეროვნულ პარკში მობინადრე



სახეობების სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების შესანარჩუნებლად.

III. მოკლე შინაარსი

მნიშვნელობა

თუშეთის არსებული სახელმწიფო ნაკრძალის გარდა, 2003 წელს დაარსდა თუშეთის ეროვნული პარკი და თუშეთის დაცული ლანდშაფტი. დაცული ტერიტორიების საერთო ფართობია 118 319 ჰა. თუშეთის ეროვნული პარკი, რომლის საერთო ფართობი 76 004 ჰა-ს შეადგენს, ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ეროვნული პარკია.

უნიკალური ფიჭვნარებით, ალპური და სუბალპური მდელოებით, ხელუხლებელი დეკიანებით, საჯიხვეებით, მცინვარებით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით თუშეთი, ლანდშაფტური და ბიოლოგიური მრავალფეროვნების კუთხით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეა არა მარტო ქვეყნის, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბით. უნიკალური ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ერთობლიობის წყალობით კი იგი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი კუთხეა ტურისტული თვალსაზრისით.

აქ გავრცელებულ ცხოველთა და მცენარეთა მრავალი სახეობა იშვიათია ეროვნული და/ან გლობალური მასშტაბით და, შესაბამისად, შესულია საქართველოსა და საერთაშორისო წითელ ნუსხეებში. გასაოცრად მაღალია მცენარეთა ენდემიზმის დონე. თუშეთის ფლორის 11 სახეობა საქართველოს, ხოლო 230 კავკასიის ენდემია (რაც კავკასიის ენდემების საერთო რაოდენობის 20%-ზე მეტია). ენდემურ ცხოველთა სახეობებიდან აღსანიშნავია კავკასიური როჭო, კავკასიური შურთხი და აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი. დაცულ ტერიტორიებზე ბინადრობს, აგრეთვე, ნიამორი, ირემი, შველი, არჩვი, დათვი, მგელი, ფოცხვერი და, სავარაუდოდ, ასევე შემორჩენილია ჯიქი ანუ ლეოპარდი.

ადამიანებსა და გარემოს შორის ურთიერთობა

თუშეთის ოთხი თემის 50-მდე სოფელში სეზონურად ცხოვრობს ხუთი ათასამდე ადამიანი (სოფლები განლაგებულია დაცული ლანდშაფტის ფარგლებში). თუშეთის უმეტესობა ადგილმონაცვლეობს; ზამთრის სეზონის განმავლობაში ისინი ახმეტის რაიონის თუშურ სოფლებში ცხოვრობენ, ხოლო ზაფხულში თუშეთში ბრუნდებიან. თუშეთის რამდენიმე სოფელში მუდმივად მხოლოდ 100-მდე ადამიანი რჩება. მეცხვარეობა სოფლისმეურნეობის (საერთოდ ეკონომიკის) უმთავრესი დარგია. საბჭოთა პერიოდში ტრადიციული ცხოვრების წესის ძალდატანებით შეცვლასთან დაკავშირებით, მთლიანად შეწყდა მიწათმოქმედება და ცხვრის რაოდენობის მაქსიმიზაციას შედეგად მოჰყვა თუშეთის ზაფხულის სამოვრების სერიოზული დეგრადაცია – ძლიერი მეწყრული და ეროზიული პროცესები. დღესდღეობით თითქმის გამქრალია ტრადიციულ ნადირობასთან დაკავშირებული შეხედულებები და წესები, რომლებიც ცხოველთა სამყაროს თანაბარზომიერ გამოყენებას უზრუნველყოფდნენ. გადამეტებული სპორტული ნადირობის გამო, თუშეთის მსხვილ ძუძუმწოვართა პოპულაციების უმეტესობა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. თუშეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული რეგიონია. ბოლო წლებში შეინიშნება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტების რაოდენობის ზრდა.

მენეჯმენტის გეგმის მთავარი მიზნები

წინამდებარე მენეჯმენტის გეგმა ანალიზებს და აფასებს დაცული ტერიტორიების ამჟამინდელ მდგომარეობას, აყალიბებს ერთიან ხედვასა და სახელმძღვანელო სტრატეგიულ მიზნებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება იდეალური მდგომარეობის მიღწევა (იხ. სტრატეგიული ხედვა). მენეჯმენტის გეგმა განსაზღვრავს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს: ტერიტორიის დაცვა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და რეაბილიტაცია, ცოდნის გაუმჯობესება, დაცული ტერიტორიების შემოსავლების გაზრდა, მდგრადი გამოყენება, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა, წარმატების რეპლიკაცია, ალიანსების ჩამოყალიბება დაცული ტერიტორიის მხარდასაჭერად, დამთვალეობისთვის საუკეთესო პირობების შექმნა, რათა მათ მაქსიმალურად ისიამოვნონ თუშეთის დაცული ტერიტორიების ბუნებრივი თუ კულტურული ღირსშესანიშნაობებით.

მიზნების მიღწევის გზები

სამენეჯმენტო გეგმის მთავარი სტრატეგიაა ისეთი ადმინისტრაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც შეძლებს დაცული ტერიტორიების ეფექტურ დაცვას, მართვასა და საზოგადოებისთვის შესაბამისი მომსახურების შეთავაზებას. გეგმა განსაზღვრავს თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციის საქმიანობის სფეროებს და სამენეჯმენტო პროგრამას, რომლის ძირითადი საკითხებია: კანონმდებლობით დადგენილი ნორმების აღსრულება აღნიშნულ ტერიტორიაზე, ინფრასტრუქტურის განვითარება, ეკოტურიზმის განვითარება, სამოვრების სწორი მართვა და რეაბილიტაცია, ცხოველთა პოპულაციების შენარჩუნება და მათი სიცოცხლისუნარიანობის ამაღლება, ადგილობრივი მოსახლეობის დახმარება, საზოგადოებრივი ურთიერთობები, შემოსავლების გამომუშავება და სხვ.

განხორცილებისთვის საჭირო საპროგნოზო თანხები

მენეჯმენტის გეგმის საერთო ბიუჯეტი 2.73 მლნ. აშშ დოლარი. დაფინანსების წყაროებია გარემოს გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი (2.39 მლნ. აშშ დოლარი), სახელმწიფო ბიუჯეტი (0.14 მლნ. აშშ დოლარი) და დაცული ტერიტორიების მოსალოდნელი საკუთარი შემოსავლები (0.2 მლნ. აშშ დოლარი).

თავი 1. მიმოხილვა

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი და დაცული ლანდშაფტი წარმოადგენს საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის ნაწილს და ოფიციალურად ჩამოყალიბდა 2003 წლის 22 აპრილს მიღებული საქართველოს კანონით „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის



საქართველოს კანონით „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდებისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“. ამ კანონის თანახმად, თუშეთის დაცული ტერიტორია შედგება სამი სხვადასხვა დაცვითი კატეგორიის მქონე ნაწილისგან: საერთო ფართობის, დაახლოებით, 9% უკავია სახელმწიფო ნაკრძალს (ეს კატეგორია შეესაბამება IUCN-ის I კატეგორიას, რომელიც გულისხმობს მკაცრ დაცვას), დაახლოებით, 64% არის ეროვნული პარკი (IUCN-ის II კატეგორია, „ეროვნული პარკი“) და, დაახლოებით, 27% უკავია დაცულ ლანდშაფტს (IUCN-ის V კატეგორია, „დაცული ლანდშაფტი“).

თუშეთის დაცული ტერიტორიების (შემდგომში „დაცული ტერიტორიები“) ჩამოყალიბება, მისი ადმინისტრირება და მენეჯმენტი განსაზღვრულია „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ და „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდებისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონებით, ეს უკანასკნელი გარემოს გლობალური ფონდის (GEF) მიერ დაფინანსებული დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს.

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი შემუშავდა და ხორციელდება ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ეკოლოგიურად და სოციალურად მდგრადი დაცული ტერიტორიების შექმნის მხარდასაჭერად. ამ ინიციატივის ზოგადი მიზანია ქვეყნის შესაძლებლობების გაძლიერება ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების დაცვის სფეროში. პროექტის ფარგლებში ხორციელდება (ა) დაცული ტერიტორიების დაგეგმვა აღმოსავლეთ საქართველოსა და ცენტრალურ კავკასიონზე (რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი); (ბ) პროექტის სამიზნე დაცული ტერიტორიების ^[2] მენეჯმენტის ჩამოყალიბება და საზოგადოების ცნობიერების გაზრდა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სფეროში; (გ) დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის რეორგანიზაციისა და გაძლიერების ხელშეწყობა ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით.

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა მომზადებულია საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის დახმარებით (კომპონენტი №2) და შემუშავებულია 1999 წ. არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დაცული ტერიტორიების პროგრამის“ მიერ მომზადებული წინასწარი „სამენეჯმენტო სახელმძღვანელოს“ ბაზაზე.

წინამდებარე გეგმა თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციას საშუალებას მისცემს, სრულად განახორციელოს დაცული ტერიტორიების კანონმდებლობით განსაზღვრული მანდატი. ამ გეგმის დანერგვა, ასევე, ხელს შეუწყობს საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას (კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის შესახებ, ბონის კონვენცია და სხვ.).

თავი 2 აღწერა

2.1. ზოგადი ინფორმაცია

2.1.1. ადგილმდებარეობა და საზღვრები

თუშეთის ეროვნული პარკი მოიცავს დიდი კავკასიონის მთავარი ქედის გვერდითი ჩრდილოეთი (პირიქითა) ქედის სამხრეთ კალთებს (კავკასიონის ამ ნაწილში პირიქითა ქედი სიმაღლით აღემატება მთავარ ქედს და აღწევს 4500 მ.ზღ.დ.), დიდი კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ ფერდობებს, მათ შორის მდებარე თუშეთის ქვაბულს და სპეროზას ქედს. ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის საზღვრები ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს რუსეთის ფედერაციასთან. კერძოდ, პარკი ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩეჩნეთსა და ინგუშეთს, ხოლო აღმოსავლეთით დაღესტანს. პარკს სამხრეთიდან ესაზღვრება კახეთი, ხოლო დასავლეთიდან ხევსურეთი, სადაც საზღვარი გადის აწუნთას ქედსა და თებულოს მთაზე. თუშეთის ეროვნული პარკის საერთო ფართობი შეადგენს 76004 ჰა-ს.

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი მოიცავს მდინარეების: პირიქითის, გომეწრის ალაზნების და ჭანჭახოვანის ხეობებს. კერძოდ, გომეწრის ალაზნის სათავეებს და მისი ხეობის მარჯვენა ფერდს – დეკიანი კომპლექსებისა და სუბალპური არყნარების გავრცელების არეალებს; პირიქითა ალაზნის ქვედა დინებას, მაკრატელას ქედის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილს და მის მიმდებარე ფიჭვნარ ტყეებს დიკლოს მთამდე. პირიქითა ალაზნის ხეობის მარჯვენა ჩრდილო ფერდზე არსებულ ფიჭვნარ და არყნარ ტყეებს; ჭანჭახოვანის ხეობას, მარჯვენა და მარცხენა ფერდობებს მდინარე გომეწრის ალაზნთან შესართავამდე. სახელმწიფო ნაკრძალი ასევე მოიცავს სოფლების: ომალოს, დიკლოს, შენაქოს, ქუმელაურთის და ხისოს მიმდებარე ტყის მასივებს; გომეწრის და პირიქითა ალაზნების შეერთების ადგილიდან დაღესტნის საზღვრამდე მდინარის მარჯვენა და მარცხენა ფერდობებზე არსებულ ტყის მასივებს. სახელმწიფო ნაკრძალის საერთო ფართობია 10881 ჰა.

თუშეთის დაცული ლანდშაფტი მოიცავს თუშეთის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებს, ასევე სხვა ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს. კერძოდ, პირიქითის ალაზნის და მისი სათავეების – ქვახიდის წყლისა და ლაროვანის წყლის, გომეწრის ალაზნის სათავის (ალაზნისთავის), წოვათის წყლის (წოვათა), ორწყალისა და მისი შენაკადების ხეობებში არსებულ მწყემსების საზაფხულო ბინებს და მათ მიმდებარე ტერიტორიებს, ასევე კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილო ფერდობებზე და დიკლოს მთის მახლობლად განლაგებულ საზაფხულო ბინებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებს. დაცული ლანდშაფტის საერთო ფართობია 31434 ჰა.

თუშეთის დაცული ტერიტორიების ზოგადი რუკა და სასაზღვრო წერტილების კოორდინატები მოცემულია 1-ლ და მე-2 დანართებში.

2.1.2. იურიდიული სტატუსი და უფლებები

თუშეთის დაცული ტერიტორიები შეიქმნა 2003 წ. საქართველოს კანონის „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდებისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საფუძველზე. ეს კანონი



წარმოადგენს საკანონმდებლო აქტს, რომელიც განსაზღვრავს მასში მოცემული დაცული ტერიტორიების კატეგორიებს, სტატუსს, ადმინისტრირებას და დაცულ ტერიტორიებზე ნებადართულ საქმიანობას. იგი, თავის მხრივ, გამომდინარეობს 1996 წლის [„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონიდან](#), რომლის მიხედვითაც, საქართველოში არსებობს ექვსი კატეგორიის დაცული ტერიტორია. დაცული ტერიტორიების სხვადასხვა კატეგორია ერთმანეთისგან, ძირითადად, დაცვითი რეჟიმის დონითა და რესურსების გამოყენების დასაშვები ფორმებითა და ხარისხით განსხვავდება. დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარე კონკრეტული საქმიანობები რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობითა ^[3] და თითოეული ტერიტორიისათვის შემუშავებული მენეჯმენტის გეგმის ^[4] მიხედვით.

[საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“](#) დაცულ ტერიტორიებს ანიჭებს იურიდიულ სტატუსს და მაღალი კატეგორიების (სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, ადკვეთილი) ყველა დაცულ ტერიტორიაზე აცხადებს სახელმწიფოს ექსკლუზიურ მფლობელობას, რომელიც, ვრცელდება იქ არსებულ ყველაწარმოებულ ბუნებრივ რესურსზე (მიწა, ტყე, წყლის რესურსები, ფლორა, ფაუნა და ა.შ.),

ამავე დროს, [„თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონიდან](#) გამომდინარე, დაცულ ტერიტორიაზე (დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ზონის კატეგორიების გარდა) მდებარე „ბუნებრივ-კულტურული და ისტორიულ-კულტურული ობიექტები“ უშუალოდ სახელმწიფოს ექსკლუზიურ მფლობელობაშია. ასევე განსაზღვრულია თუშეთის დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებასა და მართვასთან დაკავშირებული საქმიანობა.

ამავე კანონის მიხედვით, თუშეთის დაცული ტერიტორიები შედგება სამი ტერიტორიული ერთეულისგან: თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი, თუშეთის ეროვნული პარკი და თუშეთის დაცული ლანდშაფტი.

მენეჯმენტის გეგმა განსაზღვრავს დაცვით რეჟიმებსა და მართვის წესებს თითოეული ტერიტორიული ერთეულისთვის. ზოგადად კი, თუშეთის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირება რეგულირდება შესაბამისი ეროვნული ([საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“](#), 1996 წ.) და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით (შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების სია მოცემულია მე-6 დანართში).

2.1.3. ინსტიტუციური მოწყობა

ზოგადად, საქართველოს დაცული ტერიტორიების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების სტატუსით შემავალი დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი (ყოფილი „დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი“). დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის როლი და ვალდებულებები განსაზღვრულია [გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 11 იანვრის №9 ბრძანებით](#) დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის (შემდგომში – დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი) დებულებით, რომელიც მოიცავს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის უფლებამოსილებასთან, საქმიანობის სპექტრსა და მიზნებთან დაკავშირებულ ძირეულ საკითხებს.

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ადგილზე მართვას ახორციელებს თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია, ხოლო დაცული ტერიტორიის იმ მონაკვეთებზე, რომლებიც მდებარეობს სასაზღვრო ზონისა და ზოლის ფარგლებში, დირექცია ღონისძიებებს ახორციელებს სასაზღვრო უწყებასთან წინასწარი შეთანხმებით. თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციას, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, აქვს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება, რომელიც განსაზღვრავს დაცული ტერიტორიების დირექციის მიზნებს, ფუნქციებსა და საქმიანობის სფეროს. თუშეთის დაცული: ლანდშაფტის ადგილზე მართვას ახორციელებენ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები.

[„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის](#) თანახმად, დაცული ტერიტორიების დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, თუმცა დირექციას უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესის შესაბამისად, სხვა წყაროებიდანაც მიიღოს დამატებითი დაფინანსება.

2.1.4. ადმინისტრაციული სტრუქტურა

2003 წლის [„თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის](#) მიხედვით, თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციას მიენიჭა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და ასევე საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 7 ნოემბრის №926 ბრძანებულებით დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციის დებულება“, რომელიც განსაზღვრავს დირექციის მიზნებს, ფუნქციებსა და დირექციის საქმიანობის საგანს. ამასთან, მოცემული სამართლებრივი აქტის მიხედვით, დირექციასთან არსებობს აგრეთვე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომლის ფუნქციები აღნიშნულ სამართლებრივ აქტთან ერთად განისაზღვრება [„თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“](#) და [„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონების](#) შესაბამისად.

2006 წელს დირექციაში გათვალისწინებულია შემდეგი საშტატო ერთეულები: დირექტორი, დირექტორის



მოადგილე, დაცვის (რეინჯერთა) სამსახურის უფროსი, 4 უფროსი მცველი (რეინჯერი), 21 მცველი, ბუღალტერი, მდივანი, რესურსების მართვის 2 სპეციალისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერპრეტაციის სპეციალისტი, ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის სპეციალისტი, ადმინისტრატორი. 2006 წლიდან პერსონალის საერთო რაოდენობა იქნება 41, მათ შორის, 35 შტატისა და 6 შტატგარეშე თანამშრომელი.

დაცული ტერიტორიების დირექციის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრებით. შემოსავლების მიღება შესაძლებელია დაფინანსების სხვა წყაროებიდანაც: სახელმწიფო შეკვეთის შესრულება, ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოს შესრულება, დაცულ ტერიტორიებზე ნებადართული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, საერთაშორისო ან ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქველმოქმედო ფონდების, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობები ან დახმარება და კანონით ნებადართული სხვა შემოსავალი.

2003 წლის „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საკუთარი შემოსავლების 80%, დირექტორის განკარგულებით, გამოიყენება მენეჯმენტის გეგმისა და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული საქმიანობების განსახორციელებლად; 20% კი – საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის დასაფინანსებლად.

2.1.5. ძირითადი საშუალებები და აღჭურვილობა

სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის საზაფხულო ადმინისტრაცია ამჟამად განთავსებულია ომალოსთან მდებარე ორსართულიან, სამთახიან შენობაში. დირექცია ფლობს უძრავ და მოძრავ ქონებას, რომელიც გადაცემულია მფლობელობაში უსასყიდლო უზუფრუქტის წესით. დირექციას აქვს, აგრეთვე, ფართი (84.7 კვ.მ) სოფელ ზემო ალვანის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, რომელიც მიღებული აქვს ათწლიანი უსასყიდლო უზურფუქტის წესით.

აღჭურვილობა და სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა უმრავლესობის შესყიდვა მოხდა დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში, ამჟამად მოიცავს: საოფისე ავეჯს, ციფრულ ფოტოაპარატს, ერთ ავტომობილს, ერთ ცხენს, მობილურ ტელეფონს, აღკაზმულობას 8 ცხენისთვის, უნიფორმების 12 კომპლექტს და სხვ.

2.2 ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

2.2.1 კლიმატი

რეგიონისთვის, ზოგადად, დამახასიათებელია ზომიერად ტენიანი კლიმატი შედარებით მშრალი და ცივი ზამთრით და მოკლე ზაფხულით. კონტინენტური კლიმატი განსაკუთრებით დამახასიათებელია თუშეთის აღმოსავლეთი ნაწილისათვის, თუმცა ლოკალური კლიმატური პირობები (განსაკუთრებით ატმოსფერული ნალექების რაოდენობა) მნიშვნელოვნად ცვალებადობს რელიეფისა და სიმაღლის მიხედვით. მაგალითად, საყორნეს უღელტეხილზე (2970 მ. ზღ. დ.) საშუალო წლიური ნალექების რაოდენობაა 1631 მმ; მდ. ორწყალის ხეობაში იგი 1064 მმ-მდეა. სხვა ადგილებში წლიური ნალექების რაოდენობა მერყეობს 700-900 მმ-ის ფარგლებში. ნალექების სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა კავკასიონის მთავარი ქედი და, საერთოდ, გომეწრის ალაზნის აუზი, სადაც ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა, დაახლოებით, 10%-ით უფრო მაღალია ვიდრე პირიქითა ალაზნის ხეობაში. ეს სათანადოდ აისახება ამ ორი მდინარის წყლის რეჟიმებზეც. ნალექების რაოდენობის განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ თუშეთის აღნიშნული ნაწილი უმთავრესად ტენიანდება სამხრეთიდან შემოჭრილი ტენიანი ჰაერის მასებით.

თუშეთის ქვაბული, რომელიც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მაღალი მთებითაა დაცული, ხასიათდება უმეტესად უქარო და მშრალი ლოკალური კლიმატით. მაგალითად, ომალოს პლატო თუშეთის ერთ - ერთი ყველაზე მშრალი და თბილი ადგილია, სადაც საშუალო წლიური ტემპერატურა 3.5°C - ია. აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 14.2°C - ია, ხოლო იანვრისა – მინუს 9.1°C (თუმცა ტემპერატურა ნულს ქვემოთ შესაძლოა აგვისტოშიც კი დაეცეს). აბსოლუტური მაქსიმუმი 31°C - ია, ხოლო აბსოლუტური მინიმუმი – მინუს 36°C . საშუალო წლიური ნალექების რაოდენობა 748 მმ-ია, რომლის უმეტესი ნაწილი მოდის წელიწადის უთბილეს პერიოდში – აპრილიდან სექტემბერის ჩათვლით.

თოვლის საფარის სისქე და განაწილების კანონზომიერებანი ნაირგვარია და დამოკიდებულია არა მხოლოდ ნალექების რაოდენობაზე, არამედ ქარის მიმართულებაზე, მის სიძლიერესა და მეზორელიეფის თავისებურებაზე.

რელიეფის სირთულის, ექსპოზიციანობისა და სხვა გარემოებათა გამო, მეზო- და მიკროკლიმატი თუშეთში საკმაოდ მრავალფეროვანია. თუმცა, უმთავრესად, სიმაღლეთა სხვაობის მიხედვით, გამოიყოფა კლიმატის შემდეგი ძირითადი ტიპები:

- 1) ნოტიო კლიმატი ცივი ზამთრითა და მოკლე ზაფხულით (1600-2000 მ ზღ. დ.);
- 2) გარდამავალი მთის კლიმატი ცივი ზამთრით და მოკლე ზაფხულით (2000-2400 მ ზღ. დ.);
- 3) ნამდვილ ზაფხულს მოკლებული მაღალმთის ზომიერად ნოტიო კლიმატი (2400-3400 მ ზღ. დ.);
- 4) მაღალმთის ნოტიო კლიმატი, მუდმივი თოვლითა და მყინვარებით, სადაც წლის ყველა თვის საშუალო ტემპერატურა 0°C -ზე დაბალია (ზღ. დ. - დან 3400 მ-ზე ზევით).



2.2.2. ჰიდროლოგია

თუშეთის ტერიტორია, არსებითად, საკმაოდ ვრცელ, გასწვრივ ქვაბულს წარმოადგენს. იგი ორი პარალელური ხეობისგან შედგება. ერთ ხეობაში გაედინება პირიქითის ალაზანი, ხოლო მეორეში – გომეწრის ალაზანი. მათ შორისაა ნაყაიჩო - მაკრატელას წყალგამყოფი გასწვრივი ქედი, რომელიც აწუნთის ქედს გამოეყოფა ამუგოს მწვერვალის მასივთან. მას აღმოსავლეთის მიმართულება აქვს და მთავრდება ომალოს პლატოთი. ამ პლატოს ძირზეა ზემოხსენებული ორი ალაზნის შესართავი, რომელიც ზღ. დ. - დან დაახლოებით 1600 მ - ზე მდებარეობს. გომეწრის ალაზნის აუზში ჩამონადენის მოდული ყოველ კვ. კმ - ზე 3 მეტრით მეტია, ვიდრე პირიქითი ალაზნის აუზში.

პირიქითი ალაზნის შედარებით დიდი შენაკადია ლაროვანისწყალი, ხოლო გომეწრის ალაზნისა – ხისოსწყალი (ჭანჭახოვანის ხეობა), ორწყალი და ქიბდუხის ხევი. ეს შენაკადები მარჯვნიდან ერთვიან თუშეთის ალაზნებს. გომეწრის ალაზნის შედარებით დიდი მარცხენა შენაკადებია წოვათისწყალი და სამაროვნისწყალი, ხოლო თუშეთის შეერთებული ალაზნებისა – დიკლოსხაისწყალი. პირიქითის ალაზნის მარცხენა შედარებით მოზრდილი შენაკადებია ჩილოსხაისწყალი, დიდხევი, ჭეროსხაისწყალი და ფარსმისხევი. ეს შენაკადები პირიქითის ქედის სამხრეთი კალთებიდან ჩამოედინება. ასევე უხვადაა წვრილ - წვრილი შენაკადები და წყაროები. თუშეთის რელიეფი ჰიდროგრაფიული ქსელით ძლიერაა დანაწევრებული. ზამთარში მდინარეების უმეტესობა ნაწილობრივ ან მთლიანად იყინება.

თუშეთში მრავლადაა სხვადასხვა წარმოშობის მცირე ზომის ტბები. მდ. ორწყალის სათავეებში წარმოდგენილია მცირე ზომის (20 მ - ზე ნაკლები დიამეტრის) მყინვარული წარმოშობის ტბები. პატარა ტბები გვხვდება შავკილდისა და ვებუს სათავეებთანაც. მუდმივად გაყინული ტბა მდებარეობს კალოანის სათავეებში. შედარებით დიდი ტბა (200 მ სიგრძეში) მდებარეობს მიტოვებული სოფლის ჰელოს მიდამოებში.

მაღალი მთის ჭაობები გვხვდება შენაქოს, ომალოს, თურსიეხისა და ხახაბოს მიდამოებში. მათი უმეტესობა ჩამოყალიბებულია ტბების ადგილას და ამჟამად მიწისქვეშა წყლებით იკვებება.

თუშეთი მდიდარია მინერალური წყლებით. სოფელ ჩილოს წყარო ძლიერ მარილიანია. მჟავე წყაროებია ვეძის გორას ძირში, ხოლო ტუტე წყლები გამოდის სოფლებში: ომალო, შენაქო, ფარსმა, ჭონთიო და სხვ. რკინის მაღალი შემცველობის მქონე წყლები გვხვდება დოჭუსა და ხახაბოსთან.

2.2.3. გეოლოგია და გეომორფოლოგია

თუშეთის ორივე გასწვრივი ხეობა (პირიქითი და გომეწრის ალაზნის ხეობები) და ნაყაიჩო - მაკრატელას ქედი იურული ფიქლებით არის აგებული. პირიქითის ალაზნის ხეობაში, სოფ. დართლოს მიდამოებში, რამდენიმე ადგილას კირქვიანი ტრავერტინების მძლავრი გროვებია წარმოდგენილი. ამგვარ სუბსტრატზე განვითარებული ფლორა საკმაოდ თავისებურია და გამოირჩევა დანარჩენი ტერიტორიის ფლორისაგან.

თუშეთის რელიეფი საკმაოდ რთულია. რელიეფის მორფოლოგიური იერსახე მდინარეული ეროზიის ზემოქმედებით არის ჩამოყალიბებული. თუშეთის ორივე ალაზნის ზემო ნაწილები მეოთხეული პერიოდის მყინვარებითაა დამუშავებული. ამაზე მეტყველებს ტროგული ხეობების არსებობა და ხეობების ძირებზე მორენული ნაშალებით შემდგარი დანალექები. მაქსიმალური გამყინვარების ფაზაში მყინვარები აღწევდა ომალო - შენაქოს ვაკეებამდე და თუშეთის ტერიტორიის 60%- მდე მყინვარებით იყო დაფარული. მეოთხეული გამყინვარების ნიშნები კარგადაა გამოხატული როგორც პირიქითის და მაკრატელას ქედებზე, ასევე კავკასიონის მთავარ ქედზეც. ამ ადგილებში, ზღვის დონიდან 2700 მ - ზე მაღლა გვხვდება მყინვარული რელიეფის სხვადასხვა ფორმა, ე. წ. ცირკებისა და კარების სახით.

თუშეთის აღმოსავლეთ ნაწილში სიმაღლეთა სხვაობა 2500 მ - ზე მეტია; ყველაზე დაბალი წერტილი ზღვის დონიდან 1600 მ - ზე მდებარეობს, ხოლო ყველაზე მაღალი – 4275 მ - ზე. ორივე ალაზნის შესაყართან, სოფ. შენაქოს, ქვემო ომალოსა და დიკლოს მიდამოებში, შემორჩენილია რელიქტური ეროზიული ვაკეები.

2.2.4. ნიადაგები

თუშეთში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის ნიადაგები. მთის ზედა სარტყელში უმთავრესად კარგად განვითარებული ტყის ღია ყომრალი ნიადაგები გვხვდება. გავრცელებულია ამავე ტიპის ნიადაგის სუსტად განვითარებული ღორღიანი ნაირსახეობაც. საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული პრიმიტიულკორდიან - ღორღიანი ნიადაგები როგორც ტყის, ისე – სუბალპურ და ალპურ სარტყლებში. ხეობების ძირებზე, შედარებით ახალგაზრდა ტერასებზე, განვითარებულია მეორადი მდელოებით ან მურყნარით დაფარული პროლუვიურ - დელუვიური ჭალის ნიადაგები. სუბალპურ მდელოებზე და გამეჩხერებულ ფიჭვნარებსა და არყნარებში გვხვდება მთა - მდელოს სანახევროდ გაკორდებული ნიადაგები. დეკიანებისთვის დამახასიათებელია ტორფიან - ღორღიანი ნიადაგები, რომლებიც განვითარებულია ჩრდილოეთის ფერდობებზე როგორც სუბალპურ, ისე ალპურ სარტყლებში. სუბალპურ ზონაში სამხრეთისა და აღმოსავლეთის ექსპოზიციის ციცაბო ფერდობებზე წარმოდგენილია პრიმიტიული კლდიან - ღორღიანი ნიადაგები. ამგვარ სუბსტრატზე განვითარებულია ქსეროფილური ბუჩქნარ - ბალახეული მცენარეულობა, ზოგან – მეტად მეჩხერი ფიჭვნარები.

2.3. ბიოლოგიური ინფორმაცია



2.3.1 ლანდშაფტები და ჰაბიტატები

თუშეთის დაცული ტერიტორიები გასაოცარი ლანდშაფტური მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ ვხვდებით ფიჭვნარებისგან, სუბალპური ბუჩქნარებისა და ტყეებისგან, სუბალპური და ალპური მდელოებისა და მყინვარებისგან შექმნილ ეკოლოგიურ „მოზაიკას“. სხვადასხვა ტიპის ლანდშაფტების ფორმირებისა და გავრცელების კანონზომიერება გარემოს მახასიათებლების (გეოლოგიური, გეოგრაფიული, კლიმატური, ბიოგეოგრაფიული და სხვ. ფაქტორები) და საუკუნეების განმავლობაში ადამიანის საქმიანობის ერთობლივი მოქმედების შედეგია. წარსულში მეცხვარეობასთან ერთად მნიშვნელოვანი ანთროპოგენული ფაქტორი იყო მიწათმოქმედება. საკმაოდ დიდი ფართობები იხვნებოდა და მოთხოვნილება მარცვლეულზე მთლიანად ადგილობრივი მოსავლით კმაყოფილდებოდა. მოგვიანებით ხვნა-თესვა პრაქტიკულად შეწყდა (მარცვლეული უკვე ბარიდან შედიოდა) და მეცხვარეობა წამყვან საქმიანობად გადაიქცა. მიტოვებული სახნავ-სათესი მიწები გასაძოვრდა. ამ დროიდან მოყოლებული ძოვება ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა ლანდშაფტის ჩამოყალიბებაში. ყოფილ სახნავ-სათეს ტერიტორიებზე კი მცენარეულობის აღდგენა მუდმივი ძოვების პირობებში მიმდინარეობდა. შედეგად საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებზე, რომლებიც თავდაპირველად სახნავად გამოიყენებოდა, კერძოდ, ტყის ზონის ზედა ქვესარტყელში (1800-1900 მ. ზღ. დ.) და სუბალპური ზონის სამხრეთი ექსპოზიციის კალთებზე, ნაკლებ-პროდუქტიული მეორადი მდელოები ჩამოყალიბდა. შესაბამისად, ფიჭვნარებისა და მდელოების თანამედროვე გავრცელება მნიშვნელოვანწილად ადამიანის საქმიანობითაა განპირობებული.

მცენარეულობის ტიპი და სტრუქტურა, რელიეფის ფორმასთან ერთად დაცული ტერიტორიების ლანდშაფტების მეტ-ნაკლებად პირობითი კლასიფიკაციის საშუალებას გვაძლევს.

ტყის ჰაბიტატი

თუშეთის ტყის ჰაბიტატი უმეტესად ფიჭვნარებითაა წარმოდგენილი. შედარებით ნაკლები ფართობი უკავია არყნარებს. ტყის ზონა წარმოდგენილია ტყის ზედა ქვესარტყლით, რომელიც ზღვის დონიდან 1650 მ-დან 1800-1900 მეტრამდე ვრცელდება. სუბალპური ტყეები კი გვხვდება 1800-1900 მეტრიდან 2500-2600 მეტრამდე ზღვის დონიდან. თუშეთის ფიჭვნარებს *Pinus kochiana* ქმნის. ეს ტყეები გავრცელებულია ზღვის დონიდან 1700-2000 მ-ის ფარგლებში და მათი საერთო ფართობი დაახლოებით 15000 ჰექტარია. ტყეები, განსაკუთრებით კი ფიჭვნარები, უფრო ფართოდაა წარმოდგენილი თუშეთის აღმოსავლეთ ნაწილში, კერძოდ, თუშეთის გასწვრივი ქვაბულის ყველაზე დაბალ სიმაღლეებზე (შენაქო-დიკლოს მონაკვეთი, ვებუ, ილონესა და ორეთის მასივები). წიწვოვანი ტყეები უფრო იშვიათია ჭანჭახოვანის ქედზე, გომეწრისა და პირიქითა ალაზნის ხეობებში. არყნარები (ტანბრეცილი არყნარების ჩათვლით) გავრცელებულია ზღვის დონიდან 1700-2400 მ-ის სიმაღლეებზე (თუმცა ტყის ზედა საზღვარი 2500 მ-ზეა; ზოგან იგი 2600 მ-საც კი აღწევს). სიმაღლის მატებასთან ერთად ფიჭვის არყი ენაცვლება. ყველაზე ფართოდ გავრცელებულია *Betula pendula*-სგან შემდგარი არყნარები. არყნარის ეს ტიპი ძირითადად ჩრდილოეთის ექსპოზიციასზე გვხვდება. ასევე მნიშვნელოვანი ფართობები უკავია ლიტვინოვის არყის (*Betula litwinowii*) არყნარებს. მეტად შეზღუდულია ფართოფოთლოვანი ტყეების გავრცელება. მათი საერთო ფართობი 1400 ჰა-ს არ აღემატება. სუბალპურ ტყეებს კი საერთო ჯამში (როგორც ფიჭვის, ისე არყის სუბალპური ტყეები), დაახლოებით, 6200 ჰა უკავია. ტანბრეცილი ტყეები უმთავრესად ლიტვინოვის არყისგან არის შექმნილი, თუმცა მას ზოგან რადეს არყიც (*Betula raddeana*) ერევა.

სუბალპური ბუჩქნარი

ამ ტიპის ჰაბიტატი წარმოდგენილია დეკიანებით (*Rhododendron caucasicum*), რომელთა საერთო ფართობი, დაახლოებით, 13000 ჰექტარია. დეკიანები გავრცელებულია ზღვის დონიდან 2400-2800 მ-ის ფარგლებში. მათი შედარებით დიდი ფრაგმენტები სუბალპურ ტყეს ზოლად მიუყვება პირიქითი ალაზნის ხეობაში ზღვის დონიდან 2600-2800 მ-ზე. ხშირად დეკიანებს შორის აღინიშნება ნაშლები და კლდოვანი ფორმაციები. დეკიანების გავრცელება უმთავრესად დაკავშირებულია თუშეთის ქვაბულში ჰაერის ტენიანი მასების გავრცელების კანონზომიერებასთან.

ალპური და სუბალპური მდელოები

მდელო თუშეთის ლანდშაფტის მთავარი კომპონენტია. მდელოების საერთო ფართობი რეგიონის მასშტაბით 70000 ჰა-ს აღწევს. ფიტოლანდშაფტის ეს ტიპი განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი პირიქითა ალაზნის სათავეებში. თუშეთში მრავალი სხვადასხვა ტიპის მდელოს ვხვდებით. მაგალითად, მეზოფილური ალპური მდელოები უმეტესად წარმოდგენილია კავკასიონის მთავარ ქედზე და მაკრატელას ქედის ჩრდილო ფერდობზე. ძირეული ალპური ხალები განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული კავკასიონის მთავარი ქედის და მაკრატელას ქედის ჩრდილო ფერდობებზე, წოვათის ზედაალპურ სარტყელსა და აწუნთის ქედზე. ალპური ხალები ვითარდებიან იქ, სადაც ხდება თოვლის აკუმულირება და სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ნიადაგის ტენით უზრუნველყოფა მდნარი თოვლის წყლებით. ამგვარ ადგილებში, ალპურ ხალებთან კომპლექსში, შედარებით მცირე ფართობებზე, განვითარებულია ალპური ნემსიწვერიანები. მეტად იშვიათია სუბალპური მაღალბალახეულობა. ისინი ღრმა და ტენიანი ხეობების ძირებზეა ფრაგმენტულად განვითარებული – იქ, სადაც ხდება თოვლის დაგროვება. მაღალბალახეულობის ყველა კომპონენტი, უმთავრესად, გავრცელებულია კავკასიონის მთავარი ქედის და მაკრატელას



ქედის ჩრდილო კალთებზე, ორწყლის, საალმისხევისა და ზოგიერთი სხვა ხეობის ძირებზეც .

სუბნივალური ჰაბიტატი და ნივალური ზონა

სუბნივალური ჰაბიტატი, დამახასიათებელი ფლორის კომპლექსით, ყველაზე მძლავრად განვითარებულია აწუნთისა და პირიქითის ქედებზე, განსაკუთრებით თებულოს, ამუგოს და დიკლოს მთის მასივებზე. ეს გამოწვეულია ამ მასივების არა მხოლოდ მაღალი ჰიფსომეტრული სიმაღლით (3200-3400 მზღ. დ.), არამედ აზევების სიძველითაც. სუბნივალური მცენარეულობა სუსტადაა გამოხატული კავკასიონის მთავარ ქედზე. ნივალური ზონა მუდმივი თოვლითა და მყინვარებით თუშეთში 3400 მ-დან იწყება.

2.3.2. ფლორა და მცენარეულობა

მიუხედავად იმისა, რომ თუშეთის ბოტანიკური კვლევა მე-19 საუკუნიდან იწყება, ფლორის ინვენტარიზაცია ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ამჟამად თუშეთში აღწერილია 1000-ზე მეტი ჭურჭლოვანი მცენარე, რომელთაგან, სულ მცირე, 11 სახეობა საქართველოს, ხოლო 230 კავკასიის ენდემს წარმოადგენს.

თუშეთში მცენარეულობის შემდეგი ძირითადი ტიპები შეიძლება გამოვყოთ:

1) ფიჭვნარები

ფიჭვნარი მოცვისა და ხავსის საფარით გავრცელებულია ჩრდილოეთისა და დასავლეთის ექსპოზიციებზე ზღ. დონიდან 1700-1900 მ-ის ფარგლებში. ხავსი ნიადაგის ზედაპირს მთლიანად ფარავს. ამ საფარის სისქე 30-35 სმ-ია. მოცვებიდან მთავარი მნიშვნელობა შავ მოცვს (*Vaccinium myrtillus*) აქვს. უმნიშვნელო სიმრავლით ფიჭვნარში შერეულია სხვა ხემცენარეებიც:

Populus tremula, Salix caprea, Betula pendula, Sorbus caucasigena.

ფიჭვნარი იელის ქვეტყითა და მარცვლოვან-ნაირბალახოვანი საფარით უმეტესად გავრცელებულია ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციებზე. ცენოზის წინა ტიპთან შედარებით, მას ფრაგმენტული განაწილება ახასიათებს. მრავლადაა ისეთი ბალახოვანი სახეობები, როგორცაა: *Calamagrostis arundinacea, Solidago virgaurea, Chamerion angustifolium, Campanula latifolia, Veronica peduncularis, Trifolium campestre, Fragaria vesca* და სხვ.

ფიჭვნარი კავკასიური დეკის ქვეტყით უმეტესად ტყის ზედა საზღვარსა და სუბალპურ სარტყელშია განვითარებული (1900-2000 მ ზღ. დ.) და მიეკუთვნება იშვიათი ვარიანტის ფიჭვნარ ცენოზებს. გავრცელებულია ფრაგმენტულად ქუეს, ღელეს და ორეთის მასივებზე. დეკის გარდა ცენოზის შექმნაში მონაწილეობენ: *Vaccinium myrtillus, Salvia glutinosa, Geranium robertianum, Polygonatum verticillatum* და სხვ.

ფიჭვნარი მარცვლოვან-ნაირბალახოვანი საფარით გავრცელებულია სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფერდობებზე პირიქითის, გომეწრისა და ჭანჭახოვანის ხეობებში (1700-1800 მ ზღ. დ.). შედარებით მშრალი ტიპის ცენოზია. საკმაოდ კარგად არის განვითარებული ბალახოვანი საფარი: *Poa nemoralis, Calamagrostis caucasica, Silene compacta, Trifolium alpestre, Campanula rapunculoides, Gypsophyla elegans, Luzula multiflora, Stachys atherocalyx, Teucrium orientale, Achillea setacea* და სხვ.

2) სუბალპური ტყეები

არყნარი შავი მოცვის ქვეტყითა და შერეული ბალახოვანი საფარით გავრცელებულია ტყის ზედა და სუბალპურ სარტყლებში (1700-2200 მ ზღ. დ.). ამ ცენოზს ფართო გავრცელება აქვს პირიქითის ხეობის ზედა მიმდინარეობის ჩრდილო ფერდობებზე, წოვათასა და ვებუ-ორეთის მასივზე. მოცვის (*Vaccinium myrtillus*) გარდა, უხვად მონაწილეობენ: *Millium effusum, Deschampsia flexuosa, Valeriana alliariifolia, Geranium sylvaticum, Galium odoratum, Pirola minor, Solidago virgaurea, Vicia balansae Asplenium trichomane, Linnaea borealis* სხვ.

ცირცელიან-არყნარი მთის ღანძილის საფარით გავრცელებულია პირიქითის ალაზნის სათავეში საბინწყაროს მიდამოებში ხეობის მარჯვენა მხარეს ჩრდილოეთ ექსპოზიციასზე 2200 მ. ზღ. დ. ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობებია: *Betula litwinowii, Betula raddeana, Sorbus caucasigena*. ბალახოვან საფარს მთლიანად ქმნის მთის ღანძილი (*Allium victorialis*), მასთან ერთად უმნიშვნელო რაოდენობითაა: *Milium effusum, Geranium sylvaticum, Rubus saxatilis, Vicia balancae*.

არყნარი კავკასიური დეკისა და შავი მოცვის ქვეტყით გვხვდება ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფერდობების ზედა ვერტიკალურ საფეხურზე 2000-2400 მ ზღ. დ. პირიქითის და გომეწრის ალაზნის ხეობებში, ვებუ-ორეთის მასივებზე. ტყის საბურველს უმთავრესად ქმნიან *Betula litwinowii* და *Betula raddeana*. ამგვარი ტყის შექმნაში კონსტანტური კომპონენტის სახით მონაწილეობს *Salix caprea*, თუმცა ეს სახეობა ყოველთვის მცირე რაოდენობით აღინიშნება. უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება ბალახოვანი სახეობებიც: *Calamagrostis arundinacea, Solidago virgaurea, Chamerion angustifolium*.

არყნარი მაღალბალახეულობის ქვეიარუსით გვხვდება მთის ტყეების ზედა სარტყელში 1800-1900 მ ზღ. დ. ჩრდილოეთ ექსპოზიციებზე არყნარებში ფრაგმენტული გავრცელება აქვს მაღალბალახეულობის სინუზიას, ძირითადად, ორეთის მასივზე ხეობის გაყოლებით დაღესტნის საზღვრამდე. ტყის უმთავრესი შემქმნელი სახეობაა ეტულა პენდულა. მაღალბალახეულობას ქმნიან: *Betula pendula*. მაღალბალახეულობის შემქმნელი სახეობებია: *Betula pendula, maRabalaxeulobas qmnian: Campanula latifolia, Symphytum asperum, Galega orientalis, Heracleum asperum, Milium schmidtianum, Chaerophyllummaureum, Aconitum orientale, Tephnoseria subfloccosa, astrantia maxima, Inula grandiflora*.

არყნარ-ფიჭვნარი მოცვისა და ნაირბალახების საფარით (*Betula pendula* და *Pinus kochiana*, ხოლო ქვეტყეს – *Vaccinium myrtillus*). ბალახოვანთაგან ჩვეულებრივია: *Geranium sylvaticum, Chaerophyllum maculatum,*



Calamagrostis arundinacea, Veronica chamaedris, Pirola minor, Neottia nidus avis.

3) ბუჩქნარის ცენოზი

ბუჩქნარის ცენოზი, ძირითადად, წარმოდგენილია ღვინიანებითა და დეკიანის სხვადასხვა ვარიანტებით, როგორცაა წმინდა დეკიანი (*Rhododendretum purum*), დეკიანი ლიტვინოვის არყით (*Rhododendretum betulosum*), დეკიანი ხავსით (*Rhododendretum hylcomiosum*), დეკიანი მარცვლოვნებითა და ნაირბალახებით (*Rhododendretum graminoso-mixtoherbosum*), დეკიანი მაღალბალახეულობის ელემენტებით (*Rhododendretum altherbosum*).

ღვინიანები განვითარებულია სამხრეთის ფერდობებზე 1700-2000 მ ზღ. დ. ეს ცენოზი წარმოდგენილია პირიქითისა და გომეწრის ალაზნის აუზებში. მის შექმნაში ღვინებთან (*Juniperus oblonga, Juniperus sabina*) ერთად სხვა ქსეროფილური ბუჩქებიც მონაწილეობენ, აქა-იქ გაფანტულია ფიჭვის (*Pinus kochiana*) ცალკეული ინდივიდებიც. ღვინიანი ცენოზები, ძირითადად, ფიჭვის ტყის ნატყევაზეა განვითარებული. ცენოზის შექმნაში მონაწილეობენ, აგრეთვე: *Spiraea hypericifolia, Berberis orientalis, Rhamnus pallasii, Rosa canina, Rosa pulverulenta*. ბალახოვანთაგან: *Calamagrostis caucasica, Poa nemoralis, Koeleria cristata, Verbascum thapsus, Thalictrum foetidum, Scabiosa owerinii, Scabiosa bippinata, Festuca ovina, Campanula hohenackeri, Euphorbia squamosa, Scutellaria orientalis, Gnaphalium supinum, Potentilla crantzii, Pyrethrum leptophyllum* და სხვ.

4) მდელოს ცენოზი

მდელოს ცენოზის სხვადასხვა ვარიანტები გვხვდება ზღვის დონიდან 1,900 მეტრიდან 3,200 მ-მდე. სტრუქტურითა და სახეობრივი შემადგენლობით განსხვავებულ რამდენიმე ვარიანტს შორის ძირითადებია:

წივანიანი მდელო

მას თუშეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ფართო სივრცობრივი გავრცელება აქვს როგორც ტყის სარტყელში, ასევე დეკიანის ზემოთაც. ამ მდელოების უმეტესობა დეგრადირებული და სახეცვლილია. ამ ცენოზის შემქმნელია *Festuca izoides* და წარმოდგენილია ზედა ალპურ ქვესარტყელში (2600-3200 მ ზღ. დ.). ქვედა ვერტიკალურ საფეხურზე იშვიათად გვხვდება.

წვრილნაირბალახოვან-წივანიანი

ნაირბალახებს, ძირითადად, ალპური ხალის კომპონენტები ქმნიან: *Sibbaldia semiglabra, Alchemilla caucasica, Carum caucasicum, Potentilla gelida, Ranunculus oreophilus, Campanula biebersteiniana, Primula algida, Veronica gentianoides*. მარცვლოვნებიდან მონაწილეობენ: *Poa alpina, Briza marcoviczii, Colpodium variegatum, Luzula spicata, Carex huetiana*.

ნაირმარცვლოვან-ჭრელწივანიანი

განვითარებულია თითქმის ყველა ექსპოზიციის და დახრილობის ფერდობზე, ზღვის დონიდან 1900-2600 მ-ის ფარგლებში. ცენოზის იერ-სახეს განსაზღვრავს მკვრივკორდიანი მარცვლოვანი მცენარე *Festuca varia* .. ჭრელწივანიანებში ყველაზე დამახასიათებელი ვარიანტია ნაირმარცვლოვან-ჭრელწივანიანი (*Festucetum variae-variograminosum*). კონსტანტური სახეობებია: *Calamagrostis arundinacea, Poa iberica, Bromopsis variegata, Helictotrichon asiaticum, Agrostis planifolia, Anthoxanthum odoratum, Festuca ovina*.

წვრილნაირბალახოვან-ძიგვიანი

ედიფიკატორია მკვრივკორდიანი მარცვლოვანი სახეობა *Nardus stricta* . ძიგვიან მდელოს ცენოზთაგან ეს ვარიანტი, განსაკუთრებით, ფართოდაა გავრცელებული ზღვის დონიდან 2400-3100 მ-ის ფარგლებში. დომინანტის გარდა მონაწილეობენ: *Sibbaldia semiglabra, Carum caucasicum, Campanula biebersteiniana, Primula algida, Taraxacum stevenii, Gentiana dschimilensis, Gentiana angulosa* და სხვ.

5) ჭაობის ცენოზი

ჭარბტენიანი მდელო თუშეთის მთიანეთში სუბალპურ და ქვედაალპურ სარტყლებში გვხვდება. ძირითადად გავრცელებულია ევტროფული ჭაობები, სადაც წამყვანი პოზიცია ისლიანებს აქვთ: *Carceta dacicae, Cariceta kotschianae* და ასევე *Blismeta compressi*. ამ ტიპის ჭაობებში ხშირად კარგადაა განვითარებული მწვანე ხავსების სინუზია, რომლის სახეობებია: *Calliergonela cuspidata, Cratoneurum commutatum, Drepanocladus aduncus, Calliergon giganteum, Aulocomium palustre* და სხვ. ბალახოვანთაგან კონსტანტურია: *Carex dacica, Juncus articulatus, Cardamine uliginosum, Parnassia palustris, Epilobium palustre, Primula auriculata*. საინტერესოა, რომ ამგვარ ჭაობებში ხშირად მონაწილეობს თუშეთიდან აღწერილი ორიგინალური სახეობა, კავკასიის ენდემი *Primula luteola*.

6) სუბნივალური ცენოზი (სუბნივალური მიკროდაჯგუფებები და თოვლისპირა მცენარეულობა)

ეს ცენოზები, უმთავრესად, წარმოდგენილია ალპური ხალებით და კლდე-ნაშალთა მცენარეულობით. სახეობათაგან აღსანიშნავია: *Pseudobetckea caucasica* (ენდემური გვარი), *Pseudovesicaria digitata, Vavilovia formosa, Symphyoloma graveolens* და სხვ. თუშეთის მაღალმთის სუბნივალური სარტყელი მცენარეთა სახეობრივი მრავალფეროვნებისა და რეკრეაციული თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მთელ კავკასიაში.

2.3.3 ფაუნა

თუშეთის ფაუნა ნაკლებადაა შესწავლილი. განსაკუთრებით მწირია ცნობები უხერხემლოთა შესახებ. დაუზუსტებელი მონაცემებით თუშეთში გავრცელებულია ძუძუმწოვართა 60, ფრინველთა 120-მდე, რეპტილიების 3, ამფიბიების და თევზების თითო-თითო სახეობა.

ძუძუმწოვრები

თუშეთის დაცული ტერიტორიების ძუძუმწოვართა მრავალფეროვანი ფაუნა შეიცავს ჩლიქოსანთა



რამდენიმე სახეობას . მათ შორის , უპირველეს ყოვლისა , აღსანიშნავია ნიამორი (*Capra aegagrus* - სავარაუდო რაოდენობა : 100 ინდივიდი) და კავკასიის ენდემი აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი (*Capra cylindricornis*; სავარაუდო რაოდენობა : 700). ასევე გავრცელებულია არჩვი (*Rupicapra rupicapra*), კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), შველი (*Capreolus capreolus*) და გარეული ღორი (*Sus scrofa*).

თუმეტი გამოირჩევა მსხვილ მტაცებელთა ფაუნის მხრივაც . აქ გვხვდებაა მურა დათვი (*Ursus arctos*), მგელი (*Canis lupus*), ფოცხვერი (*Lynx lynx*) და ჯიქი (*Panthera pardus*).

ფრინველები

თუმეთის ორნითოფაუნიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კავკასიის ენდემური სახეობები : კავკასიური როჭო , (*Tetrao mlokosiewiczzi*) და კავკასიური შურთხი (*Tetraogallus caucasicus*). მდიდარია მტაცებელი ფრინველებითაც , მათ შორისაა : ბატკანძერი (*Gypaetus barbatus*), სვაკი (*Aegipius monachus*), ორბი (*Gyps fulvus*), კირკიტა (*Falco tinnunculus*), ქორი (*Accipiter gentilis*), მიმინო (*Accipiter nisus*), მთის არწივი (*Aquila chrysaetos*) და სხვ .

ქვეწარმავლები, ამფიბიები, თევზები

არსებული მონაცემების მიხედვით თუმეთში გვხვდება ქვეწარმავლების სამი სახეობა : *Coronella austriaca*, *Vipera ursini* და *Lacerta sp.*, ასევე გავრცელებულია მინიმუმ ერთი სახეობის ამფიბია – მწვანე გომბეშო (*Bufo viridis*). მდინარეებში გვხვდება კალმახი (*Salmo trutta*).

2.3.4 შინაურ ცხოველთა ჯიშები და კულტურული მცენარეები

ველური ბიომრავალფეროვნების გარდა , თუმეთი მდიდარია შინაურ ცხოველთა და კულტურულ მცენარეთა ჯიშებითაც . რეგიონი სამი ენდემური ჯიშის წარმოშობის კერაა . ესენია : თუმური ცხენი , ქართული ნაგაზი და თუმური ცხვარი .

თუმური ცხენი

თუმური ცხენი ტიპური ჯოგის ცხენია . მას მიაკუთვნებენ საჯდომ - სასაპალნე ცხენების ტიპს . ჯიში მომთაბარეობის პირობებში ჩამოყალიბდა და მისი ნიშან - თვისებების სრულად გამოვლენა მხოლოდ მაღალ ალპურ იალაღებზე მოვების პირობებში ხდება . მისთვის დამახასიათებელია მომცრო ზომა , მხედრისა და ტვირთის ტარების კარგი უნარი ვიწრო და რთულ გზებზე , სიმარდე , მოქნილობა , გამძლეობა და ზოგადი ამტანობა , საკვებისადმი ნაკლები მომთხოვნელობა , კარგი ნაყოფიერება , კარგი სმენა და ბგერითი გამღიზიანებლების გარჩევის საუკეთესო უნარი და სხვ .

თუმური ცხენი როგორც რეგიონის , ისე მთელი ქვეყნის კულტურისა და ბიომრავალფეროვნების უმნიშვნელოვანესი ნაწილია . ამ უნიკალური ჯიშის შენარჩუნება მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარების თვალსაზრისითაც .

თუმური ცხვარი

ჯიში მომთაბარე მეცხვარეობის პირობებში ჩამოყალიბდა . კარგად განვითარებული ცხიმკუდის (დუმეული) წყალობით , თუმური ცხვარი კარგად იტანს 500-600- კილომეტრიან გადარეკვას ზამთრის სამოვრებიდან ზაფხულის სამოვრებამდე და პირიქით .

თუმური ცხვრისთვის დამახასიათებელია მკვრივი აღნაგობა და საშუალო ზომა (საშუალოდ 60-70 კგ - ს იწონის). ხორცი , განსაკუთრებით მოზარდის , გამოირჩევა მაღალი საგემოვნო ხარისხით . რძისგან კი ცნობილი გუდის (თუმური) ყველი მზადდება . მატყლის ხარისხის მიხედვით , თუმური ცხვარი ერთ - ერთ საუკეთესო მთის ჯიშს მიეკუთვნება . წლიური ნაპარსის მასა 4-5 კგ - ია . მატყლი თეთრია , ახასიათებს კარგი ბზინვარება , სიმტკიცე და მოქნილობა . ამის გამო , თუმური მატყლი საუკეთესოა ხალიჩების წარმოებაში . გარდა ხალიჩებისა , მატყლი ფართოდ გამოიყენება წინდების , ჩანთებისა და სხვა ტრადიციული რეწვის ნიმუშების დასამზადებლად . წარსულში კი თუმის სამოსიც ძირითადად მატყლისაგან მზადდებოდა .

ქართული ნაგაზი

ქართული ნაგაზი კავკასიური ნაგაზის „ ქვეჯიშად “ ითვლება . ფიქრობენ , რომ იგი 6 ათასი წლის წინ ჩამოყალიბდა . იგი მეცხვარე , დარაჯი და მცველი ძაღლების კატეგორიას მიეკუთვნება . ჯიში საუკეთესოდაა შეგუებული მომთაბარე ცხოვრების ნირს და ალპური სამოვრების მკაცრ პირობებს . ხასიათდება ხშირი ბეწვით , უხეში აღნაგობით , მასიური ძვლებით და ძლიერი , მოცულობითი კუნთოვანი სისტემით (წონა : 45-65 კგ). ამავე დროს , მას აქვს გაწონასწორებული ბუნება და გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი . ქართული ნაგაზი ნაკლებად მომთხოვნია და ველური მტაცებლებისგან დაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს .

კულტურული ფლორა

გასული საუკუნის 50- ანი წლებიდან თუმეთში ხვნა - თესვა პრაქტიკულად შეწყვეტილია . მანამდე კი კულტურულ მცენარეთა რამდენიმე ადგილობრივი ჯიში ითესებოდა . განსაკუთრებით აღსანიშნავია ქერის ენდემური ჯიში – ქერშველი , რომელიც უნიკალური მორფოლოგიური და სხვა ნიშან - თვისებებით ხასიათდება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს . საბედნიეროდ , ეს ჯიში შემორჩენილია საქართველოს თესლების ბანკებში (მაგ .: იგი დაცულია „ ელკანას “ თესლების ბანკში).

2.4. სოციოკულტურული ინფორმაცია

2.4.1. დასახლებები და მოსახლეობა

ეროვნული პარკისა და სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე დასახლებები არ არის . სოფლები



განლაგებულია დაცული ლანდშაფტის ფარგლებში.

თუშეთის მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა მე-18 საუკუნიდან შემცირებას იწყებს ბარისკენ, მიგრაციული პროცესების გაძლიერებასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ თუშეთის მნიშვნელოვანი ნაწილი მომთაბარე ცხოვრებას მისდევდა, მეცხვარეთა ოჯახები და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მაინც მუდმივად ცხოვრობდა თუშეთში. გასული საუკუნის 50-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ თუშეთში მიზანდასახულად მოშალა მკვიდრი ცხოვრების წესი, რათა თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა თუშეთის გეოგრაფიულად იზოლირებულ რეგიონში და დაიწყო თუშეთის იძულებითი ჩასახლება ბარში. მას შემდეგ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, მეცხვარეების მსგავსად, მომთაბარე ცხოვრების წესზე გადავიდა. შემოდგომობით ისინი ჩადიან ბარში, ხოლო ადრე გაზაფხულზე ბრუნდებიან თუშეთში.

თუში მოსახლეობა ბარში განსახლებულია სოფლებში – ზემო ალვანი, ქვემო ალვანი და ლალისყური, ხოლო თუშეთში – ჩადმის, გომეწრის, პირიქითის და წოვათის 48 სათემო სოფელში. ამ სოფლების მოსახლეობის საერთო რაოდენობა, დაახლოებით, 100000 ადამიანს შეადგენს. თუშეთის სეზონური მოსახლეობა 4500-5000-ს აღწევს. მუდმივად კი, თუშეთში 100 ადამიანი ცხოვრობს. თუმცა მათი რაოდენობა ყოველწლიურად იცვლება.

2.4.2. ადგილობრივი კულტურა და ტრადიციები

თუშეთი საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. გეოგრაფიულმა იზოლაციამ და ცხოვრების დამახასიათებელმა წესმა, რაც, ძირითადად, მეცხვარეობასთან იყო დაკავშირებული, ხელი შეუწყო თვითმყოფადი ლოკალური კულტურისა და ტრადიციების წარმოშობასა და შენარჩუნებას. თუშეთის მდიდარი ტრადიციებიდან ზოგიერთი დღეს უკვე წარსულს ჩაბარდა, ზოგიერთი გაფერმკრთალებულია და დავიწყებას ეძლევა. თუმცა დიდი ნაწილი კვლავაც ცოცხალია.

თუშეთის ეთნოკულტურა და ტრადიციები არა მარტო არაჩვეულებრივად მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის ამ მხარეს, არამედ ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების საუკეთესო მაგალითებს იძლევა. შესაბამისად, მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ეროვნული პარკისა და დაცული ლანდშაფტის მართვის თვალსაზრისით.

დასახლებების ტიპები და ტრადიციული ცხოვრების წესი

თუშეთში ისტორიულად ჩამოყალიბებული იყო დასახლებათა ორი სხვადასხვა ტიპი: სოფლები და ე. წ. „ბოსლები“ (სამეურნეო სოფლები). სოფელი, როგორც წესი, შეჯგუფულ და კომპაქტურ დასახლებას წარმოადგენს, არქიტექტურულად უფრო დახვეწილია. მასში უხვად არის ფორტიფიკაციული ნაგებობები, რადგან სოფელს ორმაგი, საცხოვრებელი და თავდაცვითი, დანიშნულება ჰქონდა. სასოფლო ადგილის შერჩევის დროს რამდენიმე გარემოებას ითვალისწინებდნენ: სასოფლო ადგილი უნდა ყოფილიყო: „პირზე“ – სამხრეთის ფერდობი, სამხედრო-თავდაცვითი თვალსაზრისით ვარგისი, სასმელ წყალთან ახლოს, ზვავსამიშროებისაგან დაცული, სახნავ-სათიბი სავარგულებიდან განცალკავებული. ამ ტიპის დასახლებების მაგალითებია: ინდურთა, წარო, ჭონთიო, ჰელო, ძველი დიკლო და სხვ. ამ ფორტიფიკაციულ კომპლექსებში არის საერთო სასოფლო და საგვარეულო ციხე-კოშკებიც, სადაც მოსახლეობა მტრის შემოტევისას იხიზნებოდა. თუშეთის სოფლები და ხეობები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო ერთიანი სასიგნალო სისტემით (ცეცხლის მეშვეობით სწრაფად გადაიცემოდა მტრის გამოჩენისა და საბრძოლო მზადყოფნის ნიშანი). იმ დასახლებებში, რომლებშიც ცხოვრება არ შემწყდარა, ადგილობრივმა არქიტექტურამ განვითარება განიცადა (ომალო, შენაქო, დოჭო, დართლო). მათი საცხოვრებელი გარემო მეტი კომფორტულობით ხასიათდება. ამ სოფლებმა კლდოვანი ადგილებიდან თანდათან შედარებით ვაკე ადგილებისკენ გადაინაცვლეს. აქ ძველ ფორტიფიკაციულ არქიტექტურასთან ერთად გვხვდება აივნისანი სახლებიც.

მთაში მცხოვრები თუშეთის სამეურნეო – ყოფითი სინამდვილისათვის დამახასიათებელი იყო „სოფელ-ბოსლობა“ – სეზონური ადგილმონაცველობა. გვიან შემოდგომაზე, როგორც კი მოსავალს და თივას დააბინავებდნენ, მთები დაითოვებოდა და მტრის გადმოსვლის საშიშროებაც მოიხსნებოდა, სოფლის მოსახლეობა თავისი საქონლითურთ გამოსაზამთრებლად გადადიოდა „ბოსლებში“ – სახნავ-სათიბ მიწებთან მდებარე სამეურნეო-საცხოვრებელ სადგომებში. გაზაფხულზე, ხვნა-თესვის დამთავრებისა და მთებზე თოვლის შემრობისთანავე, სავარგულების საქონლისაგან დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით, საბოსლებიდან კვლავ სოფლებს მიაშურებდნენ. ამიტომაც მთის ყოველ სოფელს აქვს თავისი „ბოსლები“, რომელსაც ნაკლებად აქვს ფორტიფიკაციული ხასიათი და დანიშნულება და უფრო მეტად ზამთრის მშვიდი ცხოვრებისთვის არის განკუთვნილი.

ტრადიციული ნადირობა

ნადირობა თუშეთში საკვების მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო. თუმცა მას დიდი სოციოკულტურული მნიშვნელობაც ჰქონდა. ნადირობა „მეკდეურობასთან“ (კლდეზე ცოცვის ხელოვნება) იყო დაკავშირებული, მამაკაცის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადების საშუალებად ითვლებოდა.

თუშური მითოსის თანახმად, „წმინდა ნადირის“ – ჯიხვის, ნიამორის, ირმის – ჯოგებს, „ნადირთ მოცაური ანგელოზები“ – ქალღმერთი დალი და ღმერთკაცი ოჩოპინტრე მორიგეობით



მწყემსავდნენ . დალი ლუწ წლებში მწყემსავდა , ოჩოპინტრე – კენტ წლებში . თუშ მონადირეთა წარმოდგენით , ლუწ წლებში , ანუ როცა დალი იყო ნადირთა მწყემსი , ნადირობა ძლიერ ჭირდა .

ნადირობის წინ მონადირე გარკვეულ რიტუალსა და აკრძალვებს მისდევდა „ ავი თვალის “ ასაცილებლად . ნადირობაში ხელის მოსამართად და წყალობის მისაღებად კი ჯვარ - ხატს წმინდა ნადირის რქებს შეუთქვამდნენ ხოლმე .

ტრადიციული ნადირობა მკაცრად რეგულირდებოდა გარკვეული შეზღუდვებითა და აკრძალვებით . მაგალითად , მონადირეს ერთი ნადირობისას სამზე მეტი ცხოველი არ უნდა მოეკლა , რადგან ეს მძიმე ცოდვად ითვლებოდა . არ ესროდნენ მძინარე ნადირსაც (ჯერ უნდა დაეფრთხო და მხოლოდ მერე ჰქონდა სროლის უფლება) . ასევე , დიდ სირცხვილად ითვლებოდა ციკნებიანი შუნის მოკვლა . ფრინველზე ნადირობაც კაცისთვის შეუფერებელ საქმედ ითვლებოდა . მონადირეებს სჯეროდათ , რომ ნადირის ხოცვის გამო იარაღი დროთა ვითარებაში ცოდვებისაგან მძიმდებოდა და როდესაც ნანადირევის რიცხვი ასს მიაღწევდა , მონადირე მას მიწაში მარხავდა .

ტრადიციული რეწვა

თუშეთი ცნობილია დამახასიათებელი ფერადოვანი ორნამენტით შემკული ტრადიციული რეწვის ნიმუშებით , რომლებიც საკმაოდ პოპულარულია როგორც საქართველოს სხვა კუთხეებიდან , ისე - უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ ტურისტებს შორის . თუშები შალისა და ბუნებრივი საღებავების გამოყენებით ამზადებენ ფარდაგებს , ქუდებს , წინდებს , ტანსაცმელს .

2.4.3. ტრადიციული მიწათსარგებლობა და მოვების სისტემა

თუშების მეურნეობა მომთაბარე მესაქონლეობას ემყარება და განთავსებულია ე . წ . თუშეთი - ალვანი - შირაქის სამეურნეო - კულტურულ არეალში . შესაბამისად , პირუტყვის მიმოქცევის არეალი გამოირჩევა ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნებით . სწორედ ამ მრავალფეროვნების შედეგია ტოპონიმის „ მთათუშეთი “ გაჩენაც , რაც უცნობია ძველი წერილობითი ძეგლებისათვის . თუშეთ - შირაქის სამეურნეო კავშირების ისტორია XVII საუკუნიდან იღებს სათავეს . სამეფო კარის წინაშე თუშების დამსახურების გამო , კახეთის მეფე არჩილმა (1664-1675 წწ .) თუშებს მეცხვარეობის განვითარებისათვის საზამთრო სამოვრებად გადასცა შიდა კახეთის გარკვეული ტერიტორიები და შირაქ - ელდარი , რომელიც მემატინის თქმით „ უსადევო მამული და უყვედური ყოფილა თავისი შესავლით და გასავლით . “ თუშების შირაქ - ელდარში დამკვიდრების ინტერესი კი გამოწვეული იყო ამ პერიოდისთვის მეცხვარეობის აღმავლობით , რასაც ზამთრის სამოვრები ესაჭიროებოდა . თუშური მეცხვარეობის საკვებ ბაზას ბუნებრივი სამოვრები წარმოადგენს , რომელსაც , ბუნებრივი პირობების შესაბამისად , მომთაბარე მეცხვარეობა სეზონურად იყენებს . ზემოთქმულმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მომთაბარე მეცხვარეობის შემდგომ განვითარებასა და სპეციალიზაციას , თუმცა 1950- იან წლებამდე თუშები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ტრადიციული ცხოვრების წესს – მომთაბარე მეცხვარეობასთან ერთად ისინი კვლავ მისდევდნენ მეძროხეობასა და მიწათმოქმედებას და , შესაბამისად , თუშეთში იყო მუდმივი მოსახლეობაც .

ტრადიციულად , თუშეთში მკაცრად იცავდნენ მიწის სავარგულების ვერტიკალური ზონალობის წესებს . სასოფლო - სამეურნეო თვალსაზრისით , მთელი ფართობები ზონებად იყოფოდა და ყოველ ზონას თავისი სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა . ასევე ადგილი ჰქონდა ნაკვეთმორიგეობას . ყოველივე ეს უზრუნველყოფდა ნიადაგსაფარის შენარჩუნებასა და , ზოგადად , სამოვრებისა და სახნავ - სათესი მიწების მდგრად გამოყენებას .

მთიელი მესაქონლეები , უპირველეს ყოვლისა , გამოყოფდნენ სამოვრების ორ ძირითად ზონას : მსხვილფეხა საქონლისა და ცხვრის ზონებს . პირველი , თავის მხრივ , კიდევ იყოფოდა ორ ნაწილად – საძროხედ და „ სახაროვნედ “ , ხოლო მეორეში მეწველი ცხვრისათვის განკუთვნილ ფართობებს გამოეყოფოდა სამშრალე და საბატკნეები . სამოვრების კლასიფიკაციის ეს ზოგადი სისტემა შეესატყვისება ცენტრალური კავკასიონის მთის მეურნეობის პრინციპებს , რომლებიც , თავის მხრივ , ახლო ანალოგიას პოულობს დასავლეთ ევროპის მთიანეთის ალპური მეურნეობის სისტემასთან . ამავე დროს , თუშეთის თითოეულ ხეობაში შემავალი სოფლებიც კი გამოირჩევიან ლოკალური თავისებურებებით (რელიეფი , კლიმატური პირობები , კომუნიკაციები და სხვა) , რაც მეურნეობის წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის კონკრეტულ ფორმებში აისახებოდა .

სუბალპურ ზოლში სოფლების მიმდებარე მიწის გაკულტურებული ნაკვეთები გამოიყენებოდა სახნავად და სათიბად . ამ ზონის ქვედა ნაწილებში ითესებოდა ქერი , ხოლო ზედა ნაწილებში (ალპური სარტყლის მისადგომებამდე) – სვილი (ჭვავი) . საქერე ნაკვეთებს წელგამოშვებით ასვენებდნენ და სათიბად იყენებდნენ . ასვენებდნენ სასვილე ნაკვეთებსაც , მაგრამ რადგან „ ნასვილარში “ სათიბი ბალახი აღარ ამოდის , მას ძროხის სამოვრად იყენებდნენ . სახნავ - სათეს ფართობებს შორის უნაყოფო ადგილებს და მათ ზევით მოუხნავ ფერდობებს მეწველი მსხვილფეხა პირუტყვის სამოვრად იყენებდნენ . ზედა ვერტიკალური ზონები და სოფლებიდან მოშორებული ადგილები ცხვრის ფარებისთვის იყო განკუთვნილი .

XX საუკუნის 40- იანი წლებიდან , ცხვრის სულადობის ზრდაზე ორიენტირებული საბჭოთა სასოფლო - სამეურნეო პოლიტიკის პირობებში , მეურნეობის ტრადიციული წესი დავიწყებას მიეცა . ჭარბი და უსისტემო მოვების გამო სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა როგორც ზამთრის , ისე – ზაფხულის სამოვრები . დღეისათვის თუშეთის სამეურნეო ფართობის უმეტესი ნაწილი ძლიერ



ეროზირებული და დამეწყრილია. განსაკუთრებით მძიმე სურათია წარსულში სახნავ-სათეს, ხოლო ამჟამად საძოვრად გამოყენებულ ფართობებზე. ტრადიციული მეურნეობის მოსპობამ ტრადიციული ცხოვრების წესის ცვლილება გამოიწვია. თუშებმა ხელი აიღეს ხვნა-თესვაზე და მთლიანად მომთაბარე ცხოვრების ნირზე გადავიდნენ.

2.4.4. ეკონომიკური საქმიანობა

სოფლის მეურნეობა ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა თუშეთში. გასული საუკუნის შუა წლებიდან პრაქტიკულად შეწყდა მიწათმოქმედება და თუშები მთლიანად მომთაბარე მესაქონლეობაზე გადავიდნენ. თუშეთის ალპური და სუბალპური საძოვრები აქტიურად გამოიყენება ცხვრის მოვებისთვის ადრე გაზაფხულიდან ადრე შემოდგომამდე. ზამთრისთვის კი ცხვარი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე შირაქისა და ელდარის ზამთრის საძოვრებზე გადაჰყავთ. მიახლოებითი შეფასებით ამჟამად თუშებს 100000-მდე სული ცხვარი ჰყავთ.

თუშების უმეტესი ნაწილი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დამოკიდებულია მომთაბარე მეცხვარეობაზე. მათი დიდი ნაწილი უშუალოდ ფლობს ცხვარს. მამაკაცები, ძირითადად, დაკავებულნი არიან ცხვრის მწყემსვითა და მოვლა-პატრონობით, ქალები კი მატყლისგან ტრადიციულ პროდუქციას ამზადებენ. მეცხვარეობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მთავარი საქმიანობაა ცნობილი გუდის ყველის წარმოება. ამჟამად ცხვრის ხორცი და გუდის ყველი შემოსავლის მომტანი ძირითადი პროდუქტებია. მნიშვნელოვნად დაბალია მოთხოვნილება მატყლზე.

თუშები შალისა და ბუნებრივი საღებავებისგან ფერადოვან ტრადიციულ ნაწარმს: ფარდაგებს, წინდებსა და სხვა ნაკეთობებს ამზადებენ, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ტურისტებში.

საბჭოთა პერიოდში თუშეთს ყოველწლიურად მრავალი ტურისტი სტუმრობდა როგორც საბჭოთა კავშირიდან, ისე საზღვარგარეთიდან. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ წლებში ტურისტების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. თუმცა, მოგვიანებით, ისევ შეინიშნება მატება. გასულ წელს თუშეთი 400-მდე უცხოელმა და 150-მდე ადგილობრივმა ტურისტმა მოინახულა. უცხოელ ტურისტებს შორის ჭარბობენ ისრაელის მოქალაქეები. ისინი, ძირითადად, აგვისტო-სექტემბერში ჩამოდიან. ადგილობრივი ოჯახური სასტუმროების მეპატრონეების თქმით, აშკარაა ვიზიტორთა რაოდენობის მატება წინა წლებთან შედარებით. ტურისტული სეზონი ივლის-სექტემბერს ემთხვევა.

თუშეთში რამდენიმე ოჯახური სასტუმრო მუშაობს. მათგან 4 – ომალოში, მინიმუმ 2 შენაქოში და ერთიც – ჭემოში (პირიქითა ხეობა). ომალოში 12-მდე ადამიანია დაკავებული ტურისტების უშუალო მომსახურებით. ასევე ფუნქციონირებს ადგილობრივი ტურისტული სააგენტო შპს „კესელო“, რომელსაც აქვს პატარა სასტუმროც და თანამშრომლობს საქართველოს მსხვილ ტურისტულ სააგენტოებთან („ჯორჯიან ტრეველ“, „კაუკაზუს ტრეველ“). შენაქოში 1998-1999 წლებში WWF-ის მხარდაჭერით განხორციელდა ოჯახური ტურიზმის განვითარების პროექტი, რომლის ფარგლებშიც 6 ოჯახს გაურემონტადა სტუმრების მისაღები ფართი. მათგან მინიმუმ ორი ოჯახი აწარმოებს ამჟამად ტურისტების მიღებას.

ტურისტების უმეტესობა ირჩევს საფეხმავლო და საცხენოსნო მარშრუტებს. ტურისტები ცხენებს ადგილზე ქირაობენ და მათი გამყოლებიც ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები არიან. ადგილობრივი ტურისტული ტურები, ძირითადად, სამდღიანია.

2.5. დაცული ტერიტორიების ისტორიული მიმოხილვა

2.5.1. არქეოლოგიური და ისტორიულ-კულტურული ძეგლები

თუშეთი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მხრივ ერთ-ერთი უმდიდრესი მხარეა საქართველოში. მაღალი ესთეტიკური ღირებულების მთიანი ლანდშაფტებისა და მათთან ჰარმონიულად შერწყმული მთის არქიტექტურის წყალობით იგი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი რეგიონია ტურისტული თვლსაზრისით.

ადგილობრივი არქიტექტურა და კულტურული მემკვიდრეობა შემდეგ ძირითად კატეგორიებში ერთიანდება:

1. სოფლები: (ა) მიტოვებული დასახლებები: მთის ტრადიციული არქიტექტურის უნიკალური კომპლექსები – ციხე-სოფლები: ჭონთიო, ჰელო, დაქიურთა, ნაკუდურთა, ძველი დიკლო, წარო, მოზართა, ინდურთა, ეთელთა და (ბ) სოფლები ძველი და შედარებით ახალი არქიტექტურით: დართლო, დოჭუ, შენაქო, და ა.შ.

2. საკულტო-რელიგიური:

– ჯვარ-ხატი (რამდენიმეა თუშეთის ყოველ სოფელში);

– მემორიალური საყდრები (ადგილობრივი ქრისტიანული არქიტექტურის ნიმუშები – საყდარ-აკლდამები: დართლოში, გუდაანთაში, წაროში);

– ეკლესიები (XIX საუკუნის არქიტექტურის ნიმუშები: ჯვარბოსელში, ბოჭორნაში, ილიურთაში, ომალოში, შენაქოში, ნაცხარში, დართლოში, ფარსმაში)

3. საბრძოლო-თავდაცვითი ციხე-კოშკები:

– ცალფერდა და ორფერდა სახურავიანი ციხეები. გვხვდება ოთხივე თემში: წოვათაში, გომეწარში, ჩაღმაში, პირიქითში;



– შეწვევრილი ციხეები (პირამიდულსახურავიანი კომპლექსები). გვხვდება პირიქითის თემის სოფლებში: დართლოში, კვაკლოში, გირევი, ჰელოში, ჭონთიოში.

4. არქეოლოგიური ძეგლები:

– უძველესი ნამოსახლარები (მაგ ., ნიშტაყოს გორა ს. შენაქო)

– სამარხები : სამაროვნები (მაგ ., ბრინჯაო - რკინის ხანის სამაროვანი სოფ. ომალოში და სხვ.), აკლდამები (მიწისზედა და მიწისქვეშა სამარხები : ჰელოში , ჩილოში , ალისგორში , წაროში).

2.5.2. თუშეთის დაცული ტერიტორიების მოკლე ისტორია (დაარსება, მართვა, სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი)

თუშეთის შესაბამისი ტერიტორიები უძველესი დროიდან გამოიყენებოდა მეცხოველეობისა და მიწათმოქმედებისთვის . მოთხოვნილება მარცვლეულზე , პრაქტიკულად , მთლიანად ადგილობრივი მეურნეობით კმაყოფილდებოდა . შესაბამისად , ტყეები გაიჩეხა დიდ ფართობებზე ტყის ზედა ქვესარტყელსა და სუბალპურ ზონაში . ეს ის ზონები იყო , სადაც ადგილობრივი კლიმატური და ედაფური პირობები საუკეთესო იყო ხვნა - თესვისათვის . მოგვიანებით ხვნა - თესვა პრაქტიკულად შეწყდა . მანამდე მიწათმოქმედებისთვის გამოყენებული ფართობები გასაძოვრდა და მცენარეულობის განვითარება ძოვების ძლიერი წნეხის პირობებში მიმდინარეობდა . შედეგად , ზღვის დონიდან 1800-1900 მეტრის ფარგლებში და სუბალპური ზონის სამხრეთი ექსპოზიციის კალთებზე , დიდ ფართობებზე განვითარებულია შეზღუდული პროდუქტიულობის მეორადი მდელოები . შედარებით გვიანდელ პერიოდში მომთაბარე მეცხვარეობა მეურნეობის მთავარი დარგი გახდა და თუშეთის ტერიტორიების დიდი ნაწილი ზაფხულის საძოვრებად გამოიყენება .

თუშეთის დაცული ტერიტორიები (სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი და დაცული ლანდშაფტი) ოფიციალურად დაფუძნდა 2003 წლის „თუშეთის, ბაწარა - ბაბანეურის, ლაგოდებისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

მანამდე თუშეთში არსებობდა სახელმწიფო ნაკრძალი , რომელიც როგორც ახმეტის სახელმწიფო ნაკრძალის შემადგენელი ერთ - ერთი ტერიტორიული ერთეული , დაარსებული იყო 1980 წელს . თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის დაარსების მთავარი მიზანი იყო უნიკალური და ხელუხლებელი ფიჭვნარებისა და არყნარების შენარჩუნება და დაცვა . სახელმწიფო ნაკრძალის ფარგლებში მოექცა თუშეთის ფიჭვნარებისა და არყნარების ორი მესამედი . მაშინდელი კანონმდებლობის თანახმად , ადამიანის საქმიანობა სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე შემოიფარგლებოდა სამეცნიერო კვლევითა და საგანმანათლებლო საქმიანობით . სახელმწიფო ნაკრძალი არ მოიცავდა ალპურ და სუბალპურ ზონებს და , შესაბამისად , მას შეზღუდული მნიშვნელობა ჰქონდა მსხვილი ძუძუმწოვრებისა და სხვა ცხოველების კონსერვაციისთვის . საბჭოთა პერიოდში ტერიტორიას მართავდა ნაკრძალების მთავარი სამმართველო , რომელიც სატყეო სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო . 1990 წ . ნაკრძალების სამმართველო უშუალოდ დაექვემდებარა ქვეყნის პრეზიდენტს , ხოლო 1993 წ . იგი დაცული ტერიტორიების , ნაკრძალების და სანადირო მეურნეობების სახელმწიფო დეპარტამენტად გადაკეთდა . 2004 წლის 13 თებერვალს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის , უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით , ეს დეპარტამენტი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაექვემდებარა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სახით .

2003 წლის „თუშეთის, ბაწარა - ბაბანეურის, ლაგოდებისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თუშეთის დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი გაიზარდა 118 319 ჰა - მდე , საიდანაც 10 881 ჰა სახელმწიფო ნაკრძალია , 76 004 ჰა ეროვნული პარკი , ხოლო 31434 ჰა დაცული ლანდშაფტია^[5] . ეროვნული პარკისა და სახელმწიფო ნაკრძალის მართვას ახორციელებს თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია . დაცული ლანდშაფტის მართვა კი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კომპეტენციაა .

კვლევა და მონიტორინგი

თუშეთის ბოტანიკური შესწავლა XIX საუკუნის შუა წლებიდან იწყება . 1860 წ საქართველოს ამ მხარეში ფ . რუპრეხტმა იმოგზაურა , ხოლო 1876 წ .-ს – გ .-ს რადემ . XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში თუშეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე განხორციელდა ფლორის პირველი ინვენტარიზაცია – აღიწერა ახალი სახეობები და ზოგადი წარმოდგენა შეიქმნა თუშეთის მცენარეული საფარის თავისებურებებზე . 1934-1935 წწ . ჩატარდა გეობოტანიკური გამოკვლევა . შემდგომ კი გაჩნდა მცენარეულობის პირველი რუკებიც . 1986-1990 წწ . თუშეთის მცენარეულობასა და ფლორას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტისა და სახელმწიფო მუზეუმის ბოტანიკის განყოფილების ერთობლივი ექსპედიცია იკვლევდა . შედეგად , დაგროვდა დიდძალი ფაქტობრივი მასალა . თუშეთის სუბალპური მდელოების ეპიზოდური გამოკვლევები შემდგომშიც გაგრძელდა . ზოოლოგიური კვლევები , მეორე მხრივ , მხოლოდ სპორადული ხასიათის იყო . მაშინაც კი , როცა სახელმწიფო ნაკრძალი იქმნებოდა , ადგილობრივი ფაუნის და ცალკეული პოპულაციების რიცხოვნობის შესახებ ცნობები მეტად მწირი იყო ან საერთოდ არ არსებობდა . მცირემასშტაბიანი ზოოლოგიური კვლევა ჩატარდა 1999-2001 წლებში (პროექტი „ მგლის მონიტორინგი აღმოსავლეთ საქართველოს დაცულ ტერიტორიებში “ , NACRES, WWF - ის ფინანსური



მხარდაჭერით). 2003-2004 წლებში კი „დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის“ ფარგლებში განხორციელდა საბაზისო კვლევა, რომელიც ძუძუმწოვართა და ფრინველთა ინვენტარიზაციის, პრაქტიკულად, პირველი მცდელობა იყო.

საბჭოთა პერიოდში, კერძოდ, გასული საუკუნის შუა წლებში, თუშეთში ინტესიურად მიდიოდა გეოლოგიური კვლევები (პ. ავალიშვილი, თ. კოპაძე, ლ. წერეთელი და სხვები).

თავი 3. შეფასება

3.1. ეკოლოგიური მნიშვნელობა

3.1.1. ზომა, ფორმა და ეკოლოგიური მდებარეობა

თუშეთის დაცული ტერიტორიების საერთო ფართობია 118 319 ჰა, საიდანაც 10 881 ჰა სახელმწიფო ნაკრძალია, 76 004 ჰა – ეროვნული პარკი, ხოლო 31 434 ჰა – დაცული ლანდშაფტი.

თუშეთი მდებარეობს დიდი კავკასიონის მთავარი ქედის გვერდითი ჩრდილოეთი (პირიქითა) ქედის სამხრეთ კალთებზე, დიდი კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე და მათ შორის მდებარე თუშეთის ქვაბულში. თუშეთის დაცული ტერიტორიები, ასევე, მოიცავს სპეროზას ქედს. სამი მხრიდან – სამხრეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთით, დაცული ტერიტორიების საზღვრები გეოგრაფიულად გამოკვეთილია ისეთი ფიზიკური ბარიერებით, როგორებიცაა კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, გვერდითი (პირიქითა) ქედი (რომელიც კავკასიონის ამ ნაწილში სიმაღლით აღემატება მთავარ ქედს და აღწევს 4500 მ ზღ. დ.), აწუნთას ქედი და მთა თებულო. აღმოსავლეთით კავკასიონის მთავარი და გვერდითი ქედები ერთმანეთს უახლოვდებიან და ერთადერთი გასასვლელი დაღესტნის მიმართულებით, თუშეთის ალაზნის (ანდიის ყოისუ) გასწვრივ იქმნება.

დიდი ფართობის წყალობით თუშეთის დაცული ტერიტორიები მოიცავს სხვადასხვა ვერტიკალურ ზონას – ტყის ზედა ქვესარტყლიდან ნივალურ ზონამდე. ეს ჰაბიტატებისა და ლანდშაფტების საოცარ მრავალფეროვნებას განაპირობებს. თუშეთის დაცული ტერიტორიების საერთო ფართობის 13% (15,000 ჰა) უნიკალურ ფიჭვნარებს უკავია. საერთო ტერიტორიის ნახევარზე მეტი (70,000) სხვადასხვა ტიპის მდელოებითაა დაფარული. მცირე ფართობებზე ასევე გავრცელებულია სუბალპური არყნარები და ფიჭვნარები (6,200 ჰა) და შერეული ტყე (1,400 ჰა). დიდი ფართობის გამო, თუშეთის დაცული ტერიტორიებზე არსებობა შეუძლიათ მსხვილ ძუძუმწოვართა სიცოცხლისუნარიან პოპულაციებს, მრავალფეროვან თანასაზოგადოებებს მტაცებელი-მსხვერპლის სისტემების ჩათვლით.

თუშეთის დაცული ტერიტორიები კავკასიონის ქედის დიდი ბიოლოგიური კორიდორის მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ენდემური სახეობებისთვის, როგორებიცაა ჯიხვი, კავკასიური როჭო და შურთხი.

ერთი მხრივ, დანარჩენი საქართველოსგან გეოგრაფიული იზოლაცია და, მეორე მხრივ, დაღესტანთან კავშირი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო თუშეთის ფლორისა და მცენარეულობის ისტორიულ ფორმირებაში. ცენოზების გავრცელების კანონზომიერებები თუშეთში საქართველოს სხვა კუთხეებისგან განსხვავებულია და ე.წ. დაღესტნურ ტიპს განეკუთვნება.

თუშეთის რეგიონი ერთ-ერთი უმდიდრესია ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით. ტერიტორიის დიდი ნაწილი კი ზაფხულის სამოვრებს უკავია. ორივე მათგანი თუშეთის კულტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს.

3.1.2. სახეობრივი მრავალფეროვნება

ფლორისა და მცენარეულობის თვალსაზრისით თუშეთი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მხარეა საქართველოში. აქ გავრცელებული 92 ოჯახის 1000-ზე მეტი ჭურჭლოვანი სახეობიდან 231 კავკასიის ენდემია. შესაბამისად, საქართველოს ფლორის მეოთხედი და კავკასიის მცენარეთა სახეობების ერთი მეექვსედი გვხვდება თუშეთში. თუშეთის მცენარეულობა მოიცავს ტყეებს, სუბალპურ ტყეებსა და ბუჩქნარებს, სუბალპურ და ალპურ მდელოებს, სუბნივალურ და ნაშლების ფლორისტულ კომპლექსებს. ამ ძირითადი ცენოზებიდან თითოეული, თავის მხრივ, კიდევ წარმოადგენილია მრავალი კერძო ვარიანტით, რომლებიც ერთმანეთისგან სტრუქტურითა და სახეობრივი შემადგენლობით განსხვავდებიან.

რეგიონი ასევე ხასიათდება ძუძუმწოვართა და ფრინველთა მრავალფეროვნებით. დაუზუსტებელი მონაცემებით აქ გავრცელებულია ძუძუმწოვართა 60-მდე და ფრინველთა 120-მდე სახეობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩლიქოსანთა თანასაზოგადოება, რომელიც შეიცავს ისეთ სახეობებს, როგორებიცაა: ნიამორი (*Capra aegagrus*), აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი (*Capra cylindricornis*), არჩვი (*Rupicapra rupicapra*), კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), შველი (*Capreolus capreolus*) და გარეული ღორი (*Sus scrofa*). მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მსხვილ მტაცებელთა თანასაზოგადოება: მურა დათვი (*Ursus arctos*), მგელი (*Canis lupus*), ფოცხვერი (*Lynx lynx*) და ჯიქი (*Panthera pardus*). ორნითოფაუნა მოიცავს როგორც ენდემურ სახეობებს (კავკასიური ყარანა, როჭო და შურთხი), ისე ლემიჭამიებსა და მტაცებელ ფრინველებს: ბატკანძერი, მთის არწივი, სვავი, ორბი და სხვ.

3.1.3. ბუნებრიობა

ეკოსისტემის ბუნებრიობის ხარისხი ცვალებადობს რეგიონის მასშტაბით კონკრეტული ადგილის და ჰაბიტატის მიხედვით. თუშეთში შემორჩენილია ხელუხლებელი უნიკალური ტყეები, მდელოები, ბუჩქნარები თუ ნაშლები დამახასიათებელი ფლორისტული კომპლექსებით. თუმცა ტყეების თანამედროვე გავრცელება მეტწილად განპირობებულია საუკუნეების განმავლობაში ადამიანის



სასოფლო - სამეურნეო საქმიანობით (მნიშვნელოვანია საქონლის მოვება ; უმთავრესად კი ტყეები სახნავ - სათესი მიწების გამოთავისუფლების მიზნით გაიჩეხა). დღესდღეობით ფიჭვნარებს ტერიტორიის 13% (ზოგიერთი ცნობით 15%- მდე) უკავია [6] . თუმცა მიჩნეულია , რომ ფიჭვნარებს (სუბალპური ფიჭვნარების ჩათვლით) ისტორიულ წარსულში გაცილებით ფართო გავრცელება ჰქონდა . ტყეები განსაკუთრებით ინტენსიურად გაიჩეხა ტყის ზედა სარტყელსა და სუბალპურ ზონაში , სადაც რელიეფი , ტემპერატურული რეჟიმი და ედაფური (ნიადაგური) პირობები საუკეთესო იყო მიწათმოქმედებისთვის . გასულ საუკუნეში ხვნა - თესვა შეწყდა , მაგრამ ტყეების აღდგენა შეუძლებელი იყო საქონლის ინტენსიური მოვების გამო . ამ ადგილებში დღეს მეორადი მდელოებია ჩამოყალიბებული , რომლებიც დაბალი პროდუქტიულობის საძოვრებს წარმოადგენენ .

სუბალპური და ალპური მდელოების დიდი ნაწილი დღეს უკვე მნიშვნელოვნად სახეცვლილია ჭარბი მოვების გამო . მრავალ ადგილას გამოხატულია ძლიერი ეროზია და მეწყერი , დარღვეულია ცენოზის სტრუქტურა და სახეობრივი შემადგენლობა . ზოგან კი ეს პროცესები კატასტროფულ შედეგებამდეა მისული და ნიადაგის ფენა საერთოდ მოხსნილია .

ძლიერი ანთროპოგენული ზემოქმედების გამო , ძუძუმწოვართა მრავალი სახეობის , განსაკუთრებით კი მსხვილ ძუძუმწოვრების რიცხოვნობა მნიშვნელოვნად დაბალია ბუნებრივთან (იგულისხმება ჰაბიტატის ტევადობა) შედარებით . ამ სახეობების სივრცული განაწილებაც საკმაოდ შორს არის ბუნებრივისგან . მაგალითად , საქართველოს სხვა ადგილებში ჯიხვი ჩვეულებრივ 2000 მეტრიდან ზემოთ ვერტიკალურ ზონას იკავებს , მაშინ , როცა თუშეთში ზაფხულის განმავლობაში (როცა შეწუხება ძლიერია) ჯიხვები 3000 მეტრზე დაბლა თითქმის არ ჩამოდიან . როგორც ჩანს , წლის ამ პერიოდში , ჯიხვები იძულებულნი არიან შედარებით მაღალ , ძნელად მისასვლელ ადგილებს შეაფარონ თავი . ანთროპოგენულ ზემოქმედებასთან უნდა იყოს დაკავშირებული ისიც , რომ თუშეთში პრაქტიკულად აღარ გვხვდება ირემი (ეს ცხოველი იშვიათად ვებუს მხარეს ჩნდება ხოლმე) .

3.1.4. იშვიათობა

ვრცელ ტერიტორიაზე კარგად შენარჩუნებული ბუნებრივი საბინადრო გარემოს არსებობის გამო , თუშეთში ვხვდებით მრავალ იშვიათ სახეობას . მათი დიდი ნაწილი განეკუთვნება საფრთხეში მყოფ სახეობათა რიცხვს როგორც ეროვნულ , ისე - საერთაშორისო დონეზე . განსაკუთრებით საყურადღებოა მსხვილ ძუძუმწოვართა სახეობები : ნიამორი , კეთილშობილი ირემი , შველი , არჩვი , გარეული ღორი , ფოცხვერი , მგელი , დათვი , ჯიქი და კავკასიის ენდემი ჯიხვი . ამ სახეობებიდან ფოცხვერი , ჯიხვი , ჯიქი და არჩვის კავკასიური ქვესახეობა შეტანილია ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) წითელ ნუსხაში , როგორც გლობალურ დონეზე საფრთხეში მყოფი სახეობები . ჯიქი , ფოცხვერი , ნიამორი და ირემი კი , მეორე მხრივ , იშვიათ სახეობებს განეკუთვნება ქვეყნის მასშტაბით და შესულნი არიან საქართველოს წითელ ნუსხაში .

თუშეთის ფლორა მრავალ იშვიათ სახეობას შეიცავს . საქართველოს ახალ წითელ ნუსხაში შესულია 4 სახეობა : შავი ანუ რადეს არყი (*Betula raddeana*), მარკოვიჩის ქოთანა (*Silene marcowiczii*), ქონდარა ქოთანა (*Silene pigmaea*), თელადუმა (*Ulmus glabra*). თუშეთში ასევე გვხვდება რეგიონული მასშტაბით იშვიათი სახეობები , რომლებიც კავკასიაში თავიანთი მსოფლიო არეალისგან იზოლირებულად იზრდებიან .

ენდემიზმის დონე

ენდემიზმის დონე (ენდემურ სახეობათა პროპორციული რაოდენობა), უპირველეს ყოვლისა , აღსანიშნავია მცენარეთა სახეობებს შორის . თუშეთის ფლორა შეიცავს საქართველოს 11 და კავკასიის 231 ენდემურ სახეობას , რაც ნიშნავს , რომ თუშეთში გავრცელებულ მცენარეთა სახეობების 22.5% საქართველოს ან კავკასიის ენდემია . გარდა ამისა , მინიმუმ 8 მათგანი მეტად იშვიათი სახეობების კატეგორიას განეკუთვნება .

ფრინველთა შორისაა კავკასიის სამი ენდემი (კავკასიური ყარანა , როჭო და შურთხი). მსხვილ ძუძუმწოვართა შორისაა აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი და არჩვის კავკასიური ენდემური ქვესახეობა .

თუშეთში გავრცელებულ მცენარეთა და ცხოველთა სახეობების სიები და მათი კონსერვაციული სტატუსი მოცემულია დანართში (დანართი №7).

თუშეთში გავრცელებულია შინაურ ცხოველთა ენდემური ჯიშები : თუშური ცხვარი , თუშური ცხენი და ქართული ნაგაზი . გარდა ამისა , თუშეთი წარმოადგენს კულტურულ მცენარეთა რამდენიმე ენდემური ჯიშის წარმოშობის კერას .

3.1.5. ეკოსისტემისა და მისი ცალკეული კომპონენტების მოწყვლადობა

თუშეთი ლანდშაფტების , ჰაბიტატების , ფლორისა და ფაუნის საოცარი მრავალფეროვნებით ხასიათდება . ეკოსისტემის თითოეული კომპონენტი ანთროპოგენული ჩარევის მიმართ სხვადასხვა დონის მოწყვლადობით ხასიათდება .

ტყეები : ნებისმიერ ჩარევას შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს სერიოზული ცვლილებები უნიკალური ფიჭვნარებისა და არყნარების გავრცელების კუთხით . გაჩეხვის შემთხვევაში მათი თვითაღდგენა ძნელი წარმოსადგენია მკაცრი დაცვითი ღონისძიებების , უპირველეს ყოვლისა , მოვებისგან დაცვის გარეშე . ფიჭვნარები განსაკუთრებით მოწყვლადია როგორც ბუნებრივი , ისე

ხელოვნურად გამოწვეული ხანძრების მიმართ (მკვდარი წიწვოვანი საფარი ადვილად აალებადია და ცეცხლი, ჩვეულებრივ, სწრაფად ვრცელდება). არსებობს მოსაზრება, რომ თუშეთის ფიჭვნარები შეგუებულია პერიოდულ ბუნებრივ ხანძრებთან და ასაკოვან მაღალ ფიჭვებს, ჩვეულებრივ, შეუძლიათ სწრაფ და მოკლენიან ხანძრებს გადაურჩნენ.

მსხვილი ძუძუმწოვრები: მსხვილ ძუძუმწოვართა ფაუნა ეკოსისტემის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოწყვლადი კომპონენტია. ეს ცხოველები საჭიროებენ საბინადროდ ვარგის ვრცელ ტერიტორიებს და გამრავლების ბუნებრივად დაბალი ტემპით ხასიათდებიან. ამის გამო, ისინი მეტად მოწყვლადები არიან გადამეტებული ნადირობისა და ჰაბიტატის განადგურების მიმართ. ბოლო 15-20 წლის განმავლობაში მსხვილი ძუძუმწოვრების რიცხოვნობა საგრძნობლად შემცირდა მთელ საქართველოში. ეს ეხება თუშეთის დათვის, ირმის, შვლის და ჯიხვის პოპულაციებსაც. განსაკუთრებით საგანგაშოა ნიამორის რიცხოვნობის შემცირება. ნიამორი თუშეთის ფაუნის ყველაზე მოწყვლადი სახეობაა. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თუშეთი ხევსურეთის მიმდებარე ტერიტორიებთან ერთად, საქართველოში ერთადერთი ადგილია, სადაც ნიამორი შემორჩა.

სუბალპური და ალპური მდელოები: ლანდშაფტის ეს კომპონენტები მეტად მგრძობიარეა ძოვების მიმართ. ჭარბმა ძოვებამ შეიძლება სერიოზული ცვლილებები გამოიწვიოს ბუნებრივ სტრუქტურასა და სახეობრივ შემადგენლობაში. თუმცა, ჭარბი ძოვების ზეგავლენა კიდევ უფრო სერიოზული შეიძლება იყოს ტერიტორიის ფიზიკური დეგრადაციის, ანუ ეროზიის თვალსაზრისით. ნიადაგები აბიოტური გარემოს ყველაზე მოწყვლადი კომპონენტია თუშეთში. მანამდე სახნავად გამოყენებულ ტერიტორიებზე, რომლებიც ამჟამად საძოვრებად გამოიყენება, უმძიმესი ეროზიული და მეწყრული პროცესები აღინიშნება. ნიადაგის საფარი ზოგან არამარტო დეგრადირებული, არამედ საერთოდ გამქრალია.

3.1.6. უნიკალურობა

თუშეთის რეგიონის უნიკალურობას, უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების, მდიდარი ბიომრავალფეროვნების და უნიკალური ადგილობრივი ტრადიციებისა და კულტურის კომბინაცია ქმნის.

თუშეთის ფიჭვნარების და არყნარების უნიკალურობა გახდა თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის დაარსების მთავარი მიზეზი გასულ საუკუნეში. ბიომრავალფეროვნების უნიკალურობა ასევე გამოიხატება ენდემებით მდიდარ ფლორასა და მცენარეულობაში. ფაუნის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯიქი, ანუ ლეოპარდი, რომლის არსებობის კვალიც ბოლო წლებში დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს. ყველაზე მთავარი კი ამ კუთხით ის არის, რომ თუშეთი და მიმდებარე ხევსურეთი ნიამორის გავრცელების ერთადერთი ადგილია ქვეყანაში.

თუშეთი მდიდარია ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიზებული უნიკალური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით. ციხეები, კოშკები, ციხე-სოფლები და სხვა სამეურნეო თუ რელიგიური მნიშვნელობის ნაგებობები მთის არქიტექტურის უნიკალურ ნიმუშებს წარმოადგენენ.

3.2. სხვა ფასეულობები

3.2.1. გამოყენებითი ფასეულობები

თუშეთის ალპური და სუბალპური მდელოები აქტიურად გამოიყენება ზაფხულის საძოვრებად. მეცხვარეობა თუშეთში სოფლის მეურნეობის, საერთოდ, ეკონომიკის მთავარი დარგია და თუშების უმრავლესობა მთლიანად ან ნაწილობრივ მასზეა დამოკიდებული. თუშეთში წარმოებული ცნობილი გუდის ყველი, ცხვრის ხორცი და მატყლი იყიდება არა მარტო საქართველოს სხვა კუთხეებში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც. მატყლისგან მზადდება ტრადიციული რეწვის პროდუქცია (ფარდაგები, წინდები და სხვ.), რომელიც მოსახლეობისთვის დამატებით შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. თუშეთში ამრავლებენ ენდემურ ჯიშებს (თუშური ცხენი და ცხვარი, ქართული ნაგაზი). ხშირად მათ ქვეყნის გარეთაც ყიდიან.

წარსულში (მაშინ, როდესაც თუშეთში მუდმივი მოსახლეობა იყო) ჯიხვზე, ნიამორსა და ირემზე ნადირობა ადგილობრივი მოსახლეობისთვის საკვების დამატებითი წყარო იყო შემოდგომისა და ზამთრის პერიოდში. გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან თუშეთის მოსახლეობა მთლიანად მომთაბარე ცხოვრებაზე გადავიდა. შესაბამისად, ზამთრის პერიოდში თუშეთი პრაქტიკულად დაცლილია და უშუალოდ საკვების მოპოვების მიზნით აღარავინ ნადირობს. თუმცა სამოყვარულო ნადირობა, განსაკუთრებით ჯიხვზე, საკმაოდ გავრცელებულია (იხ. ქვეთავი 2.4.2).

თუშეთის ფლორა მდიდარია სამკურნალო მცენარეებით და ისეთი სახეობებით, რომლებიდანაც „ჩაი“ მზადდება. მოსახლეობა აგროვებს მცენარეებს, რომლებიც ბუნებრივი საღებავების მისაღებად გამოიყენება. ბუნებრივ საღებავებს თუშები ტრადიციული ნაწარმის დამზადებისას ხმარობენ.

ტყეები მოსახლეობის მიერ გამოიყენება შემის და სამშენებლო მასალის მოსაპოვებლად. თუშეთის გამოყენებითი ფასეულობებიდან ყველაზე ყურადსაღებია მისი ტურისტული პოტენციალი. ულამაზესი მთის ლანდშაფტების, მდიდარი ბიომრავალფეროვნებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის წყალობით თუშეთი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული ადგილია ქვეყანაში. საბჭოთა პერიოდში თუშეთს მრავალი ტურისტი სტუმრობდა რუსეთიდან და



სხვა რესპუბლიკებიდან, ასევე საზღვარგარეთიდან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ვიზიტორთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, თუმცა, ახლა მათი რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება (გასულ წელს უცხოელ ტურისტთა რაოდენობამ 400-ს მიაღწია; ასევე იზრდება ადგილობრივი ტურისტების რიცხვი). ტურისტული სეზონის პიკი ივლის - აგვისტოშია. უცხოელი ტურისტების უმეტესობა ისრაელიდანაა. ისინი თუშეთში აგვისტო - სექტემბრის პერიოდში ჩამოდიან. უცხოელი ტურისტების დიდი ნაწილი საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ბიზნესის სექტორში მომუშავე უცხოელები არიან.

რეგიონის მდგრადი განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია ამჟამად მიტოვებული ტრადიციული მიწათსარგებლობის სისტემების შესახებ ჯერ კიდევ შემორჩენილი ცოდნა, რაც ბუნებრივი რესურსების რაციონალური მართვის აღდგენის საშუალებას იძლევა.

3.2.2. არაგამოყენებითი ფასეულობები

არაგამოყენებითი ფასეულობების მხრივ, უწინარესად აღსანიშნავია სამეცნიერო და საგანმანათლებლო მნიშვნელობა. მთის უნიკალური ლანდშაფტების, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის და ველური ბუნების, მცენარეთა საოცარი მრავალფეროვნებისა და მაღალი ენდემიზმის გამო, თუშეთის დაცული ტერიტორიები სამეცნიერო კვლევისა და მოსწავლე - ახალგაზრდობის სავსე განათლებისთვის ერთ - ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია საქართველოში. თუშეთი წლების მანძილზე იზიდავდა ქართველ, რუს და სხვა უცხოელ ბოტანიკოსებს, რადგანაც თუშეთის ფლორის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დიდი კავკასიონის ფლორის ისტორიული ფორმირების საკითხების გარკვევისათვის.

თუშეთი უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა (კანონმდებლობით დადგენილი წესების ფარგლებში) მცენარეთა ეკოლოგიური კვლევებისთვის, სასკოლო და სტუდენტური სავსე პრაქტიკისა და ლექცია - სემინარების ჩატარებისთვისაც.

ბუნებრივი ლანდშაფტები, ღრმა ხეობები, ულამაზესი ალპური და სუბალპური მდელოები, მდინარეები და ნაკადულები, ისტორიულ - კულტურული მემკვიდრეობა და მთის არქიტექტურის არაჩვეულებრივი ნიმუშები თუშეთს შეუფასებელ ესთეტიკურ ღირებულებას ანიჭებს.

3.3 საფრთხეები და შემაფერხებელი ფაქტორები

3.3.1 ბუნებრივი ფაქტორები

რეგიონი წარმოადგენს ციკაბო ფერდობების, ურთიერთგადამკვეთი ხეობების და მრავალრიცხოვანი მდინარეების ლანდშაფტს, დინამიკური ტექტონური და ეროზიული პროცესებით. მაღალ სიმაღლეებზე ხშირია ზვავები, გაზაფხულისკენ კი თოვლის უეცარი დნობა და ძლიერი წვიმები ხშირად იწვევს მდინარეების ადიდებას და წყალმოვარდნებს. ჭარბი ძოვების გამო, ზოგიერთ ადგილას გაზრდილია მეწყერის შესაძლებლობა.

არსებობს სამეცნიერო მონაცემები იმის შესახებ, რომ თუშეთის ფიჭვნარებში, წარსულში, მინიმუმ სამჯერ ჰქონდა ადგილი მასიურ ხანძრებს. ბუნებრივი ხანძრები, შესაძლოა, ერთ - ერთი მთავარი ფაქტორი იყოს თუშეთის ფიჭვნარების სტრუქტურისა და რაობის ფორმირების საქმეში. ამიტომ, ხანძრების მართვის საკითხები სამეცნიერო მონაცემებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს.

3.3.2. დაცულ ტერიტორიებზე მოქმედი ანთროპოგენური ფაქტორები

დაცულ ტერიტორიაზე მოქმედი სხვადასხვა უარყოფითი ანთროპოგენული ფაქტორი, მნიშვნელოვნად ართულებს მენეჯმენტის ამოცანების შესრულებას. ქვემოთ განხილულია ძირითადი ანთროპოგენული ფაქტორები, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო წლების განმავლობაში.

ძოვება

ძოვების პირდაპირი ზეგავლენა ცხოველთა პოპულაციებზე

ძოვება შეწუხების ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაა ზაფხულის განმავლობაში. ამ ფაქტორის ზეგავლენა, უპირველეს ყოვლისა, ველური ჩლიქოსნების მიერ ჰაბიტატის გამოყენების შეზღუდვაში ვლინდება. მაგალითად, ზაფხულში ჯიხვების ნახვა 3000 მ -ზე ქვემოთ იშვიათობაა. ეს ცხოველები ალპური სარტყლის ზედა ზონას აფარებენ თავს (სუბნივალურის საზღვარზე), სადაც შეწუხება უფრო ნაკლებია^[7]. უნდა აღინიშნოს, რომ ცხვრის ძოვება, როგორც ასეთი, შესაძლოა არც იყოს მნიშვნელოვანი შემაწუხებელი ფაქტორი. ცნობილია, რომ წარსულში ჯიხვის არვეები ცხვართან საკმაოდ ახლოს მოდიოდნენ და ზოგჯერ ეროდნენ კიდევ ცხვრის ფარებს. სავარაუდოა, რომ ველური ჩლიქოსნების სივრცულ განაწილებაზე ბრაკონიერობა გაცილებით მეტ ზეგავლენას ახდენს, ვიდრე მეცხვარეობა. თუმცა აღსანიშნავია, რომ მეცხვარეები შეიძლება თავადაც ნადირობენ. ამავე დროს, ნადირობის მაღალი წნეხის გამო, ზოგადად, ადამიანის ყოფნაც კი შეშფოთებას იწვევს ცხოველებში.

ნიადაგის დეგრადაცია

ნიადაგის საფარის დეგრადაცია დღეს თუშეთის მთავარ გარემოსდაცვით პრობლემას წარმოადგენს. მძიმე ეროზიული პროცესები მრავალ ადგილას შეინიშნება. ზოგან კი ნიადაგის ფენა საერთოდ განადგურებულია (მაგალითად, სამხრეთის კალთები სოფლებთან, ჯვარბოსელი, ბოჭორნა, დოჭუ, ბელელა, საბუე, გოგრულთა). ეროზია გამოწვეულია ჭარბი ძოვებით, რასაც ადგილი აქვს მას შემდეგ, რაც მოისპო საძოვრების ტრადიციული ზონირება და საძოვართბრუნვა. ნიადაგის



დეგრადაცია განსაკუთრებით აშკარადაა გამოხატული იმ ადგილებში, სადაც ადრე სახნავ - სათესი იყო. გასული საუკუნის შუა წლებიდან, მას შემდეგ, რაც თუშეთში მოიშალა ტრადიციული ცხოვრების წესი და რეგიონი მუდმივი მოსახლეობის გარეშე დარჩა, შეწყდა ხვნა - თესვა და სახნავ - სათესი მიწები ინტენსიურად გამოიყენება საძოვრებად. ამ ტერიტორიებზე დღეს ჭარბი ძოვების გამო ძლიერად ეროზირებული დაბალი პროდუქტიულობის საძოვრებია. მეორადი მდელოების საძოვრებს დიდი ფართობები უკავია პირიქითა ხეობაში სოფ. ჰელოდან ქვახიდამდე, გომეწარში ბოჭორნიდან წოვათამდე, ასევე ჭანჭახოვანის ხეობაში და ვებუ - ორეთის მასივზე.

ნადირობა

სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე მოქმედ უარყოფით ანთროპოგენულ ფაქტორებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ბრაკონიერობა. იგი დიდ ზეგავლენას ახდენს სახეობათა რიცხოვნობასა და სივრცულ განაწილებაზე. გარდა ამისა, ნადირობის ძლიერი პრესის ფონზე ძლიერდება სხვა ფაქტორების (საქონლის ძოვება, ტურიზმი) უარყოფითი ზეგავლენაც.

2004 წელს ჩატარებული საველე კვლევებისას ინტენსიური ნადირობა აღინიშნა. მაგალითად, ომალოს მიდამოებში, ერთი საათის განმავლობაში, 10 გასროლა დაფიქსირდა. თუშეთში, ძირითადად, ჯიხვზე და ნიამორზე ნადირობენ. მონადირეთა შორის არიან მესაზღვრეები, მწყემსები და ჩამოსულები. ბრაკონიერობის წნეხი, პირველ რიგში, სწორედ ჯიხვსა და ნიამორზე მოქმედებს. ზოგადად, ნადირი ერიდება გაშლილ ადგილებს და ძალზე დამფრთხალია, რაც შეწუხების მაღალ დონეზე მეტყველებს. ცხოველები იძულებულნი არიან თავი ძნელად მისაღწევ ადგილებს შეაფარონ.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული თვალსაზრისით ყოველგვარი ნადირობა (გარდა გადამფრენი ფრინველებისა) თუშეთში ბრაკონიერობად ითვლება (თუშეთში არ არის სანადირო მეურნეობები) მაინც აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ ტრადიციული და სამოყვარულო ნადირობა. ტრადიციულ ნადირობას თუშები საუკუნეების მანძილზე მისდევდნენ და მას როგორც ეკონომიკური, ისე კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. ტრადიციული ნადირობის ობიექტები იყვნენ

მსხვილი ძუძუმწოვრები, მაგ.: დათვი, უმეტესად კი, ჩლიქოსნები: ჯიხვი, ნიამორი და ირემი. ჯიხვი და ნიამორი წმინდა ცხოველებად ითვლებოდნენ და მათზე ნადირობა მკაცრად განსაზღვრულ წესებს ემორჩილებოდა (ნადირობდნენ ძირითადად შემოდგომა - ზამთრის პერიოდში; არ შეიძლებოდა სამზე მეტი ცხოველის მოკვლა ერთი ნადირობისას). ფრინველებზე ნადირობა მიუღებელი იყო და ახლაც იშვიათობას წარმოადგენს თუშეთში. დღეისათვის თუშეთში ხუთიოდე მონადირე თუ მისდევს ტრადიციული ნადირობის წესებს. ტრადიციულ ნადირობასთან შედარებით გაცილებით უფრო ინტენსიურია სამოყვარულო ნადირობა, რომელშიც, ძირითადად, ჩამოსულები მონაწილეობენ. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უკმაყოფილოა ჩამოსულ მონადირეთა ქცევით, რომლებიც უგულვებელყოფენ ტრადიციული ნადირობის წესებს და ხშირად გადამეტებული რაოდენობით ხოცავენ ნადირს. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, საზღვრის დაცვის თანამშრომლები და მაღალი თანამდებობის პირებიც კი ყოფილან შენიშნულნი ჯიხვსა და ნიამორზე ბრაკონიერობაში, მათ შორის ვერტმფრენების გამოყენებით.

ბრაკონიერობა განსაკუთრებით ინტენსიურია ეროვნული პარკის სამხრეთ - დასავლეთ ნაწილში, რომელიც თითქმის მთელი წლის განმავლობაში მიღწევადია. ამ ადგილებში ყველაზე ხშირად დათვზე, ჯიხვსა და არჩვზე ნადირობენ. ბრაკონიერთა შორის არიან როგორც ჩამოსულები, ისე ახლომდებარე სოფლების მცხოვრებნი. ადგილობრივთა განცხადებით დათვზე, ძირითადად, აპრილში ნადირობენ და ერთ - ერთი მთავარი მიზეზი ბელების ცოცხლად დაჭერაა.

ბრაკონიერობის გამო, მსხვილ ძუძუმწოვართა რიცხოვნობა მკვეთრად შემცირებულია თუშეთში. შესაბამისად, ბრაკონიერობის აღკვეთა დაცულ ტერიტორიებზე ერთ - ერთი ყველაზე სასწრაფოდ გასატარებელი ქმედებაა. მიუხედავად ამისა, ნადირობის სრული აკრძალვა თუშეთში მეტად რთული იქნება. ამიტომ, მისაღებ კომპრომისულ ვარიანტად შესაძლებელია განვიხილოთ ტრადიციული და მკაცრად კონტროლირებული ნადირობის დაშვება ჯიხვზე ეროვნული პარკის სათანადო ზონაში, კერძოდ, ტრადიციული გამოყენების ზონაში. ნადირობის საკითხი შემდგომ დამუშავებას საჭიროებს და დირექციის წინაშე დგას მეტად რთული ამოცანა - არ დაუშვას ბრაკონიერობა და პარალელურად ხელი შეუწყოს მდგრადი ტრადიციული ნადირობის განვითარებას.

თევზაობა

თევზაობაში ჩართული ადამიანებიც ორ კატეგორიად შეიძლება დავყოთ: (1) ადგილობრივი თუშები და (2) ჩამოსულები. თუშების უმეტესობისთვის თევზაობა გართობის და დამატებითი საკვების მოპოვების წყაროა. ისინი, უმეტესად, კანონით ნებადართულ მეთოდებს (ანკესი, ბადე) იყენებენ. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, ჩამოსულები, მათ შორის, თანამდებობის პირები, ხშირად იყენებენ არალეგალურ ხერხებს, მაგ., ელექტრომოწყობილობებს და მომწამლავ ნივთიერებებს. არალეგალური მეთოდებით თევზაობის შემთხვევები ყველაზე ხშირია ალაზნისთავში.

ტყის ჭრა / შეშის შეგროვება

დღესდღეობით თუშეთის ტერიტორიის მინიმუმ 12% ფიჭვნარი ტყითაა დაფარული. წარსულში ფიჭვნარებს გაცილებით დიდი ფართობი ეკავა, მაგრამ მათი დიდი ნაწილი გაიჩეხა სახნავ - სათესი მიწების გამოთავისუფლების მიზნით. ბოლო დროს ტყეებზე მოქმედ ფაქტორებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ძოვება და ხე - ტყის მოპოვება, თუმცა ახალი გზების მშენებლობაც მნიშვნელოვანი

ფაქტორია . ზოგიერთ ადგილას ტყეები გამეჩხერებულია და შეცვლილია ცენოზის ბუნებრივი სტრუქტურა .

გზების მშენებლობა

საბჭოთა პერიოდში ახალი გზების მშენებლობა , უმეტესწილად , რელიეფისა და ეკოლოგიური პირობების გათვალისწინების გარეშე ხორციელდებოდა . მრავალ ადგილას გზის მშენებლობას სერიოზული ეროზიული პროცესების განვითარება მოჰყვა შედეგად . ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევებსაც , რომლებსაც მსხვერპლიც მოჰყვა .

ხანძრები

თუშეთის ფიჭვნარები საკმაოდ მოწყვლადია როგორც ბუნებრივი , ისე ხელოვნური ხანძრების მიმართ . ვიზიტორთა მზარდმა რაოდენობამ შესაძლებელია გაზარდოს შემთხვევითი ხანძრების რისკი წლის ცხელ და მშრალ პერიოდში .

ტურიზმი

თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმი მნიშვნელოვანი ანთროპოგენური ფაქტორია ზაფხულის განმავლობაში . თუშეთი ყოველთვის მრავალ მნახველს იზიდავდა როგორც საქართველოს სხვა კუთხეებიდან , ისე საზღვარგარეთიდან . ვიზიტორთა რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება და ეს დაცული ტერიტორიების ინტერესებში შედის . მაგრამ დაუშვებელია , რომ ეროვნულ პარკში ადამიანების მოძრაობამ უკონტროლო ხასიათი მიიღოს . ჭარბმა და დაურეგულირებელმა ტურიზმმა შესაძლოა , დიდი ზიანი მიაყენოს თუშეთის უნიკალურ ეკოსისტემას .

სახელმწიფო საზღვრის ფაქტორი

ის ფაქტი , რომ დაცული ტერიტორიების (კერძოდ , ეროვნული პარკის) ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი საზღვარი ემთხვევა სახელმწიფო საზღვარს რუსეთის ფედერაციასთან , გარკვეულ პრობლემებს ქმნის დაცვითი რეჟიმის განხორციელების კუთხით . თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მესაზღვრეები რეგულარულად აწარმოებენ სახელმწიფო საზღვრის პატრულირებას . შესაბამისად , დაცულ ტერიტორიაზე ერთდროულად მოქმედებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორი სხვადასხვა შტო (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო / სსიპ თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი) . ორ უწყებას შორის აუცილებელია უფლებამოსილებათა და კომპეტენციების გამიჯვნა და ქმედებების კოორდინირება . ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბრაკონიერობის აღკვეთისა და ტურიზმის განვითარების ჭრილში . ორ უწყებას შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია საზღვრის უფრო მკაცრი გაკონტროლების უზრუნველსაყოფადაც . გარდა აღნიშნულისა , შესაძლებელია , რომ მესაზღვრეები ბრაკონიერობაშიც იღებდნენ მონაწილეობას .

ამასთან , ეროვნული პარკის ჩრდილო - აღმოსავლეთ ნაწილში , კერძოდ , ჭერო - ინწუხის მონაკვეთზე საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის სახელმწიფო საზღვარი არ არის დაზუსტებული და ამჟამად ამ ტერიტორიას რუსეთის მხარე აკონტროლებს .

მწირი კომუნიკაციები

რეგიონში არ არის განვითარებული საკომუნიკაციო სისტემა და კავშირები საქართველოს სხვა რეგიონებთან საკმაოდ გართულებულია . ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი საავტომობილო გზა ოქტომბრიდან ივნისამდე დაკეტილია დიდთოვლობისა და ზვავსაშიშროების გამო . ამიტომ წლის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თუშეთი მოწყვეტილია დანარჩენ საქართველოს და მიმოსვლა მხოლოდ საჰაერო ტრანსპორტით არის შესაძლებელი . სახელმწიფო ყოველწლიურად გარკვეულ თანხას ხარჯავს (დახლოებით 40-50 ათასი ლარი) თუშეთთან საჰაერო კავშირის უზრუნველსაყოფად შემოდგომა - ზამთრის პერიოდში . თუშეთთან საჰაერო კავშირი ხორციელდება ეუთოს მისიის მიერაც , რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი დახმარებაა .

თუმცა აღსანიშნავია , რომ 2004 წლის ნოემბრიდან შესაძლებელი გახდა მობილური კავშირგაბმულობის განხორციელება კომპანია მაგთიკომის მიერ .

თუშეთის დაცული ტერიტორიების კომპლექსურობა

ეფექტური მენეჯმენტის დანერგვისა და მოსალოდნელ სირთულეებთან გამკლავების მიზნით , აუცილებელია თუშეთის დაცული ტერიტორიების თავისებურებების გათვალისწინება . პირველ რიგში საყურადღებოა ტერიტორიული მოწყობის კომპლექსურობა . თუშეთის დაცული ტერიტორიები წარმოადგენს სამი განსხვავებული კატეგორიის დაცული ტერიტორიისა და ეროვნული პარკის 6 ზონის საკმაოდ რთულ სისტემას (იხ რუკა , დანართი №1) . დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე და სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის უშუალო სიახლოვეში განლაგებულია 4 თემის 48 სოფელი . მეცხვარეობის დარგი და ძოვების რეჟიმი ნაკლებად მოწესრიგებულია . მიმოსვლა ამ მაღალმთიან რეგიონთან გართულებულია , ხოლო ზოგი ადგილი თვით თუშეთის ტერიტორიაზე საკმაოდ ძნელად მისაღწევია . კანონმდებლობის მიხედვით , თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციის კომპეტენცია არ ვრცელდება თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე . მეორე მხრივ , დაცვითი რეჟიმის ეფექტურად განხორციელება , საძოვრების ეროზიისგან დაცვა და მათი ხარისხის გაუმჯობესება მხოლოდ რესურსის მომხმარებლებთან აქტიური თანამშრომლობის გზით შეიძლება იქნეს მიღწეული . ამჟამად ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებადაა გათვითცნობიერებული



თუშეთის ეროვნული პარკის იდეის შესახებ და ინფორმაციის დეფიციტი არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველს ქმნის. არანაკლებ რთულ ამოცანას წარმოადგენს ბრაკონიერობასთან ბრძოლა. ზოგჯერ ბრაკონიერები ვერტმფრენებსაც კი იყენებენ პარკის მიუღწეველ ადგილებამდე მისასვლელად, მაშინ, როცა პარკის მცველებს ხშირად ფეხით, ცხენით ან საუკეთესო შემთხვევაში ჯიპის ტიპის ავტომანქანით მოუწევთ მათთან გამკლავება. ყოველივე ზემოთქმულის გამო, თუშეთის ეროვნული პარკი ძლიერ დაცვით ინფრასტრუქტურას (მაგ., დიდი რაოდენობით მცველების სადგურებს) და საკმაოდ მრავალრიცხოვან შტატს მოითხოვს.

სამართლებრივი / პოლიტიკური ფაქტორები

n პოზიტიური ფაქტორები

„თუშეთის, ბაწარა - ბაბანეურის, ლაგოდეხის და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის“ შესახებ საქართველოს კანონის მიღება და ამ კანონის განხორციელებაში საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი და კოორდინირებული მონაწილეობა, ისევე როგორც ადგილობრივი ორგანოების მხრიდან აქტიური მხარდაჭერა, ნათლად გამოხატავს საქართველოს ხელისუფლების დადებით დამოკიდებულებას თუშეთის დაცული ტერიტორიების მიმართ.

თუშეთის დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვისათვის ხელსაყრელ სამართლებრივ / პოლიტიკურ ფონს ქმნის შესაბამისი საერთაშორისო კანონმდებლობაც, რომელზეც საქართველო მიერთებულია. ამ მხრივ აღსანიშნავია: კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (რიოს კონვენცია), კონვენცია ცხოველთა მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ (ბონის კონვენცია) და სხვ. (შესაბამისი საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების სრული სია მოცემულია მე-6 დანართში).

n ნეგატიური ფაქტორები

წინამდებარე მენეჯმენტის გეგმის განხორციელების საქმეში ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია გარკვეული შეუსაბამობები სამართლებრივ აქტებს შორის. ურთიერთგამომრიცხავი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც მოქმედებს როგორც დაცული ტერიტორიების შიგნით, ისე – მათ გარეთ, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს დაცული ტერიტორიის ეფექტურ მართვაზე. სამართლებრივ დარეგულირებას მოითხოვს დირექციის თანამშრომელთა (მცველების) და საზღვრის დაცვის მუშაკთა უფლება - მოვალეობების გამიჯვნა შესაბამისი დაცული ტერიტორიების ფარგლებში, რაც შესაძლებელია შესაბამისი უწყებების (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს) ერთობლივი ბრძანების საფუძველზე მოხდეს.

ეროვნულ პარკში არსებული საძოვრების მართვას ახორციელებს არა თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია, არამედ – ადგილობრივი მმართველობა. ამიტომ, აღნიშნულ დაცულ ტერიტორიაზე საძოვრების ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობის გზების გამონახვა.

მწირი დაფინანსებისა და შესაძლებლობების გამო, ვერ ხერხდება დაცული ლანდშაფტის ტყეების ადეკვატური მართვა.

თუშეთის ტრადიციული ნადირობა იყო არა მარტო დამატებითი საკვების წყარო (ტრადიციულად შემოდგომა - ზამთრის პერიოდში ნადირობდნენ), არამედ მას დიდი კულტურული დატვირთვაც ჰქონდა. მაგალითად, ჯიხვზე ნადირობა მამაკაცის ფიზიკური და ფსიქოლოგიური უნარების ჩამოყალიბებისა და დემონსტრირების საშუალებად აღიქმებოდა (იხ. აგრეთვე ქვეთავი 2.4.2). დღეს ტრადიციული ნადირობა, რომელიც რესურსების მდგრადი გამოყენების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს, თითქმის აღარაა და მის მკაცრ ტრადიციულ წესებს ცოტა მონადირე თუ მისდევს. თუშეთის ველური ჩლიქოსნების გრძელვადიანი კონსერვაციისთვის აუცილებელია ტრადიციული შეხედულებების გაცოცხლება ადგილობრივ მოსახლეობაში. მეორე მხრივ, იქმნება საკანონმდებლო პრობლემა. საქართველოს კანონმდებლობა არ განასხვავებს სპორტულ და ტრადიციულ ნადირობას და, გარდა გადამფრენი ფრინველებისა, ნებისმიერ ცხოველზე ნადირობა დაშვებულია მხოლოდ სანადირო მეურნეობებში. თუშეთში კი სანადირო მეურნეობა არ არსებობს. ამიტომ ნადირობის ნებისმიერი აქტი, იქნება ეს „ტრადიციული“ თუ „სპორტული ანუ სამოყვარულო“, ბრაკონიერობად ითვლება. თუშეთში ნადირობის შესახებ კანონმდებლობის აღსრულება, ანუ ნადირობის სრული აკრძალვა მეტად რთულია – ალბათ შეუძლებელი და არამიზანშეწონილიც. თუშეთში ბრაკონიერობასთან ბრძოლის ერთ-ერთ გზად შეიძლება მივიჩნიოთ გარკვეულ ადგილებში მკაცრად რეგულირებული ტრადიციული ნადირობის დაშვების განხილვა. ამ ინიციატივას შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება დასჭირდება.

თავი 4. მენეჯმენტის კონცეფცია

4.1. ზოგადი მიზანი

წინამდებარე მენეჯმენტის გეგმა მთავარ მიზნად ისახავს თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის უნიკალური ლანდშაფტების, ჰაბიტატებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. იგულისხმება, რომ ცხოველთა და მცენარეთა პოპულაციების კონსერვაცია მოხდება ბუნებრივ და პრაქტიკულად ხელუხლებელ გარემოში; ბუნებრივი რესურსების გამოყენების ნებისმიერი ფორმა აღიკვეთება თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე, ხოლო თუშეთის



ეროვნულ პარკში ყველა საქმიანობა წარმართება მდგრადი გამოყენების პრინციპების სრული დაცვით; ნებისმიერი ქმედება ჰარმონიზებულია ეკოსისტემის მთლიანობისა და სტაბილურობის შენარჩუნების აუცილებლობასთან. ამასთან, თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი და ეროვნული პარკი კვლავაც იქნება ადგილი, რომლის ხელშეუხებელი ველური ბუნება ნებისმიერ მნახველს უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას მიაჩნებს.

4.2. სტრატეგიული მიზნები

მენეჯმენტის გეგმის ზემოაღწერილი ზოგადი მიზანი გამოსახავს თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის იდეალურ მდგომარეობას. ამ მდგომარეობის მისაღწევად მენეჯმენტის გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც, თავის მხრივ, შემდეგ ძირითად სტრატეგიულ მიზნებს ეფუძნებიან:

სტრატეგიული მიზანი I – დაცვა

ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვა – სუბნივალური, ალპური და სუბალპური ჰაბიტატების და ტყეების, აგრეთვე, ბუნებრივი ეკოსისტემის ყველა ელემენტის დაცვა;

სტრატეგიული მიზანი II – აღდგენა

დეგრადირებული ჰაბიტატების აღდგენა ბუნებრივთან მაქსიმალურად მიახლოებულ მდგომარეობამდე; იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ცხოველებისა და მცენარეების პოპულაციების აღდგენა;

სტრატეგიული მიზანი III – არსებული ცოდნის გაუმჯობესება

ეკოსისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ ყოველი ახალი ინფორმაცია გაზრდის ჩვენს ცოდნას საქართველოს ბუნების შესახებ და ამავედროულად გააუმჯობესებს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტს.

სტრატეგიული მიზანი IV – მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება

როგორც ადგილობრივი, ისე, ზოგადად, ქვეყნის მოსახლეობა უფრო მეტს გაიგებს თუშეთის სილამაზის, ეკოლოგიური, სამეცნიერო და კონსერვაციული მნიშვნელობის, აგრეთვე, პრობლემების შესახებ, რაც მათი მხრიდან მხარდაჭერის საწინდარი იქნება.

სტრატეგიული მიზანი V – ვიზიტორთა კმაყოფილება

ქართველ და უცხოელ ვიზიტორებს საშუალება ექნებათ, დატკბნენ ულამაზესი ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტით, უნიკალური ველური ბუნებითა და თუშეთის დაცული ტერიტორიების სხვა ღირსშესანიშნაობებით;

სტრატეგიული მიზანი VI – ტრადიციული ბუნებათსარგებლობა და რესურსების მდგრადი გამოყენება

რეგიონში ეკოლოგიურად გამართლებული, ტრადიციული და რესურსების დამზოგავი საქმიანობების / ტექნოლოგიების აღდგენა / განვითარება თანაბრად სასიკეთო იქნება როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე დაცული ტერიტორიებისთვის.

სტრატეგიული მიზანი VII – საკუთარი შემოსავლების ზრდა

დაცული ტერიტორიების დირექციის საქმიანობა მოიტანს შემოსავალს, რომელიც გარკვეულწილად დაფარავს მენეჯმენტის ხარჯებს.

სტრატეგიული მიზანი VIII – ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობა

დაცული ტერიტორიის შიგნით და მის დამხმარე ზონაში წარმართული საქმიანობა ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემოსავლის ახალი წყაროების გაჩენას და ტრადიციული დარგების აღორძინებას / შემდგომ განვითარებას.

სტრატეგიული მიზანი IX – გამოცდილების გაზიარება და რეპლიკაცია

გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება საქართველოს თუ მეზობელი ქვეყნების სხვა დაცულ ტერიტორიებთან წარმატებული გამოცდილების რეპლიკაციის (გამეორების) საშუალებს მოგვცემს.

სტრატეგიული მიზანი X – ალიანსების ჩამოყალიბება

თანამშრომლობისა და ურთიერთობების მჭიდრო ქსელის შექმნა საზოგადოებრივი და პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვების/შენარჩუნების საშუალებათ.

პრიორიტეტები

ბოლო ათი წლის განმავლობაში მსხვილი ძუძუმწოვრების პოპულაციების შესამჩნევი შემცირება და გადამეტებული მოვების სერიოზული შედეგები თვალნათლივ მიუთითებენ, რომ დაცვითი რეჟიმის გაუმჯობესება ეროვნული პარკისთვის უპირველეს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. ეს, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია მძლავრი, სათანადოდ აღჭურვილი და კვალიფიციური დირექციის ჩამოყალიბებასთან, რომელსაც უნარი ექნება სახელმწიფო ნაკრძალი და ეროვნული პარკი ეფექტურად დაიცვას ბრაკონიერებისაგან და ასევე აღკვეთოს პირუტყვის უკანონო მოვება. შესაბამისად, „სტრატეგიული მიზანი I - დაცვა“ სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. თუმცა სტრატეგიული მიზნები III, IV, VI და X (შესაბამისად არსებული ცოდნის გაუმჯობესება, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, რესურსების მდგრადი გამოყენება და ალიანსების ჩამოყალიბება) ასევე გულისხმობს ზოგიერთ ისეთ ქმედებას, რომელთა გარეშეც დაცული ტერიტორიის ეფექტური დაცვა წარმოუდგენელია. თუშეთის დაცული ტერიტორიების რთული ტერიტორიული მოწყობისა და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით, დირექციის წარმატებული საქმიანობის უმთავრესი წინაპირობაა მჭიდრო თანამშრომლობა და მძლავრი საგანმანათლებლო მუშაობა ყველა დაინტერესებულ მხარესთან, განსაკუთრებით კი რესურსების მომხმარებლებთან. ასევე



მნიშვნელოვანია მხარდაჭერა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, კერძოდ, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის მხრიდან.

მეორე რიგის პრიორიტეტად უნდა მივიჩნიოთ ეკოტურიზმის განვითარება. ეს საკითხი უშუალო კავშირშია დამატებითი შემოსავლების მიღებასთან (სტრატეგიული მიზანი VII) და თან ხელს შეუწყობს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას (სტრატეგიული მიზანი IV) და ვიზიტორთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას (სტრატეგიული მიზანი V).

ყველა დანარჩენი საქმიანობა მომდევნო რიგის პრიორიტეტად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ რესურსების ნაკლებობის შემთხვევაში, ან სხვადასხვა ქმედებას შორის კონფლიქტის გაჩენისას დირექცია მოქმედებს აქ წარმოდგენილი პრიორიტეტების შესაბამისად.

4.3. ტერიტორიული დაგეგმარება

საქართველოს 2003 წლის კანონით „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდებისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ ოფიციალურად დაფუძნდა თუშეთის დაცული ტერიტორიები: თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი, თუშეთის ეროვნული პარკი და თუშეთის დაცული ლანდშაფტი.

ზემოხსენებული კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ასევე განსაზღვრავს ეროვნული პარკის ტერიტორიულ და ფუნქციურ ზონებს. მენეჯმენტის გეგმაში მოცემულია ამ ზონების სია, მათი საზღვრები და ჩამოყალიბებულია დაცვის რეჟიმი და განაწესი თითოეული მათგანისთვის. თუშეთის ეროვნული პარკის ზონებია: ბუნების მკაცრი დაცვის ზონა, ბუნების მართვადი დაცვის ზონა, ტრადიციული გამოყენების ზონა, აღდგენის ზონა, ვიზიტორთა ზონა და ადმინისტრაციის ზონა.

ამგვარი ტერიტორიული დაგეგმვა დაეფუძნა მეცნიერული კვლევის შედეგებს, კონსულტაციებს, ექსპერტულ შეფასებასა და დაცული ტერიტორიების მართვის მრავალწლიან გამოცდილებას. ეროვნული პარკის ზონების გამოყოფა დაეფუძნა შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს: ტერიტორიის დეგრადაციის/ბუნებრიობის დონე, ანთროპოგენური ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეები, მნიშვნელობა ბიომრავალფეროვნების (განსაკუთრებით იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობების) კუთხით, მნიშვნელობა ცხოველთა სახეობების მიგრაციის კუთხით, ეკოტურისტული პოტენციალი, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პოტენციალი, ეკოსისტემის მოწყვლადობა, ჰაბიტატის და ეკოსისტემის ცალკეული კომპონენტების აღდგენის საჭიროება/შესაძლებლობა. ამ კრიტერიუმების მიხედვით შემუშავდა თუშეთის ეროვნული პარკის ზონირების სისტემა, რაც ოპტიმალურ პირობებს ქმნის მენეჯმენტის გეგმის სტრატეგიული მიზნების განსახორციელებად (ტერიტორიული დაგეგმვის რუკა მოცემულია 1-ლ დანართში).

ამ გეგმის განხორციელების პროცესში შესაძლებელია გამოვლინდეს არსებული ტერიტორიული მოწყობის გადასინჯვის მიზანშეწონილობა, რაც გათვალისწინებული იქნება შემდგომი სამენეჯმენტო პერიოდის (განახლებულ) მენეჯმენტის გეგმაში.

4.3.1. თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი

განმარტება:

სახელმწიფო ნაკრძალი წარმოადგენს უმნიშვნელოდ სახეცვლილ უნიკალურ ეკოსისტემას, რომელიც განსაკუთრებული ღირებულების მქონე ობიექტია მეცნიერული კვლევის თვალსაზრისით. დაცვითი რეჟიმი შეესაბამება IUCN -ის დაცული ტერიტორიის I კატეგორიას.

მიზანი:

სახელმწიფო ნაკრძალში არსებული ფლორისა და ფაუნის დაცვა; ეკოსისტემის თვითრეგულირებადი და სრულყოფილი ფუნქციონირების, მისი დღევანდელი სახის შენარჩუნება; მეცნიერული კვლევა; საგანმანათლებლო საქმიანობა.

ადგილმდებარეობა:

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი მოიცავს მდინარეების: პირიქითისა და გომეწრის ალაზნებისა და ჭანჭახოვანის ხეობებს, კერძოდ, გომეწრის ალაზნის სათავეებს და მისი ხეობის მარჯვენა ფერდობს – დეკიან კომპლექსებსა და სუბალპურ არყნარებს; მდ. პირიქითა ალაზნის ქვემო დინებას, პირიქითის ქედის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილს და მის მიმდებარე ფიჭვნარ ტყეებს დიკლოს მთამდე, მდ. პირიქითის ალაზნის ხეობის მარჯვენა და მარცხენა ფერდობებს მდ. გომეწრის ალაზნთან შესართავამდე. სახელმწიფო ნაკრძალი მოიცავს სოფლების: ომალოს, დიკლოს, შენაქოს, ქუმელაურთის და ხისოს მიმდებარე ტყის მასივებს, პირიქითის და გომეწრის ალაზნების შეერთების ადგილიდან რუსეთის ფედერაციასთან (დაღესტანთან) საქართველოს სახელმწიფო საზღვრამდე მდინარის მარჯვენა და მარცხენა ფერდობებზე არსებულ ტყის მასივებს. თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის საერთო ფართობია 10881 ჰა.

აღწერა-დასაბუთება:

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის დაარსების მთავარი მიზანი 1980 წელს იყო უნიკალური ფიჭვნარებისა (*Pinus kochiana*) და არყნარების (*Betula litvinovii*, *B. raddeana*) კონსერვაცია. გარდა ამისა, ამ ტყეებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს როგორც იშვიათი სახეობების ჰაბიტატებს და, აგრეთვე, ეროზიის პრევენციისა და წყლის რეჟიმის რეგულაციის საქმეში. სუბალპურ ტყეებსა და ბუჩქნარებს (დეკიანებს) ასევე გააჩნიათ ეროზიის, მეწყერისა და ზვავების შემაკავებელი ფუნქცია. ამავე დროს, ამ ცენოზების შემქნელი მცენარეთა სახეობები წარმოადგენენ მესამეულ ენდემურ რელიქტებს.

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტყეების დიდი ნაწილი, პრაქტიკულად, ხელუხლებელადაა შემონახული და ფაუნის მრავალი იშვიათი სახეობისთვის არეალის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ამ სახეობებიდან,



პირველ რიგში, აღსანიშნავია ნიადაგი და ჯიქი. ნიადაგის პოპულაცია კატასტროფულად კლებულობს ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ხოლო ჯიქი, სავარაუდოდ, მხოლოდ ერთეული ინდივიდების სახითაა შემორჩენილი. სხვა სხაეობებიდან საყურადღებოა: არჩვი, მგელი, დათვი, ფოცხვერი და სხვ. ფრინველებიდან გვხვდება იშვიათი ლემინგები და მტაცებლები: ბატკანმერი, სვავი, ორბი, მთის არწივი, შავარდენი და სხვ.

რეგულირება:

სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე „თუშეთის, ბაწარა-ბაზანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, დაშვებულია:

- 1 „არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;
- 1 საგანმანათლებლო საქმიანობა;
- 1 სტიქიური უბედურების, კატასტროფისა და საგანგებო მდგომარეობის დროს, სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის [8] პერსონალის ავტო-, მოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;
- 1 მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;
- 1 საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;
- 1 სახელმწიფო ნაკრძალის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (სახელმწიფო ნაკრძალის ფიზიკური დაცვა);
- 1 უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება სამენეჯმენტო გეგმით გათვალისწინებული შეზღუდვებით“.

შესაბამისად, თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე:

- 1 ვიზიტორთა შესვლა ნაკრძალში დასაშვებია მხოლოდ არამანიპულაციურ სამეცნიერო კვლევებისა და საგანმანათლებლო მიზნებით (ვიზიტორთან წინასწარ ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება);
- 1 სამეცნიერო მიზნით ბიოლოგიური მონაცემებისა და ნიმუშების შეგროვება, სამეცნიერო კვლევა და ინფორმაციის მოპოვება, ხორციელდება დირექციის მკაცრი კონტროლის ქვეშ
- 1 მუდმივი ან დროებითი კონსტრუქციებისა და ნიშნების განთავსება შესაძლებელია დირექციის ოფიციალური თანხმობის შემდეგ;
- 1 გადაადგილება დასაშვებია სპეციალურად გამოყოფილ ბილიკებზე მხოლოდ უმოტორო ტრანსპორტით ან ფეხით.

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა ზემოაღწერილის გარდა. ქვემოთ ჩამოთვლილია აკრძალული ქმედებების ის კატეგორიები, რომლებიც განსაკუთრებით სერიოზულ საფრთხეს უქმნიან სახელმწიფო ნაკრძალს:

- 1 ბუნებრივი რესურსებისა და ტერიტორიის სახელმწიფო საკუთრების შეცვლა ან სარგებლობაში გადაცემა;
- 1 ეკოსისტემის და მისი ცალკეული კომპონენტების მოდიფიცირება;
- 1 აღდგენითი, სამეურნეო თუ რეკრეაციული მიზნით განახლება და, მითუმეტეს, არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების ნებისმიერი სახით ხელყოფა (რღვევა, დაზიანება, ამოღება, შეშფოთება – მათ შორის, ნადირობა, თევზაობა, საქონლის მოვება, თიბვა, მერქნის მოპოვება);
- 1 გარემოს დაზიანება (ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაზიანება ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, რადიოაქტიური ან ნებისმიერი სხვა სახის დამზინებლებით; ასევე ხმოვანი და ვიზუალური შეწუხება);
- 1 თუშეთისთვის უცხო ცოცხალი ორგანიზმების შეყვანა და გავრცელება;
- 1 არასაგანმანათლებლო და არასამეცნიერო მიზნით ვიზიტორთა დაშვება;
- 1 აღნიშნულ ტერიტორიაზე ვიზიტორთა მიერ საბრძოლო, სათევზაო და სანადირო იარაღისა და მოწყობილობების შეტანა;
- 1 ვიზიტორთა ღამისთევა და ტერიტორიაზე ვიზიტორთა ყოფნა სპეციალურად გამოყოფილი დროისა და ადგილების (საგანმანათლებლო ბილიკები) გარდა;
- 1 ვიზიტორთა გადაადგილება მოტორიანი (ავტომობილი, შვეულმფრენი და სხვ.) სატრანსპორტო საშუალებით.

4.3.2. თუშეთის ეროვნული პარკი

განმარტება:

ეროვნული პარკი იქმნება „ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად, სასიცოცხლო და რეკრეაციული საქმიანობისთვის“ (საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, 1996 წ.). დაცული ტერიტორიის ეს კატეგორია შეესაბამება UCN-ის დაცული ტერიტორიის მე-2 კატეგორიას.

მიზანი:

თუშეთის ეროვნული პარკის ზოგადი მიზანია მთის უნიკალური ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების დაცვა და შენარჩუნება, მდიდარი ფლორისა და ფაუნის კონსერვაცია, ეკოტურიზმის განვითარება და რესურსების მდგრადი გამოყენების პრინციპებზე დაფუძნებული ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის შენარჩუნება.

ადგილმდებარეობა:

თუშეთის ეროვნული პარკი მოიცავს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთი და გვერდითი ქედის სამხრეთ კალთებს, მათ შორის მდებარე თუშეთის ქვაბულს და სპეროზის ქედს. მისი ჩრდილოეთი და



ადმოსავლეთი საზღვრები ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს რუსეთის ფედერაციასთან (შესაბამისად, ჩიჩნეთთან და ინგუშეთთან, დაღესტანთან). პარკს სამხრეთიდან ესაზღვრება კახეთი, დასავლეთიდან კი ხევსურეთი. ხევსურეთთან საზღვარი მიუყვება აწუნთის ქედს და გადის თებულოს მთაზე.

პარკის საერთო ფართობი შეადგენს 76004 ჰექტარს (ზონების ამსახველი რუკა მოცემულია 1- ლ დანართში). პარკის ზონების ფუნქციებისა და დაცვის რეჟიმის აღწერა მოცემულია მომდევნო ქვეთავებში.

თუშეთის ეროვნული პარკის ზონებია:

- n ბუნების მკაცრი დაცვის ზონა;
- n ბუნების მართვადი დაცვის ზონა;
- n ტრადიციული გამოყენების ზონა;
- n აღდგენის ზონა;
- n ვიზიტორთა ზონა;
- n ადმინისტრაციის ზონა.

4.3.2.1. ბუნების მკაცრი დაცვის ზონა

განმარტება:

ბუნების მკაცრი დაცვის ზონა იქმნება ხელუხლებელი ბუნების და ეკოტურიზმისა და სამეცნიერო კვლევის განსაკუთრებული პოტენციალის მქონე ტერიტორიაზე.

მიზანი:

თუშეთის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის მიზანია ხელუხლებელი ეკოსისტემების შენარჩუნება ეკოტურიზმისა და არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევის დაშვების პირობებში.

ადგილმდებარეობა: იხ. რუკა, დანართი №1.

აღწერა-დასაბუთება:

თუშეთის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონა მოიცავს პრაქტიკულად ხელუხლებელ ან კარგად შემონახულ საჯიხვეებს, დეკიანებსა და ფიჭვნარებს, რომელთა შენარჩუნებისთვის აუცილებელია ბუნების მკაცრი დაცვის ზონის შესაბამისი რეჟიმი. საერთო ფართობია 22096 ჰა.

რეგულირება:

ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდებისა და ვამლოვანის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 22) თანახმად, დაშვებულია:

- l "არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;
 - l საგანმანათლებლო საქმიანობა;
 - l ეკოტურიზმი;
 - l სტიქიური უბედურების, კატასტროფისა და საგანგებო მდგომარეობის დროს, სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, თუშეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის პერსონალის ავტო-, მოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;
 - l მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;
 - l საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;
 - l ბუნების მკაცრი დაცვის ზონის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (ბუნების მკაცრი დაცვის ზონის ფიზიკური დაცვა);
 - l უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება სამენეჯმენტო გეგმით გათვალისწინებული შეზღუდვებით;
 - l ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება კანონით დადგენილ საზღვრებში“
- შესაბამისად, თუშეთის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის ტერიტორიაზე:
- l ვიზიტორთა შესვლა დასაშვებია სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნებით (ვიზიტორთან წინასწარ ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. იხ. ქვეთავი 5.9);
 - l სამეცნიერო მიზნით ბიოლოგიური მონაცემებისა და ნიმუშების შეგროვება, სამეცნიერო კვლევა და ინფორმაციის მოპოვება ხორციელდება დირექციის მკაცრი კონტროლის ქვეშ;
 - l ტურისტები დაიშვებიან მხოლოდ მაშინ, როცა ტერიტორიაზე მათი ყოფნა ხელს არ უშლის დაცვის რეჟიმის, სამეცნიერო კვლევისა და მონიტორინგის განხორციელებას; ტურისტების გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ბილიკებზე;
 - l მუდმივი ან დროებითი კონსტრუქციებისა და ნიშნების განთავსება შესაძლებელია დირექციის თანხმობის შემდეგ;
 - l გადაადგილება დასაშვებია სპეციალურად გამოყოფილ ბილიკებზე მხოლოდ უმოტორო ტრანსპორტით ან ფეხით.

თუშეთის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა ზემოაღწერილის გარდა. ქვემოთ ჩამოთვლილია აკრძალული ქმედებების ის კატეგორიები, რომლებიც განსაკუთრებით სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ამ ზონას:

- l ეკოსისტემებისა და მათი ცალკეული კომპონენტების მოდიფიკაცია;
- l განახლებადი და, განსაკუთრებით, არაგანახლებადი რესურსების ნებისმიერი სახით გამოყენება (ხელყოფა, დაზიანება, მოპოვება);



1 გარემოს დაბინძურება (ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურება ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, რადიოაქტიური ან ნებისმიერი სხვა სახით, აუდიო და ვიზუალური შემფოთება);

1 თუშეთისთვის უცხო ცოცხალი ორგანიზმების შეყვანა და გავრცელება;

1 ცეცხლის დანთება და ნარჩენების დატოვება;

1 ჭარბი რაოდენობით ვიზიტორთა შესვლა;

4.3.2.2. ბუნების მართვადი დაცვის ზონა

განმარტება:

ზონა წარმოადგენს ბუნებრივ ლანდშაფტს, რომელიც ანთროპოგენური ფაქტორების (ტყის ჩეხვა, ჭარბი მოვება და სხვ.) ზეგავლენის შედეგად ნაწილობრივ სახეცვლილია. ზონა უზრუნველყოფს ეკოსისტემების მდგრადობას მკაცრად რეგულირებული აქტიური სამენეჯმენტო ქმედებების საშუალებით.

მიზანი:

ზონის ძირითადი მიზანია ეკოსისტემების დაცვა და აღდგენა, სახეობების აღდგენა და შენარჩუნება აქტიური სამენეჯმენტო ღონისძიებების საშუალებით და სამეცნიერო სამუშაოების, რეგულირებული ეკოტურიზმისა და საგანმანათლებლო საქმიანობის დაშვების პარალელურად.

ადგილმდებარეობა: იხ. რუკა, დანართი №1.

აღწერა-დასაბუთება:

ბუნების მართვადი დაცვის ზონა მოიცავს ეროვნული პარკის ისეთ ტერიტორიებს, სადაც აუცილებელია მანიპულაციური კონსერვაციული ღონისძიებების განხორციელება ეკოსისტემებისა და მათი ცალკეული კომპონენტების აღდგენა-შენარჩუნებისთვის. მაგ., ამ ზონის ვებოს უბანი პრაქტიკულად ერთადერთი ადგილია, სადაც ჯერ კიდევ შეინიშნება ირმების პერიოდული შემოსვლები მეზობელი დაღესტნიდან. ამ ტერიტორიაზე მეტ-ნაკლებად კარგად შენარჩუნებულია ტყის ჰაბიტატი, რაც ირმის აღდგენის შესაძლებლობას ქმნის. ბუნების მართვადი დაცვის ზონა ასევე მოიცავს ტერიტორიებს დაცულ ლანდშაფტსა და მკაცრი დაცვის ზონას შორის და, ამდენად, ასრულებს გარკვეული ბუფერის როლს. ზონის ყველაზე დიდი მონაკვეთი მდებარეობს ეროვნული პარკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და მოიცავს საყორნოს უღელტეხილსა და ალაზნის ზემო წელის მიდამოებს. საერთო ფართობია 32403 ჰა.

რეგულირება:

ბუნების მართვადი დაცვის ზონაში „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგლდებისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 23) თანახმად, დაშვებულია:

1 „არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა“;

1 საგანმანათლებლო საქმიანობა;

1 ეკოტურიზმი;

1 აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;

1 სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს, სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ავტო -, მოტო - და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;

1 მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;

1 საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;

1 ბუნების მართვადი დაცვის ზონის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (ბუნების მართვადი დაცვის ზონის ფიზიკური დაცვა);

1 უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება სამენეჯმენტო გეგმით გათვალისწინებული შეზღუდვებით;

1 ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება კანონით დადგენილ საზღვრებში“.

შესაბამისად, თუშეთის ეროვნული პარკის ბუნების მართვადი დაცვის ზონის ტერიტორიაზე:

1 დაშვებულია ეკოსისტემების და ბუნებრივი რესურსების კონსერვაციასთან დაკავშირებული აქტიური მართვის ღონისძიებების (მანიპულაციების) ჩატარება;

1 ზონაში დაშვებული ნებისმიერი საქმიანობა ხორციელდება დირექციასთან შეთანხმებით და მისი მხრიდან მკაცრი კონტროლის ქვეშ;

1 ხორციელდება აუცილებელი ზომები ხანძრის თავიდან აცილების მიზნით;

1 დაშვებული საქმიანობის განხორციელების მიზნით, ნებისმიერი სახის მუდმივი ან დროებითი კონსტრუქციები და ნიშნები მაქსიმალურად ჰარმონიზებულია გარემოსთან და მათი განთავსება ხდება დირექციასთან შეთანხმებით;

1 გადაადგილება დაშვებულია უმოტორო ტრანსპორტით (ცხენით, ფეხით, ნავით და ა.შ.) და, დირექციასთან წინასწარი შეთანხმებით, ავტომანქანით მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ მარშრუტებზე.

თუშეთის ეროვნული პარკის ბუნების მართვადი დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა ზემოაღწერილის გარდა. ქვემოთ ჩამოთვლილია აკრძალული ქმედებების ის კატეგორიები, რომლებიც განსაკუთრებით სერიოზულ საფრთხეს უქმნის ამ ზონას:

1 ეკოსისტემებისა და მათი ცალკეული კომპონენტების მოდიფიკაცია;

1 ბუნებრივი რესურსების ნებისმიერი სახით გამოყენება (ხელყოფა, დაზიანება, მოპოვება);

1 გარემოს დაბინძურება (ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურება ქიმიური, ბაქტერიოლოგიური,



- რადიოაქტიური ან ნებისმიერი სხვა სახით, აუდიო და ვიზუალური შემოთავაზება);
- 1 ცეცხლის დანთება და ნაგვის გადაყრა, გარდა ამ მიზნებისთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;
- 1 ტრანსპორტით გადაადგილება დაცული ტერიტორიების დირექციასთან შეთანხმების გარეშე;
- 1 თუშეთისთვის უცხო ცოცხალი ორგანიზმების შეყვანა და გავრცელება;
- 1 ტერიტორიაზე ვიზიტორთა მიერ საბრძოლო, სათევზაო და სანადირო იარაღისა და მოწყობილობების შეტანა;
- 1 ვიზიტორთა ღამისთევა და ტერიტორიაზე ვიზიტორთა ყოფნა სპეციალურად გამოყოფილი დროისა და ადგილების (მაგ., საგანმანათლებლო ბილიკები, თავშესაფრები) გარდა;
- 1 ჭარბი რაოდენობით ვიზიტორთა შესვლა;
- 1 ტერიტორიისა და ბუნებრივ რესურსებზე სახელმწიფო საკუთრების შეცვლა.

4.3.2.3. ტრადიციული გამოყენების ზონა

განმარტება: ტრადიციული გამოყენების ზონა წარმოადგენს დაცული ტერიტორიის ნაწილს, სადაც ბუნების დაცვის პარალელურად დაშვებულია ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა, მაგალითად, თიბვა, ძოვება, შემის მოპოვება (თუმცა დაუშვებელია ხვნა-თესვა). ამასთან, სამეურნეო საქმიანობის ინტენსივობა რეგულირდება, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროების, ისე ბუნებრივი პროდუქტიულობის მიხედვით.

მიზანი:

ტრადიციული გამოყენების ზონის მთავარი მიზნებია ბუნების დაცვის უზრუნველყოფის პარალელურად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილება რესურსების მდგრადი გამოყენების პრინციპზე დაფუძნებული ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის დაშვების გზით და ტრადიციულ თუშურ მეცხვარეობასთან დაკავშირებულ შინაურ ცხოველთა შენარჩუნება-აღდგენის ხელშეწყობა.

ადგილმდებარეობა: იხ. რუკა, დანართი №1.

აღწერა-დასაბუთება:

ტრადიციული გამოყენების ზონა მოიცავს ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებულ საძოვრებს. ზონის საერთო ფართობია 19129 ჰა

რეგულირება:

ტრადიციული გამოყენების ზონაში აკრძალულია:

- 1 არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების ნებისმიერი სახით გამოყენება (ხელყოფა, დაზიანება, მოპოვება);
- 1 გარემოს დაზიანდობა (ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაზიანდობა ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, რადიოაქტიური ან ნებისმიერი სხვა სახით);
- 1 თუშეთისთვის უცხო ცოცხალი ორგანიზმების შეყვანა და გავრცელება;
- 1 არატრადიციული ჯიშების შეყვანა/გავრცელება და მათი ადგილობრივ ჯიშებთან შეჯვარება;
- 1 მიწათმოქმედება (ხვნა-თესვა) და არატრადიციული მუდმივი სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
- 1 ტრანსპორტით გადაადგილება დაცული ტერიტორიების დირექციასთან შეთანხმების გარეშე;
- 1 ჭარბი რაოდენობით ვიზიტორთა შესვლა;
- 1 ტერიტორიისა და ბუნებრივ რესურსებზე სახელმწიფო საკუთრების შეცვლა.

ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულია:

- 1 ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა (კერძოდ, ტრადიციული მეცხვარეობა) და განახლებადი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება;
- 1 არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარება ;
- 1 მონიტორინგის სამუშაოების ჩატარება ;
- 1 ეკოტურიზმისა და რეკრეაციის მიზნით, ვიზიტორთა დაშვება ;
- 1 ეკოსისტემების და ბუნებრივი რესურსების აღდგენასთან დაკავშირებული აქტიური მართვის ღონისძიებების (მანიპულაციების) ჩატარება ;
- 1 ტრადიციულ თუშურ მეცხვარეობასთან დაკავშირებული შინაურ ცხოველთა შენარჩუნება - აღდგენის ღონისძიებების ჩატარება ;
- 1 საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;
- 1 რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული ფიზიკური დაცვის, სამაშველო და სხვა აუცილებელი ღონისძიებების გატარება;
- 1 გარემოსთან ჰარმონიზებული ტრადიციული შენობა-ნაგებობების დადგმა;
- 1 სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება დირექციასთან შეთანხმებით;
- 1 ხანძრის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელი ზომების გატარება.

4.3.2.4. აღდგენის ზონა

განმარტება:

აღდგენის ზონა იქმნება ანთროპოლოგიური ზეგავლენის გამო დაზიანებული და სახეცვლილი ეკოსისტემებისა და მათი ცალკეული კომპონენტების (მცენარეული საფარი, ნიადაგი, სახეობები) აღდგენის მიზნით.

მიზანი:

აღდგენის ზონის ძირითადი მიზანია დეგრადირებული ეკოსისტემებისა და მათი ცალკეული კომპონენტების აღდგენა და დეგრადაციის გამომწვევი ანთროპოგენული ფაქტორების შეზღუდვა. ამასთან,



აქტიურ ადდგენით ღონისძიებებთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება თვითადდგენის ხელშეწყობას, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს.

ადგილმდებარეობა:

ზონა მოიცავს ჩილოს ხევს (იხ. რუკა, დანართი №1). ზონის საერთო ფართობია 2376 ჰა.

აღწერა-დასაბუთება:

ჩილოს ხევის უბანი წარმოადგენს მნიშვნელოვან ტერიტორიას ნიადაგის დაცვის, მოვების შედეგად ტერიტორია საკმაოდ დეგრადირებულია და ამჟამად ნაკლებად გამოიყენება ნიადაგის დაცვის მიერ. მიუხედავად ამისა, ამ ადგილებს რეალური პოტენციალი აქვს ნიადაგის დაცვის რეკონსტრუქციის კუთხით.

რეგულირება

ადდგენის ზონაში აკრძალულია:

1 ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც იწვევს ბუნებრივი გარემოს შემდგომ შეცვლას/დეგრადაციას;

1 განახლებადი და, განსაკუთრებით, არაგანახლებადი რესურსების ნებისმიერი სახით ხელყოფა (ზიანი, მოპოვება, სიმყუდროვის დარღვევა, ნადირობა, თევზჭერა, პირუტყვის მოვება, ხეების ჭრა);

1 გარემოს დაზიანება (ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაზიანება ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, რადიოაქტიური ან ნებისმიერი სხვა სახით; აგრეთვე, აუდიო და ვიზუალური შეშფოთება, გარდა ადდგენითი ღონისძიებებისთვის აუცილებელი ქმედებებისა);

1 თუშეთისთვის უცხო ცოცხალი ორგანიზმების შეყვანა და გავრცელება;

1 ვიზიტორთა დაშვება;

1 ტერიტორიასა და ბუნებრივ რესურსებზე სახელმწიფო საკუთრების შეცვლა და იჯარით გაცემა.

ადდგენის ზონაში დაშვებულია:

1 ეკოსისტემებისა და მათი ცალკეული კომპონენტების ადდგენასთან დაკავშირებული აქტიური მართვის ღონისძიებების (მანიპულაციების) ჩატარება;

1 არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარება ;

1 მონიტორინგის სამუშაოების ჩატარება (მათ შორის , ადდგენის პროცესის მონიტორინგი);

1 სტიქიური უბედურების , კატასტროფის , საგანგებო მდგომარეობისა და ადდგენითი სამუშაოების დროს , სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით , მოტორიანი სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება ;

1 საკადასტრო სამუშაოების განხორციელება ;

1 ხანძარსა და სხვა სახის ღონისძიებების ჩატარება ;

1 ადდგენის ზონის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისთვის აუცილებელი ღონისძიებების ჩატარება (ადდგენის ზონის ფიზიკური დაცვა);

უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება სამენეჯმენტო გეგმით გათვალისწინებული შეზღუდვებით .

4.3.2.5. ვიზიტორთა ზონა

განმარტება:

ვიზიტორთა ზონა წარმოადგენს ვიზიტორთა მისაღებად სპეციალურად მოწყობილ ტერიტორიას, სადაც განთავსებულია შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

მიზანი:

ვიზიტორთა ზონის მიზანია ბუნებრივი გარემოს დაცვის პარალელურად რეკრეაციის, ეკოტურიზმის და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება და ვიზიტორთათვის შესაბამისი პირობების შექმნა გარემოზე ზიანის მიყენების გარეშე.

ადგილმდებარეობა:

ზონა მოიცავს ტურისტულ მარშრუტებსა და მიმდებარე ღონისძიებებს ადდგენებს (იხ. დანართები №1 და №8).

აღწერა-დასაბუთება:

ვიზიტორთა ზონა მოიცავს მაღალი ესთეტიკური ღირებულების ლანდშაფტებს, მრავალფეროვან ჰაბიტატებს, მათ შორის ასაკოვან ფიჭვნარებს, სუბალპურ ბუჩქნარებს, სუბალპურ და ალპურ მდელოებს, მყინვარებს. (ტურისტული მარშრუტები ასევე მოიცავენ დაცულ ლანდშაფტში მდებარე ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს – ეკლესიებს, სოფლებს, კომპებს და მთის არქიტექტურის სხვა უნიკალურ ნიმუშებს).

რეგულირება

ვიზიტორთა ზონის კონკრეტულ უბანზე მოქმედებს ყველა აკრძალვა, რაც გათვალისწინებულია ეროვნული პარკის იმ ზონის დაცვის რეჟიმით, რომელზეც ეს უბანი მდებარეობს.

ვიზიტორთა ზონაში დაშვებულია:

n ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ბილიკები, თავშესაფრები, გადასახედი პლატფორმები, დასასვენებელი ადგილები და გარემოსთან ჰარმონიზებული სხვა კონსტრუქციები);

n ვიზიტორთა მიღება ეკოტურიზმისა და რეკრეაციის მიზნით;

n გადაადგილება ავტომანქანით (გარდა იმ უბნებისა, სადაც მოტორიანი ტრანსპორტით გადაადგილება აკრძალულია), ფეხით ან ცხენით;

n ფოტო და ვიდეო გადაღებები, ვიზუალური დაკვირვება ფლორისა და ფაუნის სახეობებზე ზემოქმედებისა და შეშფოთების გარეშე;



- n ღამისთევა სპეციალურად მოწყობილ თავშესაფრებში;
- n ხანძრის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელი ზომების მიღება.

4.3.2.6. ადმინისტრაციის ზონა

განმარტება:

ზონა მოიცავს ტერიტორიებს, სადაც განლაგებულია დაცვის, კონტროლისა და უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა.

მიზანი:

სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ეფექტური დაცვისა და მართვისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა.

ადგილმდებარეობა:

თუშეთის ეროვნული პარკის ზაფხულის ადმინისტრაციული ცენტრი მდებარეობს ომალოში, ხოლო ზამთრის ადმინისტრაციული ცენტრი – ბაბანეურში.

მცველთა სადგურებია:

- n „ჭერო“;
- n „სამხევი“;
- n „ორწყალი“;
- n „თუშეთი“;
- n „სპეროზა“;
- n „ქვახიდი“;
- n „ალაზნის თავი“.

რეგულირება:

- ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურისთვის ადგილების შერჩევა ხდება გარემოსადმი მინიმალური ზიანის მიყენების პრინციპის გათვალისწინებით;
- დასაშვებია მხოლოდ ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიაში მყოფი შენობა-ნაგებობებისა და ტერიტორიების მოწყობა;
- ხორციელდება ხანძარსაწინააღმდეგო კონტროლი .

4.3.3. თუშეთის დაცული ლანდშაფტი

განმარტება:

დაცული ლანდშაფტი იქმნება მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული როგორც ბუნებრივი, ისე ჰარმონიზებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრეაციულ-ტურისტული და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისთვის.

ადგილმდებარეობა:

თუშეთის დაცული ლანდშაფტი მოიცავს თუშეთის ტერიტორიაზე არსებულ დასახლებებს, მათ მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ტყეების ნაწილს, გზებს. მის ტერიტორიას მიეკუთვნება: თუშეთის ქედის სამხრეთი ფერდობის ქვედა ნაწილი (სოფლების ზოლი) მდ. პირიქითის ალაზნამდე ვრცელდება სოფ. გირევიდან ლაშარის გორამდე; მდ. თუშეთის ალაზნის ხეობის მარცხენა ფერდობი წოვათიდან ომალომდე; მდ. გომეწრის ალაზნის მარჯვენა ფერდობი სოფ. ალისგორიდან სოფ. გოგრულთამდე (სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიის გამოკლებით); ჭანჭახოვნის სოფლების ტერიტორია მდ. ხისოს ალაზნის მარცხენა ფერდი „ურციხიდან“ სოფ. ხახაბომდე; სოფლების: ომალოს, შენაქოს, დიკლოს მიმდებარე სავარგულები. მისი საერთო ფართობი შეადგენს 31434 ჰა-ს.

მიზანი:

თუშეთის დაცული ლანდშაფტის მიზნებია: თუშეთის ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტების შენარჩუნება; ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება (რაც უნდა განხორციელდეს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობითა და მათი ზედამხედველობით. ამასთან, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესში); უნიკალური ეკოსისტემების, ბუნების ცალკეული კომპონენტების დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა; რეკრეაციულ-ტურიზმის წახალისება; განახლებადი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და ტრადიციული მეურნეობის აღდგენა; ხალხური შემოქმედებისა და ტრადიციული რეწვის წახალისება; შინაურ ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების (ცხვარი, ცხენი, ნაგაზი), როგორც აგრობიომრავალფეროვნებისა და კულტურის უნიკალური მემკვიდრეობის აღდგენა/შენარჩუნება; ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და დამატებითი შემოსავლების გენერირება.

აღწერა-დასაბუთება:

მდიდარი ისტორიული, კულტურული და რელიგიური ძეგლებისა და გასაოცარი სილამაზის ბუნებრივი და ნახევრადბუნებრივი გარემოს კომბინაცია თუშეთში უნიკალური ესთეტიკური ღირებულების ბუნებრივ-კულტურულ ლანდშაფტს ქმნის.

თუშეთში შემორჩენილია ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლთა შემდეგი სახეები: საკულტო-რელიგიური და მემორიალური, საზოგადოებრივი, თავდაცვითი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თუშეთის სოფლები. მათ შორისაა მიტოვებული ციხე-სოფლები, მთის ტრადიციული არქიტექტურის უნიკალური კომპლექსები: ჭონთიო, ჰელო, დაქიურთა, ნაკუდურთა, ძველი



დიკლო, წარო, მოზართა, ინდურთა, ეთელთა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ძველი და შედარებით ახალი არქიტექტურის მქონე სოფლები: დართლო, დოჭო, შენაქო, და ა.შ.

საკულტო - რელიგიურ ძეგლებს შორისაა : ჯვარ - ხატები , რომლებიც , ჩვეულებრივ რამდენიმეა თითოეულ სოფელში ; მემორიალური საყდრები , როგორცაა ადგილობრივი ქრისტიანული არქიტექტურის ნიმუშები - საყდარ - აკლდამები დართლოში , გუდაანთაში და წაროში ; XIX საუკუნის ეკლესიები ჯვარბოსელში , ბოჭორნაში , ილიურთაში , ომალოში , შენაქოში , ნაციხარში , დართლოში და ფარსმაში .

თუმეთში განირჩევა საბრძოლო - თავდაცვითი ნაგებობების , ციხე - კოშკების შემდეგი ტიპები : ცალფერდა და ორფერდა სახურავიანი ციხეები გვხვდება ოთხივე თემში : წოვათაში , გომეწარში , ჩაღმაში , პირიქითში ; შეწვერილი ციხეები (პირამიდულსახურავიანი კოშკები) გვხვდება პირიქითის თემში , კერძოდ , დართლოში , კვავლოში , გირევიში , ჰელოში და ჭონთიოში .

თუმეთში გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლებიდან აღსანიშნავია უძველესი ნამოსახლარები (მაგ ., ნიშტაყოს გორა , სოფ . შენაქო) და სამარხები : ბრინჯაო - რკინის ხანის სამაროვნები სოფ . ომალოში ; აკლდამები , მიწისზედა და მიწისქვეშა სამარხები : ჰელოში , ჩილოში , ალისგორში და წაროში .

ისტორიული განსახლების სისტემა პირიქითა ალაზნის ხეობაში ხაზოვანია (მდინარის გასწვრივ) , გომეწარის ალაზნის ხეობაში ჩიხური განშტოებებია (ალაზნის შენაკადების გასწვრივ) , ხოლო ამ ორი ალაზნის თავშეყრის ქვაბულში (ჩაღმა თემი) - შერეულ - თავისუფალი .

დაცული ლანდშაფტის უმეტესი ნაწილი საუკუნეების მანძილზე განიცდიდა ანთროპოგენურ ზეგავლენას. შესაბამის ტერიტორიებზე წარსულში აქტიურად მიმდინარეობდა ხვნა-თესვა, როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონლის მოშენება. მომთაბარე მეცხვარეობა უხსოვარი დროიდან წამყვანი საქმიანობაა. დაცული ლანდშაფტის უმეტესი ნაწილი ზაფხულის საძოვრებია. მიუხედავად ამისა, ტერიტორიაზე მაინც შემორჩენილია პრაქტიკულად ხელუხლებელი ტყეები (მაგ., არყნარები) და დეკიანები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ზვავებისა და ეროზიის პრევენციის კუთხით. არყნარები და დეკიანები, ამავე დროს, სასიცოცხლო ჰაბიტატებია კავკასიური როჭოსა და სხვა სახეობებისთვის. დაცული ლანდშაფტი მოიცავს იშვიათი სახეობების, მათ შორის, მსხვილი ძუძუმწოვრების, მუდმივ თუ დროებით არეალებსა და თავშესაფრებს.

თუმეთის დაცული ლანდშაფტის საძოვრებისა და სხვა განახლებადი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა ადგილობრივი მოსახლეობის გრძელვადიანი კეთილდღეობის და ამავე დროს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საწინდარია. ეს კი ასევე ხელს შეუწყობს ეროვნული პარკის ეფექტურად ფუნქციონირებას და ფლორისა და ფაუნის სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების შენარჩუნებას.

რეგულირება:

დაცულ ლანდშაფტში იკრძალება:

- არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების ხელყოფა (რღვევა , დაზიანება , ამოღება) ;
- ისტორიულად ჩამოყალიბებული ისტორიულ - კულტურული გარემოს ხელყოფა ; არატრადიციული სამშენებლო მასალების გამოყენებით ტრადიციული არქიტექტურული სტილისათვის მიუღებელი შენობა - ნაგებობების მშენებლობა ან რეკონსტრუქცია (პეიზაჟის მოდიფიკაცია და ესთეტიკური პოტენციალის დაქვეითება) ;
- გარემოს დაზინძურება (ნიადაგის , წყლის , ჰაერის ქიმიური , ბაქტერიოლოგიური და ნებისმიერი სახის რადიაქტიური დაზინძურება , აუდიო - და ვიზუალური შემფოთება) ;
- უცხო და ეგზოტიკურ ცოცხალ ორგანიზმთა გავრცელება ;
- ჭარბი რაოდენობით ვიზიტორთა დაშვება .

დაცულ ლანდშაფტში დაშვებული საქმიანობები:

- გარემოს, ისტორიულ-კულტურული ძეგლების აღდგენა-კონსერვაცია;
- არქეოლოგიური, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობები და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი;
- ეკოსისტემების, ფლორისა და ფაუნის სახეობების აღდგენა / კონსერვაცია ;
- ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა .

4.3.4. დამხმარე ზონა

განმარტება:

ეს ზონა არ წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ დაცვის კატეგორიას და მოცემული მენეჯმენტის გეგმის მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება როგორც ერთ - ერთი ფუქციონალური ზონა , ანუ დაცული ტერიტორიის უშუალო სიახლოვეში ადგილობრივ მოსახლეობასა და ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობის არაფორმალური ზონა და მოიცავს თუმური ეთნოსის განსახლების არეალს კახეთის ბარში .

დაცული ტერიტორიების დირექციას უფლება აქვს მოითხოვოს სახელმწიფო ნაკრძალის და ეროვნული პარკის ფარგლებს გარეთ ისეთი საქმიანობის შეჩერება , რომელსაც დაცულ ტერიტორიაზე უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეს .

მიზანი:

დამხმარე ზონის ძირითადი მიზანია გარემოს დაცვისა და ეკონომიკური განვითარების



ინტერესების ინტეგრაცია, რათა დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ არ განხორციელდეს ისეთი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უარყოფით ზეგავლენას მოახდენს დაცულ ტერიტორიაზე ან მის ეფექტურ მართვაზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ისეთი ქმედებები, როგორცაა: მიწათსარგებლობის ოპტიმალური სისტემის ჩამოყალიბება, განახლებადი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოსდაცვითი კუთხით გამართლებული საქმიანობების წახალისება, გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგი და სხვ. მენეჯმენტის გეგმა მოიცავს დამხმარე ზონის სპეციალურ პროგრამას მოსახლეობისა და ხელისუფლების მხარდასაჭერად (იხ. ქვეთავი 6.5).

ადგილმდებარეობა:

დამხმარე ზონა მოიცავს თუშეთის ეროვნული პარკის სამხრეთი საზღვრის გაყოლებაზე, უშუალო სიახლოვეს მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და დასახლებულ პუნქტებს მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს ხადორიდან მდინარე ლოპოტის შესართვამდე, კერძოდ, შემდეგ სოფლებს: პანკისის ომალო, დუმასტური, ხალაჩანი, ზემო ალვანი, ქვემო ალვანი, ლალისყური, ფშაველი, ლეჩური. დამხმარე ზონა მოიცავს აგრეთვე პირუტყვის გადასარეკ ტრასებს და დასასვენებელ მოედნებს თუშეთის საზაფხულო სამოვრებიდან შირაქ-ელდარის საზამთრო სამოვრებამდე.

საქმიანობის ძირითადი სფეროები:

n უპირველესი პრიორიტეტია თანამშრომლობა ადგილობრივ მართვის ორგანოებთან (განსაკუთრებით, განვითარების გენერალური გეგმისა და რეგიონალური გეგმის შემუშავების სფეროში)

n ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში დაცული ტერიტორიების დირექციის მონაწილეობის უზრუნველყოფა;

n მცირე გრანტების პროგრამის განხორციელება;

n დეგრადირებული სამოვრების, ტყეების, სასოფლო-სამეურნეო მიწების, მდინარეების ნაპირების აღსადგენად მიმართული საქმიანობა;

n ეკოსისტემებისა და ბუნებრივი რესურსების მონიტორინგის ხელშეწყობა;

n ტრადიციული მეწარმეობის და ტურიზმის განვითარებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა;

n ტრადიციული ხალხური შემოქმედების (მუსიკა, ფოლკლორი, პოეზია და სხვა) შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობი ღონისძიებების განხორციელება.

თავი 5. საქმიანობის სფეროები და მართვის სტრატეგიული მიმართულებები

4.2 ქვეთავში ჩამოყალიბებული სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციამ, დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის დახმარებით, შეიმუშავა მართვის სტრატეგიული მიმართულებები. დოკუმენტის ლოგიკური ფაზულის სიმარტივისა და მენეჯმენტის პრაქტიკულობის უზრუნველყოფის მიზნით, მართვის სტრატეგიული მიმართულებები დაჯგუფებულია საქმიანობის სხვადასხვა სფეროდ (იხ. ქმედებათა ლოგიკური ცხრილი – დანართი №3).

5.1. დირექცია

5.1.1. დაცული ტერიტორიების დირექციის განვითარება

ამ სტრატეგიული მიმართულების ძირითადი მიზანია ეფექტურად ფუნქციონირებადი დირექციის ჩამოყალიბება, რომელიც შეძლებს კანონით მინიჭებული მანდატის სრულად განხორციელებასა და დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრას. „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდებისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით თუშეთის დაცულ ტერიტორიებს (თუშეთის დაცული ლანდშაფტის გარდა) მიენიჭა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. 2005 წლის 7 ნოემბრის პრეზიდენტის №926 ბრძანებულებით კი დამტკიცდა მისი დებულება, რომელიც განსაზღვრავს დირექციის საქმიანობის სფეროს და უფლება-მოვალეობებს.

შესაბამისი კანონმდებლობის და თავისი დებულების მიხედვით, თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია ახორციელებს მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებულ საქმიანობებს. ამ მხრივ საყურადღებოა შემდეგი:

1 თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციას აქვს შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურა. იგი შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისგან შედგება: ადმინისტრაციული, ფინანსური მართვის, რესურსების მართვის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინტერპრეტირების, დაცვის და სამეურნეო საქმიანობის სამსახურები. თანამშრომელთა უფლება-მოვალეობანი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია ამ მენეჯმენტის გეგმით (იხილეთ დანართი №5);

1 თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია განთავსდება ორ ოფისში: ომალოში ზაფხულის, ხოლო ბაბანეურში ზამთრის განმავლობაში. ორივე მათგანი სრულად იქნება აღჭურვილი;

1 ეფექტურად ფუნქციონირებისთვის დაცული ტერიტორიების დირექციას, ისევე, როგორც ცალკეულ პროგრამებს, ესაჭიროება შესაბამისი აღჭურვილობა. გარდა სპეციფიკური აღჭურვილობისა, დირექციის სამსახურებს სჭირდებათ საერთო სარგებლობის საოფისე ტექნიკა და საშუალებები;

1 თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების იურიდიული ბაზა განსაზღვრულია ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით, დებულებით, მენეჯმენტის გეგმით, საოპერაციო რეგულაციებითა და ყოველწლიური სამოქმედო გეგმებით;

1 დირექცია უფლებამოსილია, მართოს სახელმწიფო ნაკრძალსა და ეროვნულ პარკში არსებული რესურსები



ტერიტორიის დაცვითი კატეგორიის შესაბამისად;

1 თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია ახორციელებს სახელმწიფო ნაკრძალსა და ეროვნულ პარკში კანონდარღვევათა აღკვეთას;

1 დაცულ ტერიტორიებზე დირექცია უფლებამოსილია, აწარმოოს ტერიტორიის დაცვასთან დაკავშირებული შემოვლები და სხვა საქმიანობა, აღკვეთოს დარღვევები, შეაფასოს მიყენებული ზარალი და, შესაბამისი ნორმების მიხედვით, საქმე გადასცეს სასამართლო ან საგამომიებო ორგანოებს;

1 ვიზიტორებს ემსახურება დირექციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და ვიზიტორთა მომსახურებასთან დაკავშირებული კონცესიონერები.

1 თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გრანტებიდან და საკუთარი შემოსავლებიდან. სახელმწიფო-საბიუჯეტო დაფინანსების მექანიზმი გათვალისწინებულია კანონმდებლობით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების წილი განისაზღვრება ყოველწლიურად ბიუჯეტის კანონის მიხედვით;

1 თუშეთის დაცული ტერიტორიების აღჭურვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითადი ნაწილი დაფინანსდება დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტით (ეს პროექტი 2006 წლის 31 დეკემბერს მთავრდება). სხვა ხარჯები კი დაიფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დაცული ტერიტორიების საკუთარი შემოსავლებიდან და შემოწირულობებიდან;

1 დებულებით გათვალისწინებულია ტურისტული მომსახურებით და სხვა სახის საკუთარი შემოსავლების განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც მნიშვნელოვანი სიახლეა;

1 მენეჯმენტის გეგმა განსაზღვრავს ექვსწლიანი მიზნობრივი დაფინანსების მოცულობას და მასზე დაყრდნობით დირექცია შეიმუშავებს წლიურ სამოქმედო გეგმას; ეს უკანასკნელი შეიცავს დაცული ტერიტორიების დაფინანსების დეტალურ გეგმას, რომელიც წინასწარ თანხმდება დაცული ტერიტორიების დეპარტამენტთან;

1 დირექცია ეყრდნობა არსებულ ადამიანურ რესურსს (კადრებს), კვალიფიკაციის ასამაღლებლად კი ატარებს ტრენინგებს და სასწავლო ტურებს.

5.1.2. თვითმონიტორინგი და განხილვები

მენეჯმენტის ეფექტურობის რეგულარული განხილვა ადაპტური მართვის მთავარი წინაპირობაა. დაცული ტერიტორიების მართვის პროცესში განხორციელებული თითოეული ქმედება თუ ღონისძიება კრიტიკულად უნდა შეფასდეს მართვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. მენეჯმენტის ეფექტურობის ობიექტური შეფასებისთვის რეგულარულად განხორციელდება შემდეგი სამი პროცედურა:

1. მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მექანიზმი

თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია გამოიყენებს „მსოფლიო ბანკისა და WWF-ის ალიანსის“ მიერ მომზადებულ „მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მექანიზმს“^[9], რომელიც სპეციალურად დაცული ტერიტორიებისთვისაა შექმნილი. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა შედარებით მარტივად და სწრაფად მოგროვდეს საჭირო ინფორმაცია მართვის ეფექტურობისა და მიღწეული პროგრესის შესაფასებლად. ამ მეთოდით მართვის ეფექტურობის შეფასება ტარდება წელიწადში ერთხელ.

2. სოციალურ-ეკონომიკური კვლევები

ეფექტური მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ასპექტია სოციალურ-ეკონომიკური და ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების მუდმივი მონიტორინგი. დაცული ტერიტორიების განვითარების პროგრამის ფარგლებში ამგვარი მონიტორინგის დეტალური გეგმა და შესაბამისი კითხვარი შეიმუშავა საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ასოციაციამ GORBI.

(იხ. დანართი №12).

3. ყოველწლიური დეტალური განხილვები

მენეჯმენტის ეფექტურობის მონიტორინგის სტანდარტული პროგრამის დეტალები შემუშავდება წლიურ სამუშაო გეგმასთან ერთად. წლიური სამუშაო გეგმა განსაზღვრავს მართვის პროცესში განხორციელებული საქმიანობის უმთავრეს პუნქტებსა და საკითხებს. თითოეული საქმიანობის შეფასება მოხდება მიღწეული შედეგების მიხედვით. საჭიროებისამებრ მომზადდება შენიშვნები.

ზემოაღწერილი სამივე მეთოდით ჩატარებული შეფასების შედეგების შესახებ მომზადდება საერთო ანგარიში, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მომდევნო სამუშაო გეგმას.

5.1.3. დაფინანსება

სახელმწიფო ბიუჯეტი

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ([„საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“](#)), დაცული ტერიტორიების დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი

მე-11 დანართში წარმოდგენილი საბიუჯეტო ცხრილებიდან ჩანს, რომ მენეჯმენტის გეგმის განხორციელება დიდწილად ფინანსდება დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტით, რომელიც გარემოს გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს. ეს პროექტი მთავრდება 2006 წლის ბოლოს.

საკუთარი შემოსავლები

სახელმწიფო ბიუჯეტის გარდა, კანონით დაშვებულია დაფინანსების სხვა საშუალებებიც. დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის მხარდაჭერით დაცული ტერიტორიების დირექციამ შეიმუშავა შემოსავლების გამომუშავების სტრატეგია და გააკეთა შემოსავლების პროგნოზირება სამენეჯმენტო გეგმის



განხორციელების პერიოდისთვის. ამ სტრატეგიის მიხედვით, შემოსავლის მთავარი წყარო იქნება ვიზიტორთათვის გაწეული მომსახურება და გაცემული კონცესიები. მთლიანი შემოსავლის 80% ხელმისაწვდომი იქნება დირექციისათვის, ხოლო 20% მოხმარდება საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის დაფინანსებას.

შემოსავლის პოტენციური წყაროებია:

- ეროვნულ პარკში შესასვლელი ბილეთების გაყიდვა ;
- ეკოტურიზმიდან მიღებული შემოსავალი ;
- ღამისთვის ღირებულება ;
- კონცესიები .

შემოსავლების პროგნოზი მოიცავს დაცული ტერიტორიების მიერ ვიზიტორთათვის გაწეული მომსახურებების დეტალურ ჩამონათვალს და პოტენციურ შემოსავლებს (იხ . დანართი №12).

შემოსავლის სხვა წყაროები

დამატებითი დაფინანსების მოზიდვა შესაძლებელია სხვადასხვა დონორი ორგანიზაციისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან (WWF, USAID). აგრეთვე სახელმწიფო შეკვეთისა და სხვა მხარეებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების სახით ; საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით .

5.1.4. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნა

„თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მითითებით, დებულების თანახმად, თუშეთის დაცული ტერიტორიების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც იქმნება საზოგადოებრივ საწყისებზე. იგი არა მარტო თვალყურს ადევნებს დირექციის საქმიანობას, არამედ ყველანაირად ეხმარება მას. მაგალითად, მონაწილეობს სტრატეგიის შემუშავებაში; მუშაობს ადგილობრივ მოსახლეობასთან, განსაკუთრებით, დამხმარე ზონაში, ურთიერთობას ამყარებს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან; ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან (მაგ., ილ ვწის დაცული ტერიტორიის ინტერესების დასაცავად რაიონული დაგეგმვის დროს).

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო შედგება ისეთი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, როგორებიცაა: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ადგილობრივი საკრებულო და გამგეობა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, განათლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს უფლება-მოვალეობები და რეგლამენტი განსაზღვრულია თუშეთის დაცული ტერიტორიის დირექციის დებულებით (დანართი №4).

5.2. ინფრასტრუქტურა

საქმიანობის ეს სფერო მოიცავს დაცული ტერიტორიების დირექციის მუშაობისთვის, ტერიტორიის დაცვისა და ვიზიტორთა მომსახურებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარებას. დაგეგმილია ინფრასტრუქტურის ისეთი კომპონენტების მოწყობა, როგორებიცაა: ადმინისტრაციული ოფისები და ვიზიტორთა ცენტრები, საინფორმაციო ცენტრები, მცველთა საგუშაგოები, თავლები, ტურისტული მარშრუტები, საინტერპრეტაციო პლატფორმები, პანორამული გადასახედები, საკემპინგო ადგილები და სხვ.

მენეჯმენტის გეგმაში წარმოდგენილი კონცეფცია ინფრასტრუქტურის ადგილ-მდებარეობებისა და ფუნქციების შესახებ ხანგრძლივი და დეტალური დაგეგმარების პროცესის შედეგია. დაგეგმილი ინფრასტრუქტურა ითვალისწინებს ტერიტორიის ეფექტური მართვის მოთხოვნებსა და ვიზიტორთა მომსახურების საჭიროებებს. ტურისტული ინფრასტრუქტურა ითვალისწინებს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში შემუშავებულ რეკომენდაციებს (ეკოტურიზმის მენეჯმენტის გეგმა^[10]).

ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის ადგილების შერჩევას გამოყენებულია შემდეგი კრიტერიუმები: სტრატეგიული მდებარეობა ტერიტორიის კონტროლისთვის, ველურ ბუნებაზე მინიმალური ზეგავლენა, ლანდშაფტის სიმყუდროვის მინიმალურად დარღვევა, ვიზიტორთა მოზიდვა, პრაქტიკული კრიტერიუმები (გზებისა და წყლის არსებობა, მანძილები, არსებული ბილიკები, ხედების სილამაზე). დაგეგმილი ინფრასტრუქტურის რუკა მოცემულია 1-ლ დანართში.

დემარკაცია

ჩატარებულია თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკისა და დაცული ლანდშაფტის დემარკაცია. საზღვრის აღმნიშვნელი ნიშნულები ასიმეტრიულადაა განლაგებული დაცული ტერიტორიების პერიმეტრის გასწვრივ. ნიშნულების განლაგების სიმჭიდროვე გეოგრაფიულად გამოკვეთილ საზღვრებში (ხეობა, მდინარის ნაპირი, ქედი და ა.შ.) მცირდება, დაცვის თვალსაზრისით კრიტიკულ ადგილებში კი იზრდება (ასეთ ადგილებში მნიშვნელოვანია, რომ საზღვარი ადვილად გამოსაცნობი იყოს). სასაზღვრო ნიშნულს წაკვეთილი ტრაპეციის ფორმა აქვს. მასში ჩამონტაჟებულია ოთხკუთხა ფირფიტა, რომელზეც ამოტვიფრულია დაცული ტერიტორიის აღმნიშვნელი ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) წარწერა და სასაზღვრო წერტილის რიგითი ნომერი (სახელმწიფო ნაკრძალი შემოსაზღვრულია 404 ნიშნულით, ეროვნული პარკი კი – 378 ნიშნულით). მასზე ასევე დატანილია ისარი, რომელიც მიუთითებს მიმართულებას. სასაზღვრო ნიშნულები შეტანილი იქნება მიწის კადასტრში.



5.3. შესაძლებლობების გაძლიერება და ტრენინგი

საქმიანობის ამ სფეროში შემუშავდება და განხორციელდება ტრენინგის პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ტრენინგის პროგრამა მოიცავს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის ყველა ასპექტს. ყურადღება გამახვილდება ისეთ კომპონენტებზე, როგორებიცაა:

1 კომპიუტერის გამოყენება;

1 მცველების ტრენინგი (დაცული ტერიტორიის ფიზიკური დაცვის ღონისძიებები, კანონდარსრულება და სხვ.);

1 ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა, სამაშველო ოპერაციები;

1 ინგლისური ენის შესწავლა;

1 მონიტორინგის მეთოდები (გარემოსა და სოციალური მონიტორინგი);

1 კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;

1 ინტერპრეტაცია, ბუნებათმცოდნეობის პედაგოგიკა, საგანმანათლებლო საქმიანობა, ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები;

1 დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი;

1 ადმინისტრაციული უნარ-ჩვევები, ბუღალტერია, შესყიდვები.

5.4. საზოგადოებასთან ურთიერთობა (მათ შორის, ბიზნეს-ურთიერთობები)

5.4.1. საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამა

საზოგადოებრივი ურთიერთობები მოიცავს დაცულ ტერიტორიებთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული მოსახლეობის ყველა ფენას, მათ შორის, ადგილობრივ, ეროვნულსა და საერთაშორისო დონეზე. პროგრამა შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

n ინფორმაციის გავრცელება

ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობა ხორციელდება ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალებით, რიგორცაა: რეკლამირება, დაცული ტერიტორიების და კონსერვაციის თემაზე საინფორმაციო და სამეცნიერო ინფორმაციის გავრცელება მასმედიით (რადიო, ტელევიზია და პრესა), ასევე, ვებგვერდის პერიოდული განახლება. გამოიცემა მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის კალენდრები, ბროშურები და რუკები; მომზადდება აუდიო-ვიზუალური მასალები, რომელთა დემონსტრირება მოხდება ვიზიტორებთან შეხვედრებზე, სემინარებზე, საზოგადოების თავშემყრის ადგილებში. საინტერპრეტაციო მასალის სახით ეს ყველაფერი განთავსდება დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა და საინფორმაციო ცენტრებში. მოეწყობა სემინარები, მუშა-ჯგუფების შეხვედრები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან. დამზადდება სუვენირები და სხვა ნივთები (მაისურები, ქუდები, ა.შ.), რომელზეც გამოსახული იქნება თუშეთის დაცული ტერიტორიების ემბლემა.

n ვიზიტების ორგანიზება

თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია პერიოდულად მოიწვევს მთავრობისა და პარლამენტის წევრებს ისეთ ღონისძიებებზე, როგორებიცაა: თუშეთის (გარდა თუშეთის დაცული ლანდშაფტისა) დაცული ტერიტორიების გახსნა, ევროპის დაცული ტერიტორიების დღე, ტრადიციული დღესასწაულები და ა.შ. ურთიერთობების გასაღრმავებლად დაფინანსდება საქართველოში აკრედიტებული საელჩოების მაღალჩინოსნების ვიზიტები.

n სპეციალური ღონისძიებების ორგანიზება

- ყოველწლიურად მოეწყობა ტრადიციული რეწვის ნიმუშების გამოფენა ომალოს საინფორმაციო ცენტრში;

- ყოველწლიურად, თუშეთობის დღესასწაულზე, მოეწყობა ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა საინფორმაციო და ვიზიტორთა ცენტრებში. ჩატარდება კონკურსი, რომელიც გამოავლენს საუკეთესო ნიმუშს და გამარჯვებული მიიღებს პრიზს (მაგ., დაცული ტერიტორიის ემბლემიან მაისურს, ქუდს);

- თუშეთის დაცული ტერიტორიების დაარსების აღსანიშნავად ყოველწლიურად გაიმართება ღონისძიებები ვიზიტორთა და საინფორმაციო ცენტრებში; სკოლის მოსწავლეთა, ზოგადად ახალგაზრდების მონაწილეობით ჩატარდება გარემოსდაცვითი აქციები, მაგ., ხეების დარგვა, ტერიტორიების დასუფთავება და სხვ.;

- მოეწყობა ვიქტორინები სკოლის მოსწავლეებისა და ვიზიტორების მონაწილეობით ისეთ საკითხებში, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო ნაკრძალში მოქცევის წესები და სავლე უნარ-ჩვევები, ბუნების ცოდნა და სხვ. გამარჯვებულებს გადაეცემათ პრიზები;

- დირექცია მონაწილეობას მიიღებს თბილისისა და საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებსა და ბაზრობებში;

- დამყარდება თანამშრომლობა სხვადასხვა უნივერსიტეტთან, რაც გულისხმობს ისეთ ერთობლივ ქმედებებს, როგორცაა: თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე სტუდენტებისთვის სავლე პრაქტიკის ჩატარება, თემატური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა და სხვ.;

- მოეწყობა კონკურსები ჟურნალისტებისთვის, თუშეთის დაცული ტერიტორიების მედიაში გაშუქების მიზნით.

n პარტნიორული ურთიერთობები

ჩამოყალიბდება გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობები სხვადასხვა უწყებასა თუ ორგანიზაციასთან. ეს, ძირითადად, გულისხმობს შემდეგს:

- შეთანხმებებისა და მემორანდუმების გაფორმება თანამშრომლობის შესახებ (მაგ., მესაზღვრეებთან, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, სასოფლო-სამეურნეო სექტორთან, მეზობელი ქვეყნების



სტრუქტურებთან ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის დამყარების მიზნით);

- დაცული ტერიტორიების მენეჯმენტში თანამონაწილეობის უზრუნველყოფა (მაგ., კონცესიები);
- ერთობლივი პროექტების განხორციელება (დონორთა მოზიდვა, კონსერვაციული და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად).

5.4.2. კონცესიები

კონცესიონერებთან თანამშრომლობა ეფუძნება დაცული ტერიტორიებისა და კონცესიონერთა ინტერესების ოპტიმალური თანხვედრის პრინციპს.

კონცესიონერთა ინტერესები და უფლება-მოვალეობებია:

- n შემოსავლის მიღება;
- n თანამშრომლობა თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციასთან;
- n თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციისაგან სათანადო ინფორმაციის დროული მიღება;
- n დაცული ტერიტორიების დირექციასთან რეგულარული შეხვედრები;
- n დოკუმენტაციის სწორად წარმოება.

დაცული ტერიტორიების დირექციის ინტერესები და უფლება-მოვალეობებია:

- n დაცული ტერიტორიის მიზნებისა და ამოცანების განხორციელება;
- n დაცული ტერიტორიების ფიზიკური დაცვა;
- n ვიზიტორთა ოპტიმალური რაოდენობა;
- n თანამშრომლობის განვითარება;
- n მაღალი დონის მომსახურება;
- n უსაფრთხოება;
- n სანიტარიული წესების დაცვა;
- n დოკუმენტაციის სწორად წარმოება.

არსებობს კონცესიების ორი კატეგორია: (1) კონცესიები თუშეთის დაცული ტერიტორიების ძირითადი საშუალებების გამოყენების უფლებით და (2) კონცესიები დაცული ტერიტორიების ძირითადი საშუალებების გამოყენების უფლების გარეშე. კონცესიონერებთან ურთიერთობა რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზის გამო, ვერ მოხერხდება კონცესიების გაცემა, დაცული ტერიტორიების დირექცია თავად განახორციელებს ვიზიტორთა მომსახურებას.

კონცესიები დაცული ტერიტორიების ძირითადი საშუალებების გამოყენების უფლებით გულისხმობს შემდეგს:

- n ღამისთევა ომალოსა და გონთაის ვიზიტორთა ცენტრებში (კომფორტული პირობები და მომსახურება);
- n ღამისთევა ვიზიტორთა თავშესაფრებში (ნაკლებად კომფორტული პირობები და მომსახურება);
- n სუვენირების, პოლიგრაფიული, აუდიო, ვიდეო და სხვა ალჭურვილობის გაყიდვა საინფორმაციო და ვიზიტორთა ცენტრებში;
- n ვიზიტორთა და საინფორმაციო ცენტრების საკვები პროდუქტებითა და მომსახურებით უზრუნველყოფა.

კონცესიები დაცული ტერიტორიების ძირითადი საშუალებების გამოყენების უფლების გარეშე გულისხმობს შემდეგს:

- n სამედიცინო რეკრეაციული მომსახურება;
- n ალჭურვილობის გაქირავება;
- n საცხენოსნო ტურები;
- n საესკორტო მომსახურება;
- n საკვებით მომარაგება და მომსახურება;
- n სათავგადასავლო (ჯომარდობის ჩათვლით) ტურები;
- n თემატური ტურები.

კონცესიების გაცემა მოხდება კონკურსის საფუძველზე. ჩატარდება ღია და გამჭვირვალე კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლება ადგილობრივ და უცხოურ კომპანიებსა და ფიზიკურ პირებს. მთავარი კრიტერიუმები იქნება: მომსახურების ხარისხი და ღირებულება; პრეტენდენტის შესაძლებლობები და სხვ.

კონცესიონერებთან თანამშრომლობა ხორციელდება მჭიდრო კონტროლისა და მონიტორინგის პირობებში, რაც გულისხმობს მათი საქმიანობის შემდეგი ასპექტების შეფასებას:

- ა) დოკუმენტაციის წესრიგში ქონა;
- ბ) ზოგადად საქმიანობის წარმართვა;
- გ) ვიზიტორთა შთაბეჭდილებები;
- დ) ხელშეკრულების პირობების შესრულება.

5.4.3. ინტერპრეტაციისა და განათლების პროგრამა

ინტერპრეტაციისა და განათლების პროგრამის მთავარი მიზანია დაცული ტერიტორიების როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენა ბიომრავალფეროვნების დაცვის საქმეში. იგი ითვალისწინებს ინტერპრეტაციის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას. პროგრამა მხარს დაუჭერს სკოლებსა და უნივერსიტეტებში მიმდინარე გარემოსდაცვით საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე, მიზნობრივსა და საინტერესო ინფორმაციას გაავრცელებს ვიზიტორთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.

მასმედია, ადგილობრივი და ცენტრალური პრესა, რადიო და ტელევიზია რეგიონისა და ქვეყნის



მოსახლეობას მიაწოდებს ინფორმაციას დაცული ტერიტორიების, მათი მიზნებისა და ამოცანების და იქ მიმდინარე საქმიანობის შესახებ. ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას დაცული ტერიტორიების არსისა და დანიშნულების შესახებ; სტიმულს მისცემს საზოგადოების გააქტიურებას ბუნების დაცვის ადგილობრივი და რეგიონალური პრობლემების გადაწყვეტაში.

ფართო საზოგადოებამდე ინფორმაციის მიტანა მოხდება ისეთი თემატური საინფორმაციო მასალების გავრცელებითაც, როგორცაა ბროშურები, ბუკლეტები, კალენდრები და სხვ.

ექსკურსიები დაცულ ტერიტორიებზე ბავშვებში გარემოს დაცვის ცნობიერების ამაღლების საუკეთესო ხერხია. ახალგაზრდა სტუმრები გაეცნობიან საინფორმაციო დაფებსა და ნიშნებს და გაიგებენ ბევრ ახალს საკუთარი ქვეყნის ბუნების შესახებ. ინტერპრეტაციის სპეციალისტები ბავშვებს მიაწვდიან ინფორმაციას დაცული ტერიტორიების როლის შესახებ და გააცნობენ ბუნებაში მოქცევის წესებს.

დაცული ტერიტორიების რეკლამირება ტურიზმის განვითარების საერთო სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ვიზიტორთა მოსაზიდად რეკლამირების/ინფორმაციის გავრცელების შემდეგი საშუალებებია გათვალისწინებული: ტურისტული გზამკვლელების, ბუკლეტების, ვიდეო და აუდიო მასალის, ასევე ფოტოებისა და სხვა პროდუქციის გავრცელება სასტუმროებსა და ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებში, ასევე, სხვა დაცული ტერიტორიების საინფორმაციო და ვიზიტორთა ცენტრებში; რეგიონული და ეროვნული მასშტაბით რეკლამირება სახელმწიფო და კომერციულ სატელევიზიო არხებზე, თემატურ და პოპულარულ გაზეთებსა და ჟურნალებში; ვებგვერდის შექმნა; ეროვნული და საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებსა და ბაზრობებში მონაწილეობა; რეკლამირება ტურიზმის ეროვნულსა და საერთაშორისო კატალოგებში.

5.5. დაცული ლანდშაფტისა და დამხმარე ზონის პროგრამა

საქმიანობის ამ სფეროს მიზანია თუშეთის დაცული ლანდშაფტისა და ამ მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრული დამხმარე ზონის (ქვეთქავი 4.3.4) მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. ქვემოთ ჩამოთვლილია ძირითადი მიმართულებები, რომელთა განხორციელება დაგეგმილია ამ მენეჯმენტის გეგმის ფარგლებში და შესაბამისი ქმედებებისთვის დაფინანსება გათვალისწინებულია გეგმის ბიუჯეტში (დამატებით მენეჯმენტის გეგმა ასევე გვთავაზობს დაცული ლანდშაფტისთვის რეკომენდებულ პრიორიტეტულ ქმედებათა ნუსხას, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც ზოგადად თუშეთის მდგრად განვითარებას, ისე სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ეფექტურ მართვას, იხ. დანართი №10).

მონაწილეობა რაიონული დაგეგმარების პროცესში

დაცული ტერიტორიების დირექცია აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მონაწილეობს რაიონული დაგეგმარების პროცესში. ამჟამინდელი სიტუაციის გათვალისწინებით დირექციამ შესაბამისი რეკომენდაციები უნდა შესთავაზოს ადგილობრივ ხელისუფლებას. დაცული ტერიტორიების დირექცია რაიონის დაგეგმარებისას ყურადღებას ამახვილებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მჭიდროდ თანამშრომლობს დაგეგმვის ადგილობრივ სპეციალისტებთან. ამ მხრივ დირექციას ყველანაირად ეხმარება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო.

სამოვრების მართვა და აღდგენა

მენეჯმენტის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ პროგრამას დაცულ ლანდშაფტში სამოვრების შემდგომი დეგრადაციის შეჩერებისა და უკვე დეგრადირებული ადგილების რეაბილიტაციის მიზნით (იხ. ქვეთავი 5.7). ამ პროგრამის ერთ-ერთი ამოცანაა სოფლის მეურნეობის ადგილობრივ სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით მდგრადი მეცხვარეობის განვითარება. ამისათვის, მოხდება შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის, ჩატარდება სამუშაო შეხვედრები და სემინარები და ჩამოყალიბდება სამოვრების თანამონაწილეობრივი მართვის მუდმივმოქმედი ფორუმი – სამუშაო ჯგუფი. უმთავრესი ამოცანა იქნება სამოვრების მართვის გაუმჯობესება და ტრადიციული მეცხვარეობის აღდგენა. საწყის ეტაპზე სამოვრების აღდგენის სამუშაოები განხორციელდება ორ ყველაზე მეტად დეგრადირებულ ადგილას: სოფლების ჯვარბოსელისა და დოჭუს მიდამოებში. ამ ადგილებში სამოვრებისა და ნიადაგსაფარის მდგომარეობა ყველაზე საგანგაშოა.

თუშეთთან სატრანსპორტო მიმოსვლის გაუმჯობესება

ზამთრის სეზონის განმავლობაში თუშეთი პრაქტიკულად მოწყვეტილია დანარჩენ საქართველოს და ვერტმფრენი ერთადერთი სატრანსპორტო საშუალებაა. ზაფხულის პერიოდში საავტომობილო გზა იხსნება, მაგრამ იგი საკმაოდ ცუდ მდგომარეობაშია. დაცული ლანდშაფტისა და დამხმარე ზონის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თუშეთთან რეგულარული საჰაერო მიმოსვლის დანიშვნის შესაძლებლობის შეფასება. წინასწარი ინფორმაციით შესაძლებელი უნდა იყოს მცირე ტევადობის სატრანსპორტო თვითმფრინავის რეგულარული რეისების დანიშვნა. ვერტმფრენისგან განსხვავებით, მცირე ზომის თვითმფრინავის რეისები საგრძნობლად იაფია და სავსებით ხელმისაწვდომი იქნება როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე ტურისტებისთვის. ამგვარი რეგულარული რეისები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თუშეთის ეკონომიკურ, განსაკუთრებით ტურიზმის, განვითარებას და გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას.

შემოსავლების გამომუშავება

ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად უნდა ჩაერთოს ისეთ საქმიანობებში, რომელსაც მისთვის შემოსავლის მოტანა შეუძლია: ხალხური რეწვის ნიმუშების გაყიდვა, ოჯახური სასტუმროები, თუშური ცხენის და ქართული ნაგაზის მოშენება, ვიზიტორთა საკვებით მომარაგება, აღჭურვილობის გაყიდვა/გაქირავება, ვიზიტორთა მომსახურების კონცესიები და სხვ.

სპეციალური საგრანტო პროგრამა, ე. წ. მცირე გრანტების პროგრამა, ხორციელდება დაცული ლანდშაფტისა



და დამხმარე ზონის მოსახლეობის, ადგილობრივი მცირე ბიზნესისა და სხვა ჯგუფების მიერ ეკოლოგიურად გამართლებული საქმიანობის განხორციელებაში მხარდასაჭერად. მცირე გრანტების პროგრამა ამ გზით დაეხმარება არამართო მოსახლეობას, არამედ სახელმწიფო ნაკრძალსა და ეროვნულ პარკს.

მცირე გრანტების პროგრამის პრიორიტეტებია:

- კულტურული ლანდშაფტების აღდგენა და კონსერვაცია;
- რეგიონში ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
- ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება;

5.6. ვიზიტორთა მომსახურება

ვიზიტორთა მომსახურების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება

თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა მომსახურების ერთიანი სისტემის დანერგვა პოტენციურ ვიზიტორებს საშუალებას მისცემს, მიიღონ მაღალი დონის მომსახურება არა მართო უშუალოდ ვიზიტის დროს, არამედ იმ მომენტიდანვე, როცა ისინი თუშეთში ჩამოსვლას გადაწყვეტენ. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რომ პოტენციურ ვიზიტორებს ადვილად შეეძლოთ დაცული ტერიტორიების და შემოთავაზებული მომსახურებების შესახებ ინფორმაციის მოძიება. დაცული ტერიტორიის თანამშრომლების მხრიდან ისინი მიიღებენ კვალიფიცირებულ და დროულ მომსახურებას (ტურების დაჯავშნა, შემოთავაზებულ მომსახურებათა სრული ჩამონათვალის მიღება და ა.შ.).

დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის მხარდაჭერით შემუშავდა ეკოტურიზმის მენეჯმენტის გეგმა (MALVER, 2004), რომელიც შემდეგ ძირითად საკითხებს განსაზღვრავს:

ვიზიტორთა მომსახურების სისტემის ძირითადი მოთხოვნები:

1. გარემოზე ზეგავლენის შეფასების ანგარიშით შემუშავებული რეკომენდაციების დაცვა;
2. ვიზიტორთა უსაფრთხოების მაღალი დონე;
3. სრული შესაბამისობა გაყიდულ და რეალურ მომსახურებას შორის (ვიზიტორი სრულად იღებს იმას, რისთვისაც ფული გადაიხადა).

ვიზიტორთა ძირითადი ჯგუფები:

ასაკობრივი ჯგუფები:

- ახალგაზრდები – სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები;
- უფროსები და ბავშვები – ოჯახები;
- ასაკოვანი ადამიანები (მაგ. პენსიონრები).

ვიზიტორთა ჯგუფები ინტერესების მიხედვით:

- ვიზიტორები შემოქმედებითი ინტერესით (მხატვრები, ფოტოგრაფები, ვიდეოგადაღებების მოყვარულები);
- კულტურითა და ისტორიით (ხალხური რეწვა, ტრადიციები, ისტორიულ-კულტურული ძეგლები)

დაინტერესებული ვიზიტორები;

- საგანმანათლებლო ინტერესის მქონე ვიზიტორები (უმალესი სასწავლებლების სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები);

- სამეცნიერო კვლევების ჩატარებით დაინტერესებული ვიზიტორები (სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები, სამეცნიერო არასამთავრობო ორგანიზაციები);

- ფრინველებზე და სხვა ცხოველებზე დაკვირვებით დაინტერესებული ვიზიტორები.

ვიზიტორთა ჯგუფები მოქალაქეობის მიხედვით:

- უცხოელი მოქალაქეები (უცხოელი ტურისტები, საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციების უცხოელი თანამშრომლები);
- საქართველოს მოქალაქეები.

ვიზიტორთა ჯგუფები ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ვიზიტორები (მოხუცები, ინვალიდები, მცირეწლოვანი ბავშვები)
- ვიზიტორები გაზრდილი შესაძლებლობებით (გამოცდილი საველე მეცნიერები, საველე პირობებს მიჩვეული მოგზაურები, სპორტსმენები და ა.შ.).

თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციას ყველა მიზნობრივი ჯგუფისთვის შესაბამისი რეკომენდაციები და შეზღუდვები ექნება. ვიზიტორთა ჯგუფები, უმეტესად, შერეული ტიპის იქნება. დაცული ტერიტორიების შესაბამისი მომსახურები თითოეული ჯგუფისათვის გაითვალისწინებს შესაბამის შემოთავაზებას, რეკომენდაციასა და შეზღუდვას.

შემოთავაზებები და მომსახურება:

- საფეხმავლო ბილიკები (ტურები);
- საკემპინგო ტერიტორიები;
- საცხენოსნო ტურები;
- ფრინველებზე და სხვა ცხოველებზე დაკვირვების ტურები;
- კომბინირებული ტურები;
- ფოტო და ვიდეო გადაღებები;
- დღესასწაულებზე დასწრება;
- ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენები;
- თევზაობა (ანკესით, ბადით, „ხელაობა“; ტრადიციული გამოყენების ზონაში);
- საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება (საგანმანათლებლო მასალა, ეკოლოგიური ბანაკები,



ექსკურსიები, სემინარები);

– სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები.

მომსახურების სახეები:

– საინფორმაციო მომსახურება (გამოფენა, პოლიგრაფიული და აუდიო-ვიზუალური, ელექტრონული ქსელი, ვერბალური);

– უსაფრთხოება/სამაშველო მომსახურება;

– საესკორტო მომსახურება;

– საკვებით მომარაგება;

– ღამისთევა;

– სატრანსპორტო მომსახურება;

– საველე აღჭურვილობისა და ინვენტარის გაქირავება (კარები, საძილე ტომრები და სხვ.).

ვიზიტორთა მომსახურების სფეროში თანამშრომლობა:

– თანამშრომლობა დაცული ლანდშაფტისა და დამხმარე ზონის მოსახლეობასთან;

– თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ტუროპერატორებთან, სამეცნიერო ინსტიტუტებთან, სხვა საკითხებით დაინტერესებულ კომპანიებთან).

ეკოტურიზმის მენეჯმენტის გეგმის პრინციპებზე დაყრდნობით, დაცული ტერიტორიების დირექციამ შეიმუშავა და სრულად აღწერა ტურისტული ბილიკების სისტემა, რომელიც ეროვნული პარკის ვიზიტორთა მომსახურების ცენტრალური კომპონენტი იქნება (იხილეთ დანართი №8).

5.7. ჰაბიტატებისა და სახეობების მენეჯმენტი

სამოვრების მართვისა და ტრადიციული მეცხვარეობის აღდგენის პროგრამა

სამოვრების მართვა მენეჯმენტის გეგმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რომელსაც კომპლექსური და მასშტაბური სპეციალური პროგრამა ეძღვნება. ეს პროგრამა შემდეგ ძირითად ქმედებებს ითვალისწინებს:

n **კვლევა:** სამოვრის პროდუქტიულობის შეფასების გზით დადგინდება დასაშვები დატვირთვები კონკრეტული ადგილებისთვის. საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრის მიერ შექმნილი სატელიტური სურათების გამოყენებით შეიქმნება შესაბამისი რუკები. მოგროვდება სრული ინფორმაცია ცხვრის რაოდენობისა და სამოვრების ამჟამინდელი დატვირთვის შესახებ. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდება რეკომენდაციები ცხვრის დასაშვები რაოდენობის და ძოვების რეჟიმის შესახებ კონკრეტული ტერიტორიებისთვის.

n **ძოვებაზე კონტროლი** : ძოვების მართვის სფეროში ერთ-ერთ პირველი ნაბიჯი იქნება მკაცრი კონტროლის დაწესება ცხვრის ძოვებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღალმთიან სამოვრებზე ძოვების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგადი წესების დაცვა. ამ წესების დაცვა ზოგ ადგილას შესაძლოა საკმარისი კი იყოს სამოვრის დეგრადაციის შეჩერების და ბუნებრივი აღდგენის წახალისებისთვის. ზოგადად, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე (შესაბამის ზონაში) ცხვრის ძოვების მართვა, უპირველეს ყოვლისა, განხორციელდება სამოვრის უტილიზაციის დონის კონტროლის მეშვეობით. ექსპერტების მიერ განისაზღვრება მაქსიმალური დასაშვები ნორმა (ცხვრის რაოდენობა ერთ ჰექტარზე). წინასწარი რეკომენდებული დატვირთვა შემდეგნაირია: 5-6 ცხვარი, ან 2 ძროხა, ან 2 ცხენი ერთ ჰექტარზე. კონკრეტული სამოვრის გამოყენების წესები და ძოვების ნორმები განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომელსაც სამოვრის მომხმარებელს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები გარკვეული ვადით გაუფორმებს დაცული ტერიტორიების დირექციასთან წინასწარი შეთანხმებით. დაცული ტერიტორიების დირექცია განხორციელებს კონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წესების შესრულებაზე.

n **ინფორმაციის გავრცელება და თანამშრომლობა სამოვრების მართვის საკითხებში:** აქტიურად განხორციელდება კონკრეტული ქმედებები ძოვების ტრადიციული მეთოდების აღდგენის წახალისებისთვის. ამისათვის მოეწყობა შეხვედრები და სემინარები მეცხვარეებთან და, საჭიროების მიხედვით მომზადდება სათანადო საკანონმდებლო ინიციატივა. მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება მთელი პროცესის გამჭვირვალობა და დაცული იქნება თანამონაწილეობის პრინციპი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ურთიერთობა და მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება. ამისათვის დაცული ტერიტორიების დირექცია გამოვა სამოვრების მართვის მუდმივმოქმედი და თანამონაწილეობრივი ჯგუფის ჩამოყალიბების ინიციატივით, რომელშიც გაერთიანდება ყველა დაინტერესებული მხარე. ეს ჯგუფი რეგულარულად გამართავს თათბირებს, სადაც განიხილავენ ძოვების მართვის საკითხებს, შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს და დაგეგმავენ ადეკვატურ ქმედებებს.

n **სადემონსტრაციო პროექტი** : სოფლების ჯვარბოსელისა და დოჭუს სამოვრების უძძიმესი მდგომარეობის გათვალისწინებით, სამოვრების რეაბილიტაციის სადემონსტრაციო პროექტები, პირველ რიგში, სწორედ ამ ორ ადგილას განხორციელდება. ამ გამოცდილების გათვალისწინებით სასურველია მსგავსი ღონისძიებები შემდგომში სხვა დეგრადირებულ სამოვრებზეც განხორციელდეს.

სახეობების მენეჯმენტი

თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე სახეობების მენეჯმენტის მხრივ, უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მსხვილ ძუძუმწოვართა სახეობების ბუნებრივი აღდგენისთვის პირობების შექმნა, ანუ მათი პოპულაციების კლების ტენდენციის შეჩერება და ზრდის წახალისება. ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია დაცული ტერიტორიების ეფექტური დაცვა და აქტიური საგანმანათლებლო სამუშაოს ჩატარება ბრაკონიერობის პრევენციის მიზნით. თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის პრიორიტეტული სახეობებია



ნიათრორი და ჯიხვი. ამ ორი სახეობის ჰაბიტატები პრიორიტეტულ „დაცვის ზონებს“ წარმოადგენენ. ყველა შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ასევე წამყვან საკითხად უნდა იქცეს ჯიხვისა და ნიათრორის დაცვის პრობლემა და ყურადღება უნდა გამახვილდეს ამ ცხოველების ესთეტიკურ-კულტურულ, სიმბოლოურ, ტურისტულ და სხვა მნიშვნელობაზე. ნიათრორი გახდება თუშეთის დაცული ტერიტორიების სიმბოლო (რაც, შესაძლებელია, ემბლემაშიც აისახოს).

ცხოველთა საკვანძო სახეობების მდგომარეობის გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია კანონდარღვლების და დაცული ტერიტორიის ფიზიკური დაცვის პროგრამის ეფექტურ განხორციელებასთან (ქვეთავი 5.8). დაცული ტერიტორიების დირექცია მაქსიმალური ეფექტურობისთვის და კანონდარღვევათა აღკვეთა-პრევენციისთვის მჭიდროდ ითანამშრომლებს მესაზღვრეებსა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან, ასევე სასამართლო ხელისუფლებასთან, მონადირეებთან და სხვ.

კონკრეტული ქმედებები, სახეობების მენეჯმენტის კუთხით, დაგეგმილია აღდგენისა და ბუნების მართვადი დაცვის ზონებში (იხ. ქვეთავი 6.7.2), რაც ნიათრორისა და ირმის პოპულაციის აღდგენას ითვალისწინებს.

ამ მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პერიოდში მონიტორინგისა და სამეცნიერო კვლევის შედეგად დაგროვდება მეტი ინფორმაცია, რაც სახეობაზე ორიენტირებული კონკრეტული ქმედებების დაგეგმვის საშუალებას მოგვცემს (მაგ. შესაძლებელია სამოქმედო გეგმების ჩამოყალიბება ჩლიქოსნებისთვის, ლეოპარდისთვის, ფოცხვერისთვის და სხვ.)

ბუნებრივი რესურსების გამოყენება (სამოვრების გარდა)
დაცული ტერიტორიების დირექციის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა მოიცავს განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენების რეგულირებას ეროვნული პარკის შესაბამის ზონებში. სამოვრების გარდა იგულისხმება ისეთი რესურსები, როგორცაა: შეშა, არამერქნული რესურსები, თევზი და სხვ. დაგეგმილია ბუნებრივი რესურსების გამოყენების ნორმების განსაზღვრა, რაც მხოლოდ სრულფასოვან შეფასებებს უნდა დაეყრდნოს. მანამდე კი დაიშვება ზოგიერთი რესურსის მკაცრად რეგულირებული გამოყენება ადგილობრივი მოსახლეობის შეუცვლელი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

n **შემის მოპოვება** : ტრადიციული გამოყენების ზონის ტყეებიდან შემის მოპოვება დაიშვება მხოლოდ ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში. შეშა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაეცემა ადგილობრივ მოსახლეობას, იმ ადამიანებს, ვინც მუდმივად რჩება თუშეთში, აგრეთვე, სასაზღვრო პუნქტებს. შემის გამოყენება თავად დაცული ტერიტორიის დირექციაც. რესურსების მართვის სპეციალისტი მცველთა სამსახურთან ერთად ახორციელებს კონტროლს აღნიშნული საქმიანობის განხორციელებაზე.

n **არამერქნული რესურსების გამოყენება**: ადგილობრივი მოსახლეობა ტრადიციულად იყენებს ისეთ რესურსებს, როგორცაა: სოკო, სამკურნალო მცენარეები, კენკრა და სხვ. ამ ეტაპზე ნაკლებად პრიორიტეტულია არამერქნული რესურსების პროდუქტიულობის შეფასება და მათი გამოყენების რეგულირებაზე ადმინისტრაციული რესურსების დაკავება. თუმცა არამერქნული რესურსების შეფასება და მათი უტილიზაციის ნორმების დადგენა ეროვნული პარკის შესაბამისი ზონებისთვის სამეცნიერო კვლევის პრიორიტეტადაა მიჩნეული (იხ. დანართი №9). ეს გარედან დაინტერესების და დაფინანსების არსებობის შემთხვევაში ამ საკითხის გამოკვლევისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის.

n **თევზაობა**: სამოყვარულო თევზჭერა (ანკესით, ბადით) დაშვებულია ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში. თევზჭერას მცველთა სამსახური გააკონტროლებს დირექციის მიერ განსაზღვრული წესების მიხედვით; ფასები შემუშავდება დაცული ტერიტორიების დირექციის მიერ. ამ ეტაპზე თევზის პოპულაციის შეფასება და მონიტორინგი დაცული ტერიტორიების დირექციის შესაძლებლობებს სცილდება. თუმცა, იქთიოფაუნის კვლევა დაცული ტერიტორიების პრიორიტეტად რჩება (იხ. დანართი №9) და დირექცია მიესალმება ამ საკითხის გამოკვლევას სამეცნიერო ინსტიტუციების მიერ.

n **ნადირობა** : 2003 წლის „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდებისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ნადირობაზე აკრძალვა გავრცელდა მნიშვნელოვნად დიდ ტერიტორიაზე, რომელსაც ეროვნული პარკი მოიცავს. მიუხედავად ამისა, ბრაკონიერობა დღესაც საფრთხეს უქმნის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებას. მენეჯმენტის გეგმა ითვალისწინებს ბრაკონიერობასთან ბრძოლის ფართო და კომპლექსურ ღონისძიებებს, რაც მოიცავს: მცველთა სამსახურის ჩამოყალიბებას, შესაძლებლობათა გაძლიერებას და აღჭურვას, ეფექტური დაცვითი ინფრასტრუქტურის მოწყობას და კონტროლის რეჟიმის ჩამოყალიბებას (იხილეთ ქვეთავი 5.8.). ეს ღონისძიებები სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ამ დოკუმენტის შესაბამის ქვეთავებშია აღწერილი. გარდა ამისა, დაცული ტერიტორიების დირექცია ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: (1) თუშეთში არ არსებობს სამონადირეო მეურნეობა, სადაც შესაძლებელი იქნება კანონიერად ნადირობა და (2) ჯიხვზე ტრადიციული ნადირობის სოციალურ-კულტურული მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, დირექცია გეგმავს მოწვეულ ექსპერტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად იმუშაოს ტრადიციული ნადირობის კონცეფციის ჩამოყალიბებაზე, რომელიც დირექციას საშუალებას მისცემს ეროვნული პარკის შესაბამის ზონაში დაუშვას მკაცრად რეგულირებული ტრადიციული ნადირობა (მხოლოდ ჯიხვზე). ამ კონცეფციის მთავარი ამოცანა იქნება ერთმანეთისგან განასხვავოს ტრადიციული და სამოყვარულო ნადირობა.

5.8. დაცვა (დაცვითი ღონისძიებები, საძიებო და სამაშველო საქმიანობა)
ტერიტორიის შემოვლისა და კონტროლის სისტემა
ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად მთლიანი ტერიტორია დაყოფილია 5 უბნად:

1. პირიქითის უბანი მოიცავს ქვახიდის, ლაროვანის და თვით მდ. პირიქითის ალაზნის ხეობებს ტუტარიკამდე;

2. გომეწრის უბანი მოიცავს მდ. სახარისწყლის, ვესტმოსხევის და ორწყლის ხეობებს მდ. ორწყლისა და მდ. გომეწრის ალაზნის შესართავამდე. ალაზნისთავის, მდ. წოვათისწყლის, ვაკისძირისხევის და მდ. გომეწრის ალაზნის ხეობებს მირგველას ხევამდე;

3. ხისოს უბანი მოიცავს მდინარეების ნახიდურის და ხისოს ალაზნის ხეობებს ამ უკანასკნელის გომეწრის ალაზნთან შესართავამდე;

4. ომალოს უბანი მოიცავს მდ. გომეწრის ალაზნის ქვედა ნაწილს ხისოს ალაზნის შესართავიდან, მდ. პირიქითის ალაზნის ხეობას ტუტარიკიდან, ვებუს ხეობებს და თუშეთის ალაზნის ხეობას რუსეთის (დადესტნის) საზღვრამდე;

5. სპეროზას უბანი მოიცავს სპეროზას ქედს.

დაგეგმილია მცველთა 7 მუდმივი სადგურის (თავშესაფრის), 1 საგზაო შესასვლელის, მრავალი ამკრძალავ-გამაფრთხილებელი ნიშნის, ორი ხერგილის (ხოშანეზე და დელეზე) მოწყობა.

დაცვით საქმიანობებს უძღვება დაცვის სამსახურის უფროსი. დაცვითი სამუშაოების მიზნობრივი და ეფექტური განხორციელებისათვის იგი შეიმუშავებს დაცვის საოპერაციო გეგმას, რომელიც განსაზღვრავს შემოვლების განრიგსა და მარშრუტების ქსელს ხუთივე უბნისთვის. თითოეული უბნის დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობას ხელმძღვანელობს უფროსი მცველი. საოპერაციო გეგმის ნებისმიერ ცვლილებას უფროსი მცველი ათანხმებს დაცვის სამსახურის ხელმძღვანელობასთან. უფროსი მცველი, მცველებთან ერთად, მონაწილეობას იღებს მისდამი დაქვემდებარებული უბნის შემოვლებაში. თითოეულ უბანზე ორკვირიან ცვლაში (სამი ადამიანი თითო ცვლაში) მუშაობს 3-5 მცველი (მომავალში, როგორც კი დაფინანსება ამის საშუალებას შექმნის, გაიზრდება დაცული ტერიტორიების მცველთა რაოდენობა, კერძოდ, დირექცია აიყვანს დამატებით სეზონურ მცველებს ზაფხულის პერიოდისთვის). შემოვლის მარშრუტის დასრულების შემდეგ უფროსი მცველი ავსებს სპეციალურ უწყისს, რომელშიც ასეთი ინფორმაციაა: შემოვლის დრო, მარშრუტის დასახელება/კოდი, შემსრულებლების სახელები, დაფიქსირებული კანონდარღვევების მოკლე აღწერა და სხვ. შევსებული ფორმები წარედგინება დაცვის სამსახურის უფროსს, რომელიც ამ ჩანაწერების საფუძველზე აწარმოებს სიტუაციის ანალიზს მოცემულ უბანზე (რა სახის კანონდარღვევები სჭარბობს, ვინ არიან დამრღვევი პირები, რომელი რესურსია უფრო მეტად ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ და სხვ). თვის ბოლოს, სიტუაციის ანალიზის შემდგომ, მზადდება შემოვლების განახლებული გეგმა. დაცვის ხუთივე უბნის ჩანაწერების საფუძველზე დაცვის სამსახურის უფროსი ადგენს თვიურ და წლიურ ანგარიშებს.

საჭიროების შემთხვევაში დაცვის სამსახურის უფროსი, დირექტორთან შეთანხმებით, მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს (პოლიციას, მესაზღვრეებს) და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

დაცული ტერიტორიის შემოვლები, ადგილისა და აუცილებლობის მიხედვით, წარმოებს მანქანით, ცხენით ან ფეხით.

ტერიტორიის შემოვლასთან ერთად, მცველები აკონტროლებენ რესურსების გამოყენების პროცესს (ძოვება, შეშის მოგროვება, თევზაობა და სხვ.). მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეამოწმონ რესურსების მომხმარებლები და დარღვევების შემთხვევაში მიიღონ კანონით განსაზღვრული ზომები. ამასთან, ისინი მონაწილეობას იღებენ კვლევასა და მონიტორინგში, ვიზიტორთა მომსახურებაში, სამაშველო ოპერაციებში.

დაცვის ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა

სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის დაცვის სამსახურის სრულყოფილად მოქმედებისთვის დაგეგმილია დაცვის ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც გულისხმობს მცველთა 7 მუდმივ სადგურს (საგუშაგოს), თავლებს, შესასვლელს, ხერგილებს, ამკრძალავ-გამაფრთხილებელ ნიშნებს. ინფრასტრუქტურა განთავსდება, ანთროპოგენური ზეწოლის თვალსაზრისით, სტრატეგიულ ადგილებზე. მცველთა სადგურები ეწყობა შემოვლის მარშრუტებზე (ადგილი შერჩეულია იმავე პრინციპის საფუძველზე). ისინი ფუნქციონირებენ დღის განმავლობაში და, საჭიროების შემთხვევაში კი, 24-საათიან რეჟიმში. მცველთა საგუშაგოების განლაგება მოცემულია 1-ლ დანართში. ცხენების განთავსებისთვის სპეროზას სადგურს ექნება მცირე თავლა, ხოლო ომალოს ადმინისტრაციულ ოფისთან მოეწყობა დახურული თავლა. დაცვის ინფრასტრუქტურის დიზაინი და არქიტექტურა დაიგეგმება გარემოსთან ჰარმონიული შესაბამისობის პრინციპით.

დაცვის სამსახურის აღჭურვილობა მოიცავს: გადაადგილების საშუალებებს (ცხენები, ავტომანქანები), საკომუნიკაციო, ნავიგაციის, აუდიო-ვიდეო, საველე, ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო აღჭურვილობას, სხვადასხვა ტიპის იარაღს, სრულ საზამთრო და საზაფხულო ეკიპირებას და სხვა საველე ინვენტარს.

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა

თუშეთის დაცული ტერიტორიების გასწვრივ საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე აუცილებელია სპეციალური რეჟიმის განხორციელება. ამისათვის, სასურველია რუსეთის სასაზღვრო უწყებებთან და გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციის პერსონალის უფლება-მოვალეობები

მცველის უფლება-მოვალეობებში შედის დარღვევის ფაქტების არა მხოლოდ გამოვლენა, არამედ - აღკვეთა შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლებში. სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტების აღკვეთა მესაზღვრეებთან კოორდინირებულად ხორციელდება. მცველები ინარჩუნებენ კავშირს დაცვის სამსახურის



უფროსთან და, საჭიროებისამებრ, სხვა მცველებთან სამართალდარღვევის აღკვეთის ზომები დაცულ ტერიტორიაზე ხორციელდება მცველის მიერ და განსაკუთრებულ შემთხვევებში – დარღვევის მასშტაბისა და დამრღვევთა რაოდენობის მიხედვით, ან მათი მხრიდან დაუმორჩილებლობის შემთხვევაში – მცველების ჯგუფის მიერ. დარღვევათა აღკვეთის ღონისძიებები ოპერატიულად იმართება სამსახურის უფროსის მიერ.

საგანმანათლებლო მუშაობა და თანამშრომლობა რესურსების მომხმარებლებთან

დაცვის რეჟიმის დარღვევების პრევენციის საუკეთესო საშუალებაა რესურსების არალეგალურად მომხმარებლებთან (ზოგადად მოსახლეობა, იურიდიული და ფიზიკური პირები) საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი მუშაობის განხორციელება. ამგვარი საქმიანობა გულისხმობს: მოსახლეობის ინფორმირებას მასმედიის საშუალებებით, დისკუსიებს და შეხვედრებს. აქცენტი გაკეთდება ისეთ საკითხებზე, როგორცაა: დაცული ტერიტორიების რეჟიმის დარღვევისთვის კანონით გათვალისწინებული ზომები, დაცულ ტერიტორიაზე აკრძალული და ნებადართული საქმიანობები, ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა, აღმოჩენილი და აღმოფხვრილი დარღვევების სტატისტიკა. ასევე, მოხდება გამაფრთხილებელი განცხადებების გამოქვეყნება ბუნებრივი რესურსებით არალეგალურ სარგებლობასთან დაკავშირებით.

სადიებო და სამაშველო ოპერაციები, საგანგებო სიტუაციები

სადიებო და სამაშველო სამუშაოები ხორციელდება მცველების მიერ. მცველები ადეკვატურად რეაგირებენ ბუნებრივ კატასტროფებზე (ხანძრის ლიკვიდაცია, ფლორის და ფაუნის დაავადებათა კერების გამოვლენა და სხვ.) საჭიროების შემთხვევაში (სადიებო და სამაშველო სამუშაოების უფრო ეფექტურად განხორციელების მიზნით) დირექცია დახმარებისთვის მიმართავს შესაბამის სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ სამსახურებს.

შესაძლებლობების გაზრდა და ტრენინგები

დაცვის სამსახურის პროფესიული ღონის ასამაღლებლად დაცული ტერიტორიების დირექცია აწარმოებს ტრენინგებს. დაცული ტერიტორიების თანამშრომლები ესწრებიან შიდა, ადგილობრივ და საერთაშორისო სასწავლო კურსებს. აღნიშნული ტრენინგები ეძღვნება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: იარაღის გამოყენება, დარღვევათა პრევენციისა და აღკვეთის ზომების გატარება, პატრულირება (ტერიტორიის შემოვლები), სავლე ტექნიკის ათვისება, დაცულ ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების და ბუნებრივი რესურსების გამოყენების მონიტორინგი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და სამაშველო უნარ-ჩვევების ამაღლება და ინგლისური ენის შესწავლა.

5.9. სამეცნიერო კვლევა, მონიტორინგი და სოციოლოგიური კვლევა

სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან კონტაქტების დამყარება, მიმდინარე კვლევითი სამუშაოების ხელშეწყობა და კონტროლი

თუშეთის დაცულ ტერიტორიაზე სამეცნიერო კვლევის მიზანია მიმდინარე ბუნებრივი პროცესების შესწავლა და სამეცნიერო ბაზის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ეფექტური ადაპტური მენეჯმენტის განხორციელებას. დაცული ტერიტორიების დირექცია ყველანაირად ხელს უწყობს სამეცნიერო საქმიანობას ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებით (იხილეთ დანართი №9: სამეცნიერო კვლევის პრიორიტეტები). თვით დირექცია კი საკუთარ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს მთლიანად სამონიტორინგო საქმიანობისკენ მიმართავს.

სამეცნიერო კვლევების განხორციელების მიზნით დირექცია გამოიყენებს როგორც საკუთარ შემოსავალს (მოგება, შეწირულობები), ასევე – გრანტებს და პარტნიორი ორგანიზაციებისგან ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ ფინანსურ წყაროებს.

დაცულ ტერიტორიაზე სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი თანხმობის მისაღებად საჭიროა შემდეგი პროცედურების გავლა:

n განმცხადებელი წარმოადგენს პროექტს, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს საქმიანობის ადგილი, დრო, თემა, მოკლე ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ, კვლევის/საგანმანათლებლო საქმიანობის მეთოდოლოგია (დეტალურად უნდა აიწეროს კვლევასთან დაკავშირებული ნებისმიერი მანიპულირება, სავლე სამუშაოს პერიოდულობა და სიხშირე, სინჯების აღება და მოსალოდნელი ზეგავლენისა და რისკების შეფასება);

n დაცული ტერიტორიების დირექცია გონივრულ ვადაში აცნობებს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. დირექცია განიხილავს პროექტს და განსაზღვრავს შემდგომ პროცედურას:

1. თუ მოცემული პროექტი ეთანხმება სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის პრიორიტეტებს და ზეგავლენა მინიმალურია, დირექცია ამზადებს სტანდარტულ კონტრაქტს, რომელიც სრულად განსაზღვრავს მხარეების უფლება-მოვალეობებს. კონტრაქტი და განაცხადი (პროექტი) გადაეგზავნება დაცული ტერიტორიების დეპარტამენტს დადასტურებისთვის. ამ ტიპის კვლევების ჩატარება იქნება უფასო;

2. თუ პროექტი არ იძლევა ნათელ წარმოდგენას სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის პრიორიტეტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით და/ან შეიცავს გაურკვეველ საკითხებს (განსაკუთრებით ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით), დირექცია იწყებს მოლაპარაკებას განმცხადებელთან და მოითხოვს შესაბამის ცვლილებებსა და დამატებით განმარტებებს. გადაწყვეტილების მიღებაში, საჭიროებისამებრ, ჩაერთვება დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი და დამოუკიდებელი ექსპერტები. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელთან შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდება, დირექცია მოცემული კვლევების ჩატარებაზე თანხმობას არ გასცემს. თუ დირექციასა და განმცხადებელს შორის შეთანხმება შედგება, დირექცია ამზადებს შესაბამის კონტრაქტს, რომელიც სრულად განსაზღვრავს მხარეების უფლება-მოვალეობებს. კონტრაქტი და განაცხადი (პროექტი) გადაეგზავნება დაცული ტერიტორიების დეპარტამენტს დადასტურებისთვის. თუ პროექტის საბოლოო შეთანხმებული ვარიანტის მიხედვით მოცემული კვლევა არ



შედის ამ მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტებში, მაგრამ მნიშვნელოვანია მეცნიერული თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში შესაბამისი თანხმობა იქნება ანაზღაურებადი, რომელიც დარეგულირდება დირექციასა და ვიზიტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (თანახმად „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნისა).

3. თუ წარმოდგენილი პროექტი მიუღებელია (თემა საერთოდ არ ეხმიანება პრიორიტეტებს, პროექტი შედგენილია არადამაკმაყოფილებელ დონეზე, პოტენციურად გამოიწვევს სერიოზულ ზეგავლენას ბიომრავალფეროვნებაზე), დირექცია წერილობითი არგუმენტაციით მიმართავს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტს და აღძრავს შუამდგომლობას, რათა განმცხადებელს უარი ეთქვას მოცემული პროექტის განხორციელებაზე. დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი ოფიციალურ უარს ეუბნება (წერილობითი ფორმით) განმცხადებელს.

1 დირექცია ახორციელებს სამეცნიერო კვლევების კონტროლს და შეუძლია გააუქმოს კონტრაქტი, თუ განმცხადებელი არღვევს კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს;

1 ორმხრივი წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, სამეცნიერო კვლევითი პროექტი შესაძლებელია გულისხმობდეს დირექციის მხრიდან მჭიდრო თანამონაწილეობას.

უწყვეტი მონიტორინგის პროგრამა
დაცული ტერიტორიების დირექცია ახორციელებს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს (იხ. თავი 6.9).

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ძირითადი მიზანია მცენარეთა და ცხოველთა თანასაზოგადოებებსა და საკვანძო სახეობებზე ინფორმაციის სისტემატური მოგროვება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საკვანძო სახეობების პოპულაციების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება გრძელვადიან პერსპექტივაში. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი ტარდება რესურსების მართვის სპეციალისტის ხელმძღვანელობით, ხოლო სავსე მონაცემებს აგროვებენ მცველები. განსაკუთრებულ შემთხვევებში, მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე, მონიტორინგში შეიძლება ჩაერთონ მოწვეული ექსპერტები და მოხალისეები (სტუდენტები, დამოუკიდებელი ექსპერტები, არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები). ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი მოიცავს ან მჭიდროდ უკავშირდება ისეთ საქმიანობებს, როგორებიცაა:

- დაცული ტერიტორიის შესაძლებლობების განვითარება (მონიტორინგის მეთოდები, GPS/ GIS);
- მონიტორინგის წლიური გეგმების შემუშავება;
- მონიტორინგის საქმიანობების განხორციელება (სავსე სამუშაო);
- მონიტორინგის შედეგების შეფასება და შესაბამისი ანგარიშების მომზადება;
- მონიტორინგის შედეგების მიხედვით მენეჯმენტის ადაპტაცია;
- მონაცემთა ბაზის წარმოება და განახლება;
- თანამშრომლობა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, უნივერსიტეტებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- ტრანსსასაზღვრო სამეცნიერო ურთიერთობების განვითარება.

თავი 6. მენეჯმენტის პროგრამები

მენეჯმენტის გეგმის ამ ნაწილში წარმოდგენილია მენეჯმენტის პროგრამების სრული ჩამონათვალი. მენეჯმენტის პროგრამებში, კონკრეტული პროექტების ფორმით, ასახულია მენეჯმენტის გეგმის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები. ქვემოთ მოცემულია თითოეულ პროგრამაში დაგეგმილი პროექტების მოკლე აღწერა: პროექტის მოსალოდნელი შედეგები, წინასწარი ბიუჯეტი და სხვ. (მთლიანი ბიუჯეტის განაწილება მოცემულია მე-11 დანართში).

6.1 ადმინისტრაციის პროგრამა

6.1.1 შტატები და ხელფასები

შედეგი: ქმედითუნარიანი ადმინისტრაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის დირექციის ფარგლებში.

აღწერა: ამ ქვეპროგრამის მთავარი მიზანია ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ეფექტურ ფუნქციონირებას. თანამშრომელთა სამუშაოს აღწერა (უფლება-მოვალეობები) მოცემულია მე-5 დანართში. ბიუჯეტი მოცემულია მე-11 დანართში. 2006 წლიდან დირექციას ეყოლება 35 მუდმივი და 6 შტატგარეშე თანამშრომელი. დირექციის თანამშრომელთა სია მოცემულია ცხრილში (ასევე, იხილეთ, სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ორგანიზაციული სტრუქტურის დიაგრამა, დანართი №5). 2006 წლის ბიუჯეტი საშუალებას არ იძლევა სრულად დაკომპლექტდეს დაცული ტერიტორიების დირექცია (ეფექტური მენეჯმენტისთვის აუცილებელია დირექციას ჰქონდეს ცალ-ცალკე შტატები საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერპრეტაციის სპეციალისტების სახით, ასევე, საინფორმაციო ცენტრების თანამშრომლები; ტერიტორიული დაყოფის თვალსაზრისით, აუცილებელია 5 უფროსი მცველის არსებობა და 12 სეზონური მცველის დაქირავება ზაფხულის პერიოდისთვის; ასევე, სასურველია დირექციას ჰყავდეს ფინანსური მენეჯერი). 2007 წლიდან ნავარაუდებია სახელმწიფო დაფინანსების ზრდა, რაც მომავალში სათანადოდ აისახება დირექციის სამშატო ერთეულების განაწილებაზე.



საშტატო ერთეულები (2006 წელისთვის)	რაოდენობა	
	2006 წელს	2007 წლიდან
დირექტორი	1	1
დირექტორის მოადგილე	1	1
ფინანსური მენეჯერი		1
მდივანი	1	1
დაცვის (რეინჯერთა) სამსახურის უფროსი	1	1
უფროსი მცველი (რეინჯერი)	4	5 (+1)
მცველი (რეინჯერი)	21	33 (21 + 12 სეზონური)
მთავარი ბუღალტერი	1	1
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერპრეტაციის სპეციალისტი	1	2 (+1)
რესურსების მართვის სპეციალისტი	2	2
ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის სპეციალისტი	1	1
ადმინისტრატორი	1	1
საინფორმაციო ცენტრის თანამშრომელი		2
შტატგარეშე თანამშრომლები		
დარაჯი	2	2
დამლაგებელი	1	2
დურგალი	1	1
მძღოლი	1	2
მექანიკოსი	1	1

პერიოდი: 2003-08 წწ.

ბიუჯეტი: 154 880 აშშ დოლარი (დეტალებისთვის იხ. დანართი №12; წინა წლებში თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის დაფინანსება ხდებოდა როგორც ახმეტის სახელმწიფო ნაკრძალის შემადგენელი ერთ-ერთი ტერიტორიული ერთეულისა, ამიტომ ბიუჯეტის ცხრილებში უშუალოდ თუშეთის დაცული ტერიტორიების დაფინანსება ასახულია 2006 წლიდან).

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შემსრულებელი: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, დაცული ტერიტორიების დირექცია

6.1.2. პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობის შესყიდვა

შედეგი: აუცილებელი აღჭურვილობის სიის განსაზღვრა, აღჭურვილობის შეძენა, გამოყენების წესების დადგენა.

აღწერა: ამ პროგრამის ფარგლებში მოხდება დირექციის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის და სამენეჯმენტო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობის შეძენა. აუცილებელი აღჭურვილობა მიეკუთვნება შემდეგ კატეგორიებს:

- სატრანსპორტო საშუალებები;
- საოფისე აღჭურვილობა;
- კვლევისა და მონიტორინგის აღჭურვილობა;
- აუდიო-ვიდეო აღჭურვილობა საინფორმაციო ცენტრისთვის;
- აღჭურვილობა სახელოსნოსთვის და სატრანსპორტო საშუალებებისთვის;
- დაცვის სამსახურის აღჭურვილობა.

შენიშვნა: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის მიერ უკვე შეძენილია გარკვეული აღჭურვილობა. ამ პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება შესყიდვები და შეივსება საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი.

განხორციელების პერიოდი: 2003-08 წწ.

ბიუჯეტი: 530 412 აშშ დოლარი

დაფინანსების წყაროები: 2003-06 წწ. საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

შემსრულებელი: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; დაცული ტერიტორიების დირექციის აღჭურვილობის სპეციალისტი.

6.1.3 ზოგადი ადმინისტრირება (საოპერაციო ხარჯები)

შედეგი: საოპერაციო ხარჯების დაფარვა

აღწერა: ამ პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები წარმოადგენს ერთიანად გასაცემ თანხას, რომელიც უნდა დაიხარჯოს დაცული ტერიტორიების დირექციის საოპერაციო ხარჯებისთვის, კონსულტაციებისა და კოორდინირებისთვის. ამ თანხის უდიდესი ნაწილის გამოყენება მოხდება, ისეთი ხარჯების დასაფარავად, როგორცაა:

- ინფრასტრუქტურის მოვლა და შენარჩუნება;
- ტრანსპორტის მოვლა და საწვავი;



- ცხენებისა და ძაღლების ვეტმომსახურება და საკვები;
- საოფისე ხარჯები;
- აღჭურვილობა;
- კონსულტაციები;
- გაუთვალისწინებელი ხარჯები.

პერიოდი: 2003-08 წწ.

ბიუჯეტი: 166 058 აშშ დოლარი (იხ. ასევე, ბიუჯეტის ცხრილი, დანართი 11)

დაფინანსების წყარო : საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-08 წლებში – საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები

შემსრულებელი: დაცული ტერიტორიების დირექცია, საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი

6.1.4 წლიური სამუშაო გეგმების მომზადება

შედეგი: ყოვლისმომცველი წლიური საოპერაციო გეგმის მომზადება.

აღწერა: დაცული ტერიტორიების დირექცია ვალდებულია, ყოველწლიურად მოამზადოს საოპერაციო გეგმა. საოპერაციო გეგმა მომზადდება მენეჯმენტის გეგმისა და ყოველწლიური შეფასების პროცედურების საფუძველზე (ეს უკანასკნელი მოიცავს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის ეფექტურობის ყოველწლიურ მიმოხილვას, სოციალურ-ეკონომიკურ მონიტორინგს, გარემოს მონიტორინგს, დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის ეფექტურობის მონიტორინგს).

პერიოდი/სიხშირე: ყოველი წლის ბოლოს

ბიუჯეტი: გათვალისწინებულია საოპერაციო ხარჯებში (იხ. 6.1.3 და დანართი №12)

დაფინანსების წყარო : 2005-06 წლებში - საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-08 წლებში - საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

შემსრულებელი: დაცული ტერიტორიების დირექტორი

6.1.5 წლიური ანგარიში

შედეგი : დაცული ტერიტორიების დირექციის საქმიანობის მუდმივი დოკუმენტების მექანიზმის შექმნა; სამეცნიერო სამუშაოებისა და მონიტორინგის დოკუმენტირება;

აღწერილობა: წლიური ანგარიში წარმოადგენს დაცული ტერიტორიების დირექციის მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობის მოკლე აღწერას. წლიური ანგარიში, ასევე, მოიცავს ინფორმაციას დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ მიმდინარე ნებისმიერ მოვლენაზე, რომელიც გავლენას ახდენს დაცულ ტერიტორიებზე. წლიური ანგარიში წარმოადგენს საჯარო, ყველასათვის ხელმისაწვდომ დოკუმენტს, რომელიც იწერება პოპულარული ენით და აშუქებს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის საკითხებს. წლიურმა ანგარიშებმა ხელი უნდა შეუწყოს მენეჯმენტის გამჭვირვალობას და საზოგადოების მხრიდან ნდობის მოპოვებას. წლიური ანგარიშები მოიცავს ინფორმაციასა და სიახლეებს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ვიზიტორების რაოდენობა, დარღვევები, ღირსშესანიშნავი მოვლენები, ძირითადი საბიუჯეტო ხარჯები, გარემოსდაცვითი პოლიტიკა და კანონმდებლობა, მომავალი წლის პროგნოზები და ა.შ. მონიტორინგის შედეგები და შეფასება უნდა აისახოს გრაფიკულად, ცხრილებში და მას უნდა დაერთოს სათანადო განმარტებები. წლიური ანგარიშები განთავსდება აგრეთვე დაცული ტერიტორიების ვებგვერდზე.

პერიოდი/სიხშირე: ყოველწლიურად

ბიუჯეტი: გათვალისწინებულია საოპერაციო ხარჯებში (იხ. 6.1.3 და დანართი №12)

დაფინანსების წყარო : 2005-06 წლებში საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

შემსრულებელი: რესურსების მართვის სპეციალისტი, დაცული ტერიტორიების დირექციის სხვა თანამშრომლები.

6.1.6 მენეჯმენტის ეფექტურობის თვითმონიტორინგი (მონიტორინგი და შეფასება)

დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის ყოველწლიური განხილვები ეფუძნება 5 რეგულარულ პროცედურას, რომელიც მოიცავს: (1) დეტალური წლიური ანგარიშის მომზადებას; (2) სოციალურ-ეკონომიკურ მონიტორინგს; (3) მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასებას; (4) გარემოს მონიტორინგსა და (5) კონცესიონერების მონიტორინგს.

6.1.6.1. ყოველწლიური დეტალური განხილვები

შედეგი: დაცული ტერიტორიების დირექციის მიერ სტანდარტული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის დანერგვა მართვის ეფექტურობის შესაფასებლად.

აღწერა : განხორციელდება თითოეული საქმიანობის მონიტორინგი დასახული მიზნებისა და მიღწეული შედეგების შედარების გზით. აუცილებლობის შემთხვევაში გაკეთდება კომენტარები და მომზადდება შეფასებითი მოხსენებები. შეფასებითი მოხსენება გააერთიანებს ხუთივე რეგულარული შეფასების შედეგებს. მასზე დაყრდნობით შემუშავდება მომდევნო წლის სამუშაო გეგმა.

პერიოდი/სიხშირე: წელიწადში ერთხელ

ბიუჯეტი: გათვალისწინებულია საოპერაციო ხარჯებში (იხ. 6.1.3 და დანართი №12)

დაფინანსების წყარო : 2006 წ. საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-2008



წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

შემსრულებელი: დაცული ტერიტორიების დირექტორი

6.1.6.2. სოციალურ-ეკონომიკური მონიტორინგი

შედეგი : სოციალურ-ეკონომიკური მონიტორინგისა და შეფასების სქემის ინტეგრირება მენეჯმენტის ეფექტურობის მონიტორინგის სტანდარტულ პროცედურაში.

აღწერა: ორგანიზაცია GORBI, დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში, შეიმუშავა სოციალურ-ეკონომიკური მონიტორინგისა და შეფასების მეთოდი და კითხვარი. იგი გულისხმობს სოციოლოგიურ კვლევას და მიზნად ისახავს, გამოავლინოს დაცული ტერიტორიების რეორგანიზაციის შემდეგ მომხდარი ცვლილებები ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში. კვლევის შედეგად ასევე გაირკვევა მოსახლეობის დამოკიდებულება დაცული ტერიტორიების და მისი დირექციის მიმართ. კვლევა ტარდება წელიწადში ერთხელ. კითხვარები შესავსებად დაეგზავნება 200-მდე შემთხვევით შერჩეულ ოჯახს. მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნება წლიური სამუშაო გეგმის შედგენასა და, თუ საჭიროა, სამენეჯმენტო სტრატეგიის დასახვეწად. დაცული ტერიტორიების დირექციის თანამშრომლები გაივლიან ტრენინგს ამ მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით. კითხვარი წარმოდგენილია მე-10 დანართში.

პერიოდი/სიხშირე: წელიწადში ერთხელ.

ბიუჯეტი: გათვალისწინებულია საოპერაციო ხარჯებში (იხ. 6.1.3 და დანართი №12)

დაფინანსების წყარო : 2003-06 წლებში - საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი. 2007-08 წლებში - საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

შემსრულებელი: საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

6.1.6.3. მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების ინსტრუმენტი

შედეგი: მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასება სტანდარტული მექანიზმის საშუალებით.

აღწერა: მსოფლიო ბანკისა და WWF-ის ალიანსის მიერ შეიმუშავებული მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების ინსტრუმენტი წარმოადგენს მონაცემების შეგროვების მოსახერხებელ საშუალებას მიღწეული პროგრესის შესაფასებლად. დაცული ტერიტორიების თანამშრომლები სწრაფად და მარტივად შეავსებენ მოცემულ კითხვარს. ამ ინსტრუმენტის საშუალებით, ასევე, შესაძლებელია უნიფიცირებული საანგარიშგებო სისტემის ჩამოყალიბება ქვეყანაში არსებული ყველა დაცული ტერიტორიისთვის.

პერიოდი/სიხშირე: ყოველწლიურად

ბიუჯეტი: გათვალისწინებულია საოპერაციო ხარჯებში (იხ. 6.1.3 და დანართი №12)

დაფინანსების წყარო : 2006 წელს საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

შემსრულებელი: დაცული ტერიტორიების დირექტორი და თანამშრომლები

6.1.6.4. მონიტორინგი საკონცესიო საქმიანობაზე

შედეგი : ეფექტური სისტემის შემუშავება კონცესიონერების საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

აღწერა : მონიტორინგის სქემამ უნდა უზრუნველყოს მომსახურების ხარისხისა და კონცესიონერებზე გაცემული ქონების მდგომარეობის შეფასება.

პერიოდი/სიხშირე: ყოველ 6 თვეში ერთხელ, მას შემდეგ რაც გაიცემა პირველი კონცესია.

ბიუჯეტი: გათვალისწინებულია საოპერაციო ხარჯებში (იხ. 6.1.3 და დანართი №12)

დაფინანსების წყარო : 2006 წელს საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები

შემსრულებელი: მთავარი ბუღალტერი, ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის სპეციალისტი

6.1.7. მენეჯმენტის გეგმის განხილვა და კორექტირება

შედეგი : სამენეჯმენტო გეგმის ყველა ასპექტის დეტალური განხილვა, ცვლილებების შემუშავება, განახლებული სამენეჯმენტო გეგმის შემუშავება

აღწერა : განხილვა ტარდება 6 წელიწადში ერთხელ და მოიცავს მენეჯმენტის გეგმის სრულ შეფასებას, კერძოდ, საქმიანობების შეფასებას უკანასკნელი 5 წლის მანძილზე და იკვლევს სამენეჯმენტო მიზნებისა და სტრატეგიების კორექტირების საჭიროებებს. შეფასებისთვის ინფორმაციის მთავარი წყარო იქნება წლიური ანგარიშები (მათ შორის გარემოზე მონიტორინგის ანგარიში), ყოველწლიური სოციოლოგიური კვლევები და დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის ყოველწლიური დეტალური განხილვები. შეფასების შედეგი იქნება მენეჯმენტის გეგმის ლოგიკური სტრუქტურის შემდგომი დახვეწა და ახალი სამენეჯმენტო პროგრამის ჩამოყალიბება მომდევნო 6 წლისათვის.

პერიოდი/სიხშირე : იანვარი – ივლისი 2008 წ., ახალი მენეჯმენტის გეგმის მიღება – 2008 წლის მეორე ნახევარი.

ბიუჯეტი : გათვალისწინებულია საოპერაციო ხარჯებში (იხ. 6.1.3 და დანართი №12)

დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

შემსრულებელი : გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, დაცული ტერიტორიების დირექცია, მოწვეული სპეციალისტები.

6.2. ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა

6.2.1. ადმინისტრაციული და გიზიტორთა ცენტრების აშენება ბაზანგორსა და ომალოში



შედეგი: ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრების აშენება.

აღწერა: თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციას ექნება ორი ადმინისტრაციული შენობა და მათთან ინტეგრირებული ვიზიტორთა ცენტრები: ბაბანურში ზამთრის სეზონისთვის და ომალოში ზაფხულის პერიოდისთვის.

n ომალოს ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრი:

აშენდება კომპლექსი, სადაც მოეწყობა ადმინისტრაციის თანამშრომელთა ოფისები (მათ შორის ბუღალტერია), მცველთა სამორიგეო, სამზარეულო-სასაუზმე, საშხაპე-სანკვანძები, დამხმარე სათავსოები, ვიზიტორთა თავშესაფარი (ხუთი 2-ადგილიანი ღამისთვის ოთახით) და ვიზიტორთა ცენტრი (ვიზიტორთათვის საექსპოზიციო და საპრეზენტაციო დარბაზები). კომპლექსი აღიჭურვება გარემოსდაცვითი კუთხით გამართლებული, მაღალსაიმედო და ავტონომიური საინჟინრო ქსელებით (წყალმომარაგება, კანალიზაცია, ელექტრომომარაგება, კონდიციონერება, თბომომარაგება, საკომუნიკაციო ქსელები). არქიტექტურული გადაწყვეტა და ტერიტორიის მოწყობის ლანდშაფტური დიზაინი ჰარმონიაში იქნება გარემოსთან და დაეფუძნება ტრადიციული თუშური ხუროთმოძღვრების მოტივებს. გამოყენებული იქნება ბუნებრივი საშენი მასალა – ქვა და ხე.

n ბაბანურის ადმინისტრაციული და საინფორმაციო ცენტრი:

ბაბანურში აშენდება ადმინისტრაციის ზამთრის წარმომადგენლობითი ოფისი და საინფორმაციო ცენტრი, სადაც მოეწყობა თანამშრომელთა ოფისები, სამორიგეო, სამზარეულო-სასაუზმე, საშხაპე-სანკვანძები, საექსპოზიციო და საპრეზენტაციო დარბაზები, დამხმარე სათავსოები. კომპლექსის არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტა იქნება ფუნქციურ-რაციონალური და ხაზს გაუსვამს დაცული ტერიტორიების მისიას და მისი ადმინისტრაციის მანდატს. კომპლექსი აღიჭურვება გარემოსდაცვითი კუთხით გამართლებული, მაღალსაიმედო და ავტონომიური საინჟინრო ქსელებით (წყალმომარაგება, კანალიზაცია, ელექტრომომარაგება, კონდიციონერება, თბომომარაგება, საკომუნიკაციო ქსელები). არქიტექტურული გადაწყვეტა და ტერიტორიის მოწყობის ლანდშაფტური დიზაინი ჰარმონიაში იქნება გარემოსთან (მელქვანარი ტყე) და დაეფუძნება ტრადიციული თუშური ხუროთმოძღვრების მოტივებს. გამოყენებული იქნება ბუნებრივი საშენი მასალა – ქვა და ხე.

პერიოდი: 2006

ბიუჯეტი: 384 000 აშშ დოლარი (დამატებით 54 000 აშშ დოლარი, რაც გათვალისწინებულია პროექტის შედგენისა და ზედამხედველობისთვის; ეს თანხა საერთოა ქვეთავებისთვის: 6.2.1; 6.2.2 და 6.2.3)

დაფინანსების წყარო: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი

შემსრულებელი: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი, თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია, ტენდერში გამარჯვებული კომპანია

6.2.2. ტურიზმის ინფრასტრუქტურის შექმნა

შედეგი: ინფრასტრუქტურის დაპროექტება და მოწყობა ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად.

აღწერა: აღნიშნული ქმედება მიზნად ისახავს ინფრასტრუქტურის შექმნას, რომელიც აუცილებელია ეკოტურიზმის გასანვითარებლად. დაგეგმილია: საინფორმაციო ცენტრები, შესასვლელები, საკემპინგო მოედნები, ბილიკები, სპეციალური ნიშნებით აღნიშნული მარშრუტები, საინფორმაციო დაფები, ბარიერები, პანორამული გადასახედი.

დაგეგმილია შემდეგი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (იხ. რუკა 1-ლ დანართში).

საინფორმაციო ცენტრები:

1. „ბაბანური“ (ბაბანურის ადმინისტრაციულ ცენტრთან ინტეგრირებული საინფორმაციო ცენტრი);
2. „ჭერო“ (მცველთა სადგურთან ინტეგრირებული მცირე საინფორმაციო ცენტრი)
3. „სამხევი“ (მცველთა სადგურთან ინტეგრირებული მცირე საინფორმაციო ცენტრი);
4. „თუშეთი“ (მცველთა დღის მცირე სადგურთან ინტეგრირებული მცირე საინფორმაციო ცენტრი);
5. „ორწყალი“ (მცველთა სადგურთან ინტეგრირებული მცირე საინფორმაციო ცენტრი);
6. „ქვახიდი“ (მცველთა სადგურთან ინტეგრირებული მცირე საინფორმაციო ცენტრი);
7. „ალაზნის თავი“ (მცველთა სადგურთან ინტეგრირებული მცირე საინფორმაციო ცენტრი);

შესასვლელები

(ყოველი შესასვლელი ინტეგრირებულია მცველთა მცირე სადგურთან):

1. „ჭერო“
2. „სამხევი“
3. „თუშეთი“
4. „ორწყალი“
5. „ქვახიდი“
6. „ალაზნის თავი“

პანორამული გადასახედი:

n „სახეო“ პირიქითის ქედზე ხატი „სახეო“-ს სიახლოვეს

საკემპინგო მოედნები:

1. „დიკლოს ხაა“ (მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მოეწყობა კარვის დასადგმელი ადგილები 10 ადამიანისთვის, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები);



2. „შავი ქვიშა“ (მოეწყო კარვის დასადგმელი ადგილები 10 ადამიანისთვის, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები);
3. „დოტკალტო“ (მოეწყო კარვის დასადგმელი ადგილები 20 ადამიანისთვის, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები);
4. „ჩილოს ხაა“ (მოეწყო კარვის დასადგმელი ადგილები 10 ადამიანისთვის, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები);
5. „ხომანე“ (მოეწყო კარვის დასადგმელი ადგილები 14 ადამიანისთვის, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები);
6. „ორეთი“ (მოეწყო კარვის დასადგმელი ადგილები 14 ადამიანისთვის, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები);
7. „დართლოს ხევი“ (მოეწყო კარვის დასადგმელი ადგილები 10 ადამიანისთვის, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები);
8. „გოგრულთა“ (მოეწყო კარვის დასადგმელი ადგილები 14 ადამიანისთვის, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები);
9. „გონთაი“ (მოეწყო კარვის დასადგმელი ადგილები 20 ადამიანისთვის, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები);
10. „დაქუეხი“ (აწუნთის უღელტეხილთან; მოეწყო კარვის დასადგმელი ადგილები 20 ადამიანისთვის, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები);
11. „ალაზნისთავი“ (მოეწყო კარვის დასადგმელი ადგილები 14 ადამიანისთვის, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები);
12. „ამირანი“ (მდ სამეურისწყალისა და მდ. პატარა წიფლოვანას შესართავთან; მოეწყო კარვის დასადგმელი ადგილები 10 ადამიანისთვის, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები).

საპიკნიკო ადგილები:

1. „ვიზიტორთა ცენტრი“ (მოეწყო ექვსი 4-კაციანი მაგიდა, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები);
2. „ხომანე“ (მოეწყო ექვსი 6-კაციანი მაგიდა, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები);
3. „ქუე“ (მოეწყო ექვსი 4-კაციანი მაგიდა, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები);
4. „ვემა“ (პირიქითი ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მოეწყო სამი 4-კაციანი მაგიდა, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები);
5. „ღელე“ (პირიქითი ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მოეწყო სამი 4-კაციანი მაგიდა, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები);
6. „პირიქითი“ (პირიქითი ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მოეწყო სამი 4-კაციანი მაგიდა, ცეცხლის დასანთები ადგილები, ტუალეტი და სანაგვე ურნები).

ვიზიტორთა თავშესაფარი:

n „გონთაი“ (დაგეგმილია 20 ადამიანზე გათვლილი ვიზიტორთა თავშესაფარი კომპაქტური გეგმარებითი სტრუქტურით, რომელიც ითვალისწინებს: ჰოლს, ცეცხლის დასანთებ ადგილს (ღუმელი/ბუხარი), სასადილოს, 10 ორკაციან საძინებელს, სანკვანძებს, სამზარეულოს. არქიტექტურული გადაწყვეტა ითვალისწინებს მაღალი მთის უნიკალურ გარემოსთან ჰარმონიულ შერწყმას; ძირითადად, ქვის და ხის სამშენებლო მასალის გამოყენებას, ადგილობრივი ტრადიციული მოტივებისა და თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებას)

პერიოდი: 2006 წ.

ბიუჯეტი: 462 560 აშშ დოლარი (6.2.3 -ის ბიუჯეტის ჩათვლით).

დაფინანსების წყარო: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი.

შემსრულებელი: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი, თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია, ტენდერში გამარჯვებული კომპანია/ჯგუფი.

6.2.3. ტერიტორიის დაცვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა

შედეგი: ინფრასტრუქტურის დაპროექტება და მოწყობა კანონმდებლობის სტრატეგიის შესაბამისად.

აღწერა: დაცვის სამსახურის ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია შეიქმნას დაცვის სპეციალური ინფრასტრუქტურა. გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა მოიცავს: მცველთათვის მუდმივ და დროებით თავშესაფარებს, თავლებს, ხერგილებს, ამკრძალავ-გამაფრთხილებელ ნიშნებს, თხრილებსა და ღობეებს.

დაგეგმილია შემდეგი ინფრასტრუქტურის მოწყობა (იხ. რუკა 1-ლ დანართში).

მცველთა თავშესაფრები:

1. „ჭირო“ – მცველთა მცირე ინტეგრირებული სადგური 3-4 თანამშრომლისთვის. გეგმარებითი სტრუქტურა ითვალისწინებს: ღამისთვის და სამორიგეო/სამუშაო სათავსოებს, საწყობს და სანკვანძებს.
2. „სამხევი“ – მცველთა მცირე ინტეგრირებული სადგური 3-4 თანამშრომლისთვის. გეგმარებითი სტრუქტურა ითვალისწინებს: ღამისთვის და სამორიგეო/სამუშაო სათავსოებს, საწყობს და სანკვანძებს.
3. „ორწყალი“ – მცველთა მცირე სადგური 3-4 თანამშრომლისთვის. გეგმარებითი სტრუქტურა ითვალისწინებს: ღამისთვის და სამორიგეო/სამუშაო სათავსოებს, საწყობს და სანკვანძებს.
4. „თუშეთი“ (აბანოსთავის უღელტეხილზე) – წარმოადგენს მცველთა მცირე დღის ინტეგრირებულ სადგურს 3-4 თანამშრომლისთვის. გეგმარებითი სტრუქტურა ითვალისწინებს: სამორიგოს, საწყობს და



სანკვანძებს.

5. „სპეროზა“ – მცველთა მცირე სადგური 3-4 თანამშრომლისთვის. გეგმარებითი სტრუქტურა ითვალისწინებს: ღამისთევის და სამორიგეო/სამუშაო სათავსოებს, საწყობს და სანკვანძებს, აგრეთვე, თავლას 4 ცხენისთვის.

6. „ქვახიდი“ – მცველთა ინტეგრირებული სადგური 8-10 თანამშრომლისთვის. გეგმარებითი სტრუქტურა ითვალისწინებს: ღამისთევის და სამორიგეო/სამუშაო სათავსოებს, საწყობს და სანკვანძებს.

7. „ალაზნის თავი“ – მცველთა ინტეგრირებული სადგური 8-10 თანამშრომლისთვის. გეგმარებითი სტრუქტურა ითვალისწინებს: ღამისთევის და სამორიგეო/სამუშაო სათავსოებს, საწყობს და სანკვანძებს.

თავშესაფრებისა და თავლების დაპროექტება და მათი განთავსება მოხდება გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად. არქიტექტურა ჰარმონიზებული იქნება ბუნებრივ გარემოსთან. მშენებლობისთვის გამოყენებული იქნება ადგილობრივი ბუნებრივი მასალები (ხე, ქვა).

ხერგილები:

- „ხოშანე“

- „ღელე“

დამხმარე ნაგებობები:

- ავტოფარეხი „ცენტრალური“ (ომალოს პლატო) – დახურული ავტოფარეხი და სახელოსნო 6 მაღალი გამავლობის ავტომობილისთვის;

- დახურული თავლა 10 ცხენისთვის „ცენტრალური“ (ომალოს პლატო) საწყობითა და მცველის/მეჯინებს ოთახით

პერიოდი: 2006 წ.

ბიუჯეტი: იხ. 6.2.2

დაფინანსების წყაროები: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი.

შემსრულებელი: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი, დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის სპეციალისტი, ტენდერში გამარჯვებული კომპანია/ჯგუფი.

6.2.4. დემარკაცია

შედეგი: სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკისა და დაცული ლანდშაფტის ტერიტორიების საზღვრების დემარკაცია, საჯარო რეესტრში მონაცემთა რეგისტრაცია.

აღწერა: აღნიშნული ღონისძიების მიზანია თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკისა და დაცული ლანდშაფტის ზუსტი საზღვრების დადგენა და აღნიშვნა მათი ერთმანეთისგან და მიმდებარე ტერიტორიებისგან გამოცალკევების მიზნით. ორთორექტიფიცირებული კოსმოსური ფოტოების გამოყენებით (რეზოლუცია – 1 მ) შესაძლებელი გახდა დაცული ტერიტორიებისთვის მაქსიმალურად ზუსტი მსხვილმასშტაბიანი ორთო-რუკების მომზადება და დაცული ტერიტორიების საზღვრების დაზუსტება. ამჟამად უკვე განთავსებულია ზუსტი სასაზღვრო ნიშნულები მთელ პერიმეტრზე (გარდა ეროვნული პარკის ჩრდილო საზღვრისა, რომელიც რუსეთის ფედერაციასთან სახელმწიფო საზღვარს ემთხვევა). მათი განლაგება ასიმეტრიულია. განლაგების სიმჭიდროვე გეოგრაფიულად გამოკვეთილ საზღვრებში (ხეობა, მდინარის ნაპირი, ქედი და ა.შ.) მცირდება, დაცვის თვალსაზრისით კრიტიკულ ადგილებში კი – იზრდება (ასეთ ადგილებში ნიშნულები ვიზუალურად ადვილად უნდა აღიქმებოდეს).

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი შემოსაზღვრულია 405 სასაზღვრო ნიშნულით, ეროვნული პარკი – 378-ით, ხოლო დაცული ლანდშაფტი – 640-ით. სასაზღვრო ნიშნული ბეტონის წაკვეთილი პირამიდაა, რომელშიც ჩამონტაჟებულია ალუმინის ოთხკუთხა ფირფიტა (პირამიდის პარამეტრებია: სიგრძე 40 სმ, სიგანე 40 სმ, სიმაღლე 25 სმ). ფირფიტაზე ამოტვიფრულია დაცული ტერიტორიის აღმნიშვნელი ქართულ-ინგლისური წარწერა და სასაზღვრო წერტილის რიგითი ნომერი, აგრეთვე, ისარი, რომელიც მიუთითებს დაცული ტერიტორიის მიმართულებას. თითოეული ნიშნული დატანილია რუკაზე.

პერიოდი: 2004-05 წწ.

ბიუჯეტი: 220 263 აშშ დოლარი

დაფინანსების წყაროები: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი.

შემსრულებელი: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი, ტენდერში გამარჯვებული კომპანია.

6.3 შესაძლებლობების გაზრდა და ტრენინგი

6.3.1 გამოცდილების გაზიარება

შედეგი: თანამშრომლობის განვითარება უცხოეთის შესაბამის ორგანიზაციებთან, გამოცდილების გაცვლის პროგრამების ჩამოყალიბება და განხორციელება

აღწერა: ევროპისა თუ ამერიკის დაცული ტერიტორიების სამსახურებს (მაგ. აშშ-ს ეროვნული პარკების სამსახური) გააჩნიათ მრავალწლიანი გამოცდილება დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებისა და მართვის სფეროში. დაგეგმილია გამოცდილების გაზიარება ამგვარ ორგანიზაციებთან (მაგ. თანამშრომელთა გაცვლითი ვიზიტების მოწყობა, უახლესი მეთოდოლოგიების, პროგრამებისა და სამაგალითო მენეჯმენტის გეგმების ერთობლივი განხილვა.)

პერიოდი: 2003-08 წწ.

ბიუჯეტი: 30,000 აშშ დოლარი.



დაფინანსების წყაროები: 2003-06 წწ. საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი. 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

შემსრულებელი: საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციები და თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციის თანამშრომლები.

6.3.2 მცველების ტრენინგი კანონდარსებების სფეროში

შედეგი: მცველები გაივლიან კვალიფიციური სპეციალისტების მიერ მომზადებულ სპეციალურ კურსებს.

აღწერა: თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია და საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი ჩაატარებენ სატრენინგო კურსებს დაცვითი საქმიანობის წარმართვის შესახებ; ეს კურსები მიზნად ისახავს მცველთა პროფესიული დონის ამაღლებას (პირველი ასეთი კურსი, საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრის მოწვევით, აშშ-ის ეროვნული პარკების სამსახურმა 2003 წლის ივნისში ჩაატარა).

ტრენინგის თემებია:

- სამართალდარღვევათა აღმკვეთი ღონისძიებები (დამრღვევთა დაკავება, ძებნა, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაცია, დარღვევებზე შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა);
- მოკვლევა (დაცული ტერიტორიების რეჟიმის დარღვევის ადგილის ინსპექტირება, მტკიცებულებების შეგროვება, გამოძიებისთვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება);
- სამაშველო და პირველადი დახმარების ღონისძიებები: (დახმარების გაწევა საგანგებო სიტუაციაში, პირველადი დახმარების გაწევა, დაზარალებულთა სამედიცინო დაწესებულებამდე უსაფრთხო ტრანსპორტირება);
- ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების და შენახვის საკითხები;
- შესაბამისი აღჭურვილობის გამოყენება (დაცვითი საქმიანობისთვის აუცილებელი სატრანსპორტო და კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების უნარ-ჩვევები – სატელიტური ნავიგაციის სისტემის (მ), აუდიო-ვიდეო ტექნიკისა და სხვა სავალე აღჭურვილობის გამოყენება).

პერიოდი/სიხშირე: 2003-08 წწ.

ბიუჯეტი: 2000 აშშ დოლარი.

დაფინანსების წყაროები: 2003-06 წლებში საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

შემსრულებელი: აშშ-ის ეროვნული პარკების სპეციალისტები და დაცული ტერიტორიების დირექციის თანამშრომლები.

6.3.3. ტრენინგი სამუშაოდან მოუწყვეტლად

შედეგი: თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციისთვის ტრენინგის პროგრამის შემუშავება და განხორციელება (კომპიუტერი, ენები, კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, გუნდური მუშაობის პრინციპები, ცნობიერების ამაღლება, პედაგოგიური უნარ-ჩვევები, გარემოზე დაკვირვებები და სხვ.)

აღწერა: ტრენინგის სპეციალური პროგრამა შემუშავდება და მიესადაგება თუშეთის დაცული ტერიტორიების საჭიროებებს.

პერიოდი/სიხშირე: 2003-08 წწ. (წლიური სამუშაო გეგმა განსაზღვრავს მოცემულ წელს დაგეგმილ სამუშაოებს)

ბიუჯეტი: 57 619 აშშ დოლარი

დაფინანსების წყაროები: 2003-06 წლებში საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

შემსრულებელი: დაცული ტერიტორიების დირექციის თანამშრომლები, მოწვეული სპეციალისტები.

6.3.4. ტრენინგი საძიებო-სამაშველო ოპერაციებში

შედეგი: უნარ-ჩვევების გაუმჯობესება საძიებო-სამაშველო საქმეში.

აღწერა: თუშეთის დაცული ტერიტორიების თანამშრომელთა ნაწილი დროის მნიშვნელოვან ნაწილს ველზე ატარებს. ამიტომ, მათ ესაჭიროებათ საძიებო და სამაშველო ოპერაციების ჩატარების უნარ-ჩვევების განვითარება. ეს, განსაკუთრებით, ეხება მცველებსა და იმ თანამშრომლებს, რომლებსაც ხშირი ურთიერთობა უწევთ ვიზიტორებთან. სატრენინგო კურსებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაცულ ტერიტორიებზე არსებულ სპეციფიკურ ფაქტორებს და მათთან დაკავშირებულ რისკებს (მდინარეში ან ხევში გადავარდნილი ადამიანის გადარჩენა, პირველადი დახმარება და ა.შ.)

პერიოდი: 2003-08 წწ.

ბიუჯეტი: 2000 დოლარი

დაფინანსების წყაროები: 2003-06 წწ. საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები

შემსრულებელი: დაცული ტერიტორიების დირექციის თანამშრომლები, მოწვეული სპეციალისტები.

6.4 საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამა

ამ კომპონენტის საერთო ბიუჯეტია 160 749 აშშ დოლარი (იხილეთ, ასევე, დანართი 11)

6.4.1 ინფორმაციის გავრცელება

6.4.1.1. საზოგადოებასთან ურთიერთობა მასმედიის საშუალებით

შედეგი: მჭიდრო თანამშრომლობა ადგილობრივ და ცენტრალურ მასმედიასთან (თანამშრომლობა



ადგილობრივ გაზეთებთან, კახეთისა და ცენტრალურ სამაუწყებლო კომპანიებთან; სატელევიზიო და რადიოგადაცემების მომზადება/გაშვება; საგაზეთო სტატიების მომზადება).

აღწერა : ძირითადი მიზანია რეგიონისა და ქვეყნის მოსახლეობის ინფორმირება დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარე საქმიანობის, მისი მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ეს ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს: (ა) საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას დაცული ტერიტორიების არსისა და შექმნის მნიშვნელობაზე და (ბ) მოსახლეობის ჩართვას გარემოს დაცვის რეგიონული პრობლემების გადაწყვეტაში. დირექცია ჩაატარებს ჟურნალისტიკისთვის სპეციალურ კონკურსს თუშეთის დაცული ტერიტორიების საუკეთესო გაშუქებისთვის,

პერიოდი/სიხშირე: ყოველწლიურად
დაფინანსების წყაროები: 2003-06 წლებში საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

შემსრულებელი: საზოგადოებასთან ურთიერთობის/ინტერპრეტაციის სპეციალისტი (მომავალში, ასევე, ვიზიტორთა ცენტრის თანამშრომლები); მასმედიის წარმომადგენლები.

6.4.1.2 მასალების მომზადება საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ასამაღლებლად

შედეგი: მასალების მომზადება, გამოშვება და გავრცელება

აღწერა: იმისთვის, რომ ვიზიტორებსა და ადგილობრივ მოსახლეობას მიეწოდოს ინფორმაცია თუშეთის დაცული ტერიტორიების ფლორის, ფაუნისა და ბუნებრივი ლანდშაფტების შესახებ, ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საინფორმაციო მასალების – ბროშურების, ბუკლეტების, კალენდრების, ღია ბარათების, პლაკატების, გამოშვება და გავრცელება.

პერიოდი/სიხშირე: მუდმივად
დაფინანსების წყაროები: 2003-06 წლებში საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები, სპონსორები.

შემსრულებელი : საზოგადოებასთან ურთიერთობის/ინტერპრეტაციის სპეციალისტი (მომავალში, ასევე, ვიზიტორთა ცენტრის თანამშრომლები); მასმედიის წარმომადგენლები

შენიშვნა: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში გამოიცა 2004, 2005 და 2006 წლის კალენდრები, ღია ბარათები, ფრინველების ილუსტრირებული საველე სარკვევები.

6.4.1.3 ტურისტული პოტენციალის რეკლამირება

შედეგი : თუშეთის დაცული ტერიტორიების სარეკლამო კამპანია.

აღწერა: ამ ქვეპროგრამის მიზანია ვიზიტორების მოზიდვა რეკლამის სხვადასხვა საშუალებით:

- საქართველოს დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა და საინფორმაციო ცენტრებში ტურისტული გზამკვლევების, ბუკლეტების, ვიდეო და აუდიო მასალების, აგრეთვე, ფოტო და სხვა საინფორმაციო მასალების გავრცელება;
- რეკლამების განთავსება რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, სახელმწიფო და კომერციულ სატელევიზიო არხებზე, თემატურ და საზოგადოებრივ გაზეთებსა და ჟურნალებში;
- ვებგვერდის შექმნა;
- ეროვნულ და საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებსა და ბაზრობებზე მონაწილეობის მიღება;
- ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ კატალოგებში რეკლამების განთავსება.

პერიოდი/სიხშირე: მუდმივად
დაფინანსების წყაროები: 2003-06 საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

შემსრულებელი: საზოგადოებასთან ურთიერთობის /ინტერპრეტაციის სპეციალისტი (მომავალში ასევე ვიზიტორთა ცენტრის თანამშრომლები);

6.4.2 სპეციალური ღონისძიებებისა და ვიზიტების მოწყობა

6.4.2.1 ექსკურსიების მოწყობა სკოლის მოსწავლეთათვის

შედეგი: საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის დამყარება, დაცულ ტერიტორიებზე სკოლის მოსწავლეთა ექსკურსიების სპეციალური პროგრამების შექმნა და განხორციელება.

აღწერა: ბავშვებისთვის მოწყობილი ექსკურსიების ძირითადი მიზნები იქნება: ბუნებაში მოქცევის წესების შესწავლა; დაცული ტერიტორიის დათვალიერება; ვიქტორინების, თამაშებისა და ღონისძიებების მოწყობა; საინფორმაციო მასალების მიწოდება.

პერიოდი/სიხშირე: მუდმივად
დაფინანსების წყაროები: 2006 წელს საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი და საგანმანათლებლო დაწესებულებები. 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და საგანმანათლებლო ორგანიზაციები.

შემსრულებელი: საზოგადოებასთან ურთიერთობის/ინტერპრეტაციის სპეციალისტი და (მომავალში) ვიზიტორთა ცენტრის თანამშრომლები.

6.4.2.2 შეხვედრებისა და ვიზიტების მოწყობა

შედეგი : შესაბამისი ჯგუფების/პირების შერჩევა; შეხვედრების/ვიზიტებისა და ტურების მოწყობა.

აღწერა: მოეწყობა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის, საერთაშორისო ფონდებისა და საელჩოების წარმომადგენელთა და პოპულარული ადამიანების ვიზიტები დაცულ ტერიტორიებზე. ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს მოწვეული პიროვნებების

ცნობიერების ამაღლებას და ცუდი ტერიტორიების მნიშვნელობის და იქ არსებული პრობლემატური საკითხების შესახებ, თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და მათგან პოტენციურ მხარდაჭერას.

პერიოდი/სიხშირე: ყოველ წელს

დაფინანსების წყაროები: 2006 წელს საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

შემსრულებელი: საზოგადოებასთან ურთიერთობის/ინტერპრეტაციის სპეციალისტი, დირექციის ხელმძღვანელი თანამშრომლები

6.4.3 პარტნიორული ურთიერთობების დამყარება.

6.4.3.1 სემინარების მოწყობა სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის

შედეგი : დაინტერესებულ მხარეთა შესაბამისი ჯგუფების დადგენა, მათთვის სემინარების მოწყობა, თანამშრომლობის დამყარება/გაუმჯობესება.

აღწერა: სემინარების მოწყობის მიზანია დაინტერესებული პირებისთვის და ორგანიზაციებისთვის (ბუნების მოყვარულთათვის, მასწავლებლებისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის) ინფორმაციის მიწოდება დაცულ ტერიტორიებზე მათთვის საინტერესო საქმიანობების განხორციელების შესაძლებლობების შესახებ.

პერიოდი/სიხშირე : ყოველ ორ წელიწადში ერთხელ

დაფინანსების წყაროები: 2003-06 წლებში საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი და საგანმანათლებლო დაწესებულებები; 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

შემსრულებელი : რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის/ინტერპრეტაციის სპეციალისტი, მოწვეული სპეციალისტები.

6.4.3.2 ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა დაღესტნელ კოლეგებთან

შედეგი: დაღესტანში პოტენციური პარტნიორების გამოვლენა და მათთან კონტაქტების დამყარება; სემინარების ჩატარება, თანამშრომლობის სამოქმედო გეგმაზე შეთანხმება.

აღწერა: თუშეთის დაცული ტერიტორიები მდებარეობს საქართველოს სასაზღვრო ზონაში დაღესტანთან. ბუნებრივი ეკოსისტემა არ შემოიფარგლება სახელმწიფო საზღვრებით; სწორედ ამიტომ ტრანსსასაზღვრო კონტაქტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს დაცული ტერიტორიების ეფექტურობისთვის. მენეჯმენტის პროცესში აუცილებელია მეზობელი სახელმწიფოს შესაბამის სამსახურებთან კონტაქტების დამყარება პარტნიორული თანამშრომლობის მიზნით. უნდა მოეწყოს სემინარი ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიების შექმნის შესაძლებლობის განსახილველად; განისაზღვროს პრიორიტეტული ქმედებები და დაიგეგმოს რეალური თანამშრომლობის პირობები ორმხრივი საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველზე. ამის გათვალისწინებით, საოპერაციო მოქმედებათა გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველწლიურად პარტნიორებთან ერთად. საერთაშორისო გამოცდილებისა და შესაბამისი ფინანსური დახმარების გათვალისწინებით, შესაძლებელია ორ ქვეყანას შორის ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიის წინაპირობების შექმნა.

პერიოდი: 2003-08 წწ.

დაფინანსების წყაროები: 2006 წელს საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-2008 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

შემსრულებელი: დაღესტნელი კოლეგები და დაცული ტერიტორიების დირექცია; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელობა.

6.4.3.3 თანამშრომლობა როკი მაუნტინის ეროვნულ პარკთან

შედეგი: ინფორმაციისა და პერსონალის გაცვლის, თანამშრომლობის პროგრამების შემუშავება და განხორციელება

აღწერა: დონორებთან ერთად, აშშ-ის ეროვნული პარკების სამსახური არის "დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის" სპეციალური პარტნიორი. არსებობს ორმხრივი სამთავრობო შეთანხმება (აშშ-ის ეროვნული პარკების სამსახურსა და საქართველოს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტს შორის). ამ შეთანხმების საფუძველზე თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია „დამძობილებულია“ აშშ-ის როკი მაუნტინის ეროვნულ პარკთან. ამ ურთიერთობების ჩარჩოებში დაგეგმილია:

- ორმხრივი თანამშრომლობა ბუნებრივი რესურსების მართვისა და გამოყენების, ინფორმაციის გაცვლისა და ტექნიკური მხარდაჭერის სფეროში;
- ორმხრივი ინტერესის საფუძველზე დაცული ტერიტორიების პერსონალის გაცვლა, ზოგადსაგანმანათლებლო მივლინების ფარგლებში მათი გაგზავნა ტრენინგის კურსებზე, კონფერენციებისა და სემინარების მოწყობა;
- დაცული ტერიტორიების დაგეგმვის, მენეჯმენტისა და ფუნქციონირების სფეროებში თანამშრომლობა; ბუნებრივი რესურსების კვლევა, ვიზიტორთა პროგრამებთან და ინფრასტრუქტურის საკითხებთან დაკავშირებულ პროგრამებში მონაწილეობა;
- თანამშრომლობა დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხებში; პროფესიული გამოცდილების გაცვლა შემოსავლების გამომუშავების, ვიზიტორთა მიღებისა და მომსახურების, რესურსებზე მონიტორინგისა და დაცვის ინტეგრაციის, თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და სხვა სფეროებში.



პერიოდი: 2003-08 წწ.

დაფინანსების წყაროები: 2003-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები

შემსრულებელი: ამერიკელი კოლეგები და თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია

6.4.3.4 თანამშრომლობა საზღვრის დაცვის სამსახურთან

შედეგი: სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტთან თანამშრომლობის დამყარება, თანამშრომლობის კონკრეტული ფორმების განსაზღვრა.

აღწერა: თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებობს საზღვრის დაცვის სამსახურისა და დირექციის ფუნქციების თანხვედრა, რის გამოც ამ უწყებასთან განსაკუთრებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უნდა ჩატარდეს სამუშაო შეხვედრები და სემინარები ამ ორ უწყებას შორის თანამშრომლობის ფორმების განსაზღვრის მიზნით. აუცილებელია, გაიმიჯნოს და დადგინდეს ორივე სამსახურის ფუნქციები სახელმწიფო საზღვარზე მოძრაობისა და ვიზიტორებზე ზედამხედველობის განხორციელებისას. ასევე, დაგეგმილია საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი დაცული ტერიტორიის ფარგლებში სახელმწიფო საზღვრის დაცვის სხვადასხვა ფორმების თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში მოხდება შესაბამის კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების მომზადება.

პერიოდი: 2003-08 წწ.

დაფინანსების წყაროები: 2003-06 წწ. საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი, 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

შემსრულებელი: საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია და თანამშრომლები, იუსტიციის სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

6.4.4 კერძო სექტორთან და კონცესიონერებთან თანამშრომლობის პროგრამა

6.4.4.1 სემინარი ბიზნეს-ჯგუფებთან და პოტენციურ კონცესიონერებთან

შედეგი: კერძო სექტორის დაინტერესებულ წარმომადგენელთა გამოვლენა და სემინარის მოწყობა.

აღწერა: უნდა შემუშავდეს და ჩატარდეს სემინარები, რაც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის ინფორმირებასა და მოზიდვას, ასევე, მათ მიერ ისეთი ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებას, რომელიც შეავსებს თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციის მიერ გაწეულ მომსახურებას. მომსახურებაზე კონცესიის გაცემა მოხდება საკონკურსო წესით (იხილეთ, ქვეთავი 5.4).

პერიოდი/სიხშირე: ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, ან მოთხოვნის შესაბამისად.

დაფინანსების წყაროები: 2006 წ. საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროგრამა; 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები

შემსრულებელი: საზოგადოებასთან ურთიერთობის/ინტერპრეტაციის სპეციალისტი, რესურსების მართვის სპეციალისტი; მოწვეული სპეციალისტები

6.4.4.2 კონკურსის ჩატარება მომსახურების უფლების (კონცესიის) მისაღებად

შედეგი: კონცესიების გაცემა

აღწერა: კონკურსი მიზნად ისახავს, გამოავლინოს საუკეთესო ბიზნეს-ჯგუფები, ან კერძო პირები, რათა მათ კონცესიით მიეცეთ სხვადასხვა საქმიანობის განხორციელების უფლება (ცხენებით მომსახურება, ღამისთევა, საკვებით მომსახურება და აღჭურვილობის გაქირავება)

პერიოდი/სიხშირე: 2006-08 წწ

დაფინანსების წყაროები: 2006 წ. საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები

შემსრულებელი: საზოგადოებასთან ურთიერთობის /ინტერპრეტაციის სპეციალისტი, რესურსების მართვის სპეციალისტი.

6.5 დაცული ლანდშაფტისა და დამხმარე ზონის პროგრამა

6.5.1 მონაწილეობა ახმეტის რაიონის რაიონული დაგეგმარების პროცესში

შედეგი: სემინარების და ადგილზე ვიზიტების ორგანიზება; თანამშრომლობის განვითარება ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რაიონული დაგეგმარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

აღწერა: ეს ქვეპროგრამა მიზნად ისახავს ახმეტის რაიონულ დაგეგმარებაში კორექტივების შეტანას, ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებისა და რეგიონის დაგეგმვის ამჟამინდელ სტრუქტურაში ახალი ელემენტების (ეროვნული პარკისა და დაცული ლანდშაფტის) გაჩენასთან დაკავშირებით. ამ ღონისძიებამ უნდა უზრუნველყოს დაცული ტერიტორიების სამენეჯმენტო გეგმის რაიონული განვითარების გეგმასთან შესაბამისობა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მთელი რეგიონის მდგრად განვითარებას.

პერიოდი: 2006 წ.

ბიუჯეტი: 10,000 აშშ დოლარი

დაფინანსების წყაროები: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი

შემსრულებელი: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი, დაცული ტერიტორიების დირექცია, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები.

6.5.2 მცირე გრანტების პროგრამა - ეკოლოგიურად გამართლებული საქმიანობების წახალისება

შედეგი: მარკეტინგული კონსულტაციების ჩატარება, საბაზრო პოტენციალის კვლევის განხორციელება, გრანტების გაცემა.

აღწერა: ამ ქვეპროგრამის ფარგლებში მცირე გრანტები გადაეცემა იმ ბიზნესსა და ორგანიზაციებს,



რომლებიც თავიათი საქმიანობით იცავენ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პრინციპებს და ამგვარად წარმოადგენენ მაგალითს მოსახლეობისთვის ეკოლოგიურად გამართლებული საქმიანობის დასაწყებად. ამასთან ერთად, გრანტები ხელს შეუწყობს სამენეჯმენტო მიზნების მიღწევას. მცირე გრანტების პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: (ა) მარკეტინგული კონსულტაციების გაწევა, (ბ) ბაზრის პოტენციალის გამოკვლევა, (გ) ყოველწლიური მცირე გრანტების ფონდის შექმნა.

პერიოდი/სიხშირე: 2004-06 წწ.

ბიუჯეტი: 275 695 აშშ დოლარი

დაფინანსების წყაროები: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი

შემსრულებელი: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი, შეფასების კომიტეტი, თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია, გრანტის მიმღები ორგანიზაციები/საინიციატივო ჯგუფები

6.5.3 რეგულარული საჰაერო რეისების დანიშვნის შესაძლებლობის შეფასება

შედეგი: ომალოს მიმართულებით სატრანსპორტო თვითმფრინავის რეგულარული რეისების დანიშვნის შესაძლებლობის შეფასება.

აღწერა: მცირე სატრანსპორტო თვითმფრინავის რეგულარული რეისების დანიშვნა ომალოს მიმართულებით მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონის დაკავშირებას დანარჩენ საქართველოსთან. თუშეთი წლის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში პრაქტიკულად იზოლირებულია და ვერტმფრენი მიმოსვლის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. თუმცა ვერტმფრენის რეისების შესრულება საკმაოდ ძვირია. შესაბამისად, მცირე სატრანსპორტო თვითმფრინავის რეგულარული რეისების დანიშვნა შესაძლოა საუკეთესო გამოსავალი იყოს. ამგვარი რეისები ბევრად იაფია და ხელმისაწვდომი იქნება როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე ტურისტებისთვის.

პერიოდი/სიხშირე: 2006 წ.

ბიუჯეტი: 10 000 აშშ დოლარი

დაფინანსების წყაროები: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი

შემსრულებელი: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი, თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები, შესაბამისი სახელმწიფო უწყებები.

6.6 ვიზიტორთა მომსახურება

ვიზიტორთა მომსახურების ერთიანი სისტემის განვითარება წარმოადგენს მენეჯმენტის სხვადასხვა პროგრამისა და სფეროს ფარგლებში წარმართული საქმიანობების საერთო შედეგს. ვიზიტორთა მომსახურების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება ინფრასტრუქტურის განვითარების, შესაძლებლობათა გაძლიერების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ჰაბიტატებისა და სახეობათა მართვის, კანონის აღსრულების, კვლევისა და მონიტორინგის (იხილეთ, ქვეთავი 5.6) ღონისძიებათა ერთობლივი შედეგი იქნება. სამენეჯმენტო პროგრამები აღწერილია შესაბამის ქვეთავებში.

6.7 ჰაბიტატებისა და სახეობების მენეჯმენტი (რესურსების მენეჯმენტის ჩათვლით)

6.7.1 სამოვრების მართვა

6.7.1.1 ცხვრის ძოვების საკითხების დეტალური კვლევა

შედეგი: სამოვრების უტილიზაციის და დეგრადაციის ამჟამინდელი დონის დადგენა; სამოვრების პროდუქტიულობის დადგენა და, მასზე დაყრდნობით, ძოვების დასაშვები ნორმების განსაზღვრა; ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში სამოვრების მდგრადი გამოყენებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

აღწერა: ქვეპროგრამა გულისხმობს თუშეთში მიწათსარგებლობის შესახებ ყველა არსებული ინფორმაციის შეგროვებას, შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზს, აუცილებელი სავსე კვლევის ჩატარებას, რათა განისაზღვროს დეგრადაციის დონე, ფლორისტული შემადგენლობა, პროდუქტიულობა და ა.შ.; მონაცემთა GIS ანალიზს. კვლევის შედეგად შეიქმნება სამოვრების GIS მონაცემთა ბაზა და შემუშავდება რეკომენდაციები კონკრეტული სამოვრების მართვის კუთხით.

პერიოდი/სიხშირე: 2006 წ.

ბიუჯეტი: 10 000 აშშ დოლარი

დაფინანსების წყაროები: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი

შემსრულებელი: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი, თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია, მოწვეული სპეციალისტები.

6.7.1.2. ცხვრის ძოვების რეგულირება თუშეთის ეროვნულ პარკში

შედეგი: ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში სამოვრების უტილიზაციაზე კონტროლის სისტემის დაწესება;

აღწერა: ძოვება საერთოდ უნდა აღიკვეთოს სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის მთელ ტერიტორიაზე, გარდა ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონისა. ამ ზონაში კი ცხვრის ძოვება უნდა დაექვემდებაროს სამოვრების მდგრადი გამოყენების პრინციპებს და, პირველ ეტაპზე, ასევე ზოგადად დასაშვებ ნორმებს (სანამ 6.7.1.2 ქვეპროგრამით გათვალისწინებული კვლევის შედეგად სპეციფიკური რეკომენდაციები შემუშავდება). მკვილელები ტერიტორიის დაცვისა და შემოვლების ფარგლებში



გააკონტროლებენ არალეგალურ ძოვებას, ხოლო ტრადიციული გამოყენების ზონაში ძოვების რეგულირების საკითხებს წარმართავს რესურსების მართვის სპეციალისტი.

პერიოდი/სიხშირე: მუდმივად

ბიუჯეტი: გათვალისწინებულია საოპერაციო ხარჯებში (ქვეთავი 6.1.3)

დაფინანსების წყაროები: 2006 წ. საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები

შემსრულებელი: დაცული ტერიტორიების დირექციის მცველთა სამსახური, რესურსების მართვის სპეციალისტი

6.7.1.3. ძოვების ტრადიციული მეთოდების აღდგენის ხელშეწყობა

შედეგი: სამიხნე ჯგუფების იდენტიფიცირება, შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება, საძოვრების მართვის თანამონაწილეობრივი ფორუმის ჩამოყალიბება.

აღწერა: შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება მიზნად ისახავს რესურსის (საძოვრების) მომხმარებლებისა და შესაბამისი უწყებების ინფორმირებას ძოვების ტრადიციული მეთოდებისა და ტრადიციული მეცხვარეობის აღდგენის მიზან-შეწონილობის შესახებ. მთავარი ამოცანაა მეცხვარეებმა გაითავისონ საძოვრების მდგრადი გამოყენების აუცილებლობა, რათა გარკვეული კორექტივები შეიტანონ თავიანთ საქმიანობაში. დაცული ტერიტორიების დირექციის ხელმძღვანელობით საძოვრების მართვის თანამონაწილეობრივი ფორუმი უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას. ფორუმის შეხვედრებზე გაიმართება აქტიური დისკუსიები და მოსაზრებათა შეჯერება ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

პერიოდი/სიხშირე: მუდმივად

ბიუჯეტი: 20 000 ა.შ.შ. დოლარი

დაფინანსების წყაროები: 2006 წ. საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი; 2007-08 წლებში საკუთარი შემოსავლები და პარტნიორი ორგანიზაციები

შემსრულებელი: დაცული ტერიტორიების დირექტორი, რესურსების მართვის სპეციალისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, (საჭიროებისამებრ) მოწვეული ექსპერტები.

6.7.1.4. დეგრადირებული საძოვრების აღდგენა (სადემონსტრაციო პროექტი)

შედეგი : დეგრადირებული საძოვრების აღდგენის მეთოდოლოგიის განსაზღვრა და ყველაზე მეტად დეგრადირებული საძოვრების აღდგენა სადემონსტრაციო პროექტის ფარგლებში.

აღწერა: ნიადაგის დეგრადაციისა და ეროზიის თვალსაზრისით კატასტროფული მდგომარეობაა სოფ. დოჭუსა და ჯვარბოსელის მიმდებარე ტერიტორიებზე. ამიტომაც სადემონსტრაციო პროექტის სახით აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება სწორედ ამ ორ ადგილასაა დაგეგმილი. ქვეპროგრამის ფარგლებში პირველ რიგში შემუშავდება საძოვრების აღდგენის დეტალური მეთოდოლოგია და გეგმა, რომელიც შემდეგ ეტაპზე განხორციელდება.

პერიოდი/სიხშირე: 2006 წ.

ბიუჯეტი: 93 000 ა.შ.შ. დოლარი

დაფინანსების წყაროები: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი;

შემსრულებელი: დაცული ტერიტორიების დირექცია, ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია/კომპანია.

6.7.2. ველური ჩლიქოსნების აღდგენის პროგრამა

შედეგი: ნიადაგისა და ირმის პოპულაციების აღდგენის ხელშეწყობა ეროვნული პარკის აღდგენისა და ბუნების მართვადი დაცვის ზონებში.

